

ქართულ

ქრისტიანებ

ზეართლით



თსულება ქსედრისა



„ისე არაფერი გაარისებეს ღმერთსა, როგორც  
ეკლესიაში განხეთქილების ჩამოგდება... თუ კი  
ერთობას დაფარდევით, ისევე დაეისჯებით, თი-  
თქოს და გვეფლითოს უფლის სხეული.“  
(ოქროპ., ომილ. 11, ეფეს.)



სტამბოლი

საბეჭდავი ქართველ კათოლიკეთა საენისა

1922

# ქართველ

## ქრისტიანებო

### ზეერთლით



თხზულება მ ს ე დ რ ი ს ა



„ისე არაფერი გაარისხებს ღმერთსა, როგორც  
ეკლესიაში განხეთქილების ჩამოგდება... თუ კი  
ერთობას დავარღვევთ, ისევე დავისჯებით, თი-  
თქოს და გ ვ ე უ ლ ი თ ო ს უ ფ ლ ი ს ს ხ ე უ ლ ი.“  
(ოქროპ., ომილ. 11, ეფეს.)



ს ტ ა მ ბ ო ლ ი

საბეჭდავი ქართველ კათოლიკეთა საფანისა

1922

## წინასიტყვაობა

მამულის წრდელი სიყვარული მათქმევიებს ამ წიგნის სა-  
თურათ მოყვანილ სიტყვებს: «ქართველო ქრისტიანებო შე-  
ერთდით».

სამშობლოს კეთილდღეობა თხოულობს დაუყონებლივ გაერ-  
თიანებას და ხელი-ხელ ჩაკიდებით მუშაობაში ჩაბმას. წარსულმა  
ომებმა და ქვეყნის ტრიალმა ყოველ ქკუათმყოფელს შეაგნებინა  
რომ სახელმწიფოს აშენებაში სარწმუნოება უდიდეს ფაქტო-  
რათ უნდა ჩაითვალოს. სარწმუნოებამ უნდა გამოქნას პატიო-  
სანი, სინიდისიანი ქართველი მოქალაქე.

როდესაც სარწმუნოებაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ვგულის-  
ხმობთ ქრისტიანობას, რომელიც დანარჩენ სარწმუნოებებს მთე-  
ლი ცის სიმაღლით აღემატება. მაგრამ, საუბედუროთ, ქრისტი-  
ანობა ერთი-მეორის მოწინააღმდეგე ეკლესიებათაა დაყოფილი.  
ნუ თუ ვიგინდარა სარწმუნოებრივ ჯგუფს შეუძლია წინამძღვრო-  
ბა გაგვიწიოს ზნეობრივ გაფაქიზებისაკენ?—რა საკვირველია არა.  
მხოლოდ იმ სარწმუნოებას უნდა მივიწოდოთ, რომელიც იესოს  
ღვთიური ხელიდან გამოვიდა; აი ამ სარწმუნოებას შეუძლია  
ზეკაცური გავლენა მოახდინოს ადამიანზე. მაგრამ, რომელია  
იესოს ხელიდან გამოსული სარწმუნოება? თვითეული ეკლესია  
თავმომწონეთ იქადის: მხოლოდ მე ვარ იესო ქრისტესაგან გან-  
წესებული ეკლესია, დანარჩენები სიცრუეს ემსახურებიანო!

ერთათ-ერთი გზალა გვრჩება,—მკაცრი კრიტიკის საშუა-  
ლებით გამოვარკვიოთ თუ რომელ საზოგადოებაშია დაცული  
ნამდვილი სახე იესო ქრისტეს ეკლესიისა; ეს კი იმას გულის-  
ხმობს, რომ უკვე საყოველთაოთ ცნობილია არსებითი მოხაზუ-  
ლობა იესო ქრისტეს ეკლესიისა.

მართალიცაა, ჯერ კიდევ მე-4 საუკუნეში, როდესაც მთე-  
ლი ევროპა და აღმოსავლეთიც ერთი რწმენით იყო გაქლენთილი,  
ნიკეის მსოფლიო კრებაზე 325 წელს, გამოიმუშავეს ქრისტი-  
ანული ეკლესიის დამახასიათებელი აგებულობა. ღვთივ-განბრ-  
ძნობილ მამათა დაკვირვებამ გამოააშკარავე შემდეგი: იესოს  
ქეშმარიტს ეკლესიას, იმისთანა უტყუარი და თვალსაჩინო ნიშ-  
ნები აქვს, რომ ყველა გულწრფელ ქრისტიანს შეუძლია დაი-

ნახოს მასში «თითი ღვთისა». ხსენებული ნიშნები შეტანილ იქმნა იმავე კრებისაგან დაკანონებულ «მრწამსში»: «მრწამს... ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.» ამ სიტყვას ეხლაც დაჯერებით და მოწიწებით ამბობს ყველა ქრისტიანი: კათოლიკე, მართლმადიდებელი, გრიგორიანი თუ ლუტერანი... ყველას შეხედულობით, იესო ქრისტეს ეკლესიაში აუცილებლივ უნდა აღმოჩნდეს ხსენებული 4 თვისება: ერთობა, სიწმიდე, კათოლიკობა, მოციქულობრივობა. ეს ნიშნები ისე თვალსაჩინო უნდა იყოს, რომ მის გასარჩევად კმაროდეს თვალთა-ხედვა, თორემ ათასში ერთიც ვერ მოახერხებს მეცნიერულათ შეისწავლოს ეკლესია; ჩვენ კი ვიცით: ღვთიურმა იესომ ყველასთვის დაამყარა თავისი სარწმუნოება და იგი ქალაქს შეადარა მთის მწვერვალზე გაშენებულს, რომლის დანახვა ყველას შეუძლია. მაშ, იესოს ეკლესიის აგებულებაში, ნამდვილათ უნდა არსებობდეს ყველასთვის თვალსაჩინო თვისებანი.

ამის შემდგომ, შესამჩნევათ ადვილდება კვლევა-ძიება. საქმე იმაშიდა რჩება, რომ დაკვირვებით შევისწავლოთ მნიშვნელობა ხსენებულ თვისებებისა, და შემდგომ, რომელ ეკლესიაშიც აღმოაჩენს მათ მიუდგომელი განხილვა, ჭეშმარიტ ეკლესიათაც იგი მივითვალთ.

მაგრამ, ამით დაგვირგვინებულათ ვერ ჩავთვლით ჩვენს თხზულებას. ეკლესიურმა განხეთქილებამ იმდენი უბედურობა დაგვატეხა თავზე, რომ აუცილებლათ საჭიროა თვითეული ჩვენთაგანი პირდაპირ გაეცნოს მის ფუქსავატურ სიმახინჯეს. ამიტომ, პირუთენელ ისტორიისა და წრფელი ღვთისმეტყველების საშუალებით, განხეთქილების სათავემდე ავალთ და გამოვავაშკარავებთ თუ რამდენათ გასაკიცხია ის მიზეზები, რომლის წყალობითაც მოხდა დაყოფა იესო ქრისტეს ეკლესიისა.

ნეტავ წარსულმა გაკვეთილმა თავისი ნაყოფი გამოიღოს და ახლო მომავალში, ყველა მორწმუნე ქართველებს თავი მოგვიყაროს «ერთსა, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიაში,» რათა, გაერთიანებული ძალით, ახალი სული ჩავუდგათ გაპარტახებულ საქართველოს.



# თავი პირველი.

## მ რ თ მ ზ ა

პირველი ნიშანი იესო ქრისტეს ეკლესიისა.

ერთობა რომ უნდა ახასიათებდეს ქრისტიანულ ეკლესიას, ეს აშკარათ მოჩანს იესო ქრისტეს სიტყვებიდან; ყველა მორწმუნეებისთვის ლოცულობს და სთხოვს ზეციერ მამას „რათა ყოველნი ერთ იყვნენ, ვითარცა შენ მამაო ჩემდამო და მე შენდამი“ (იოან. 17, 21). ცხადია, იესო გულისხმობს არა მარტო მეგობრულსა, არამედ რწმენისა და მართებლობის კავშირსაც.

ერთი და იგივე რწმენა უნდა ჰქონდეს ყველა მორწმუნეს: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი“<sup>1)</sup> ეუბნება იესო მოციქულებს, „და ასწავებდით მათ დამარხვად (შენახვად) ყოველი რაოდენი გამცენ თქვენ.“ რაც რომ იესო ქრისტემ ასწავლა მოციქულებს, ყველა ის უნდა ირწმუნოს ქრისტიანმა, არც მეტი, არც ნაკლები. დიდი ვასილის სიტყვით, რწმენის მთლიანობის დასაცავად, სიკვდილისთვისაც განმზადებული უნდა ვიყოთ! „ვინც კი დახელოვნებული არიან წმ. წერილებში, იმის ნებასაც კი არ მისცემენ თავიანთ თავს, რომ ღვთიური რწმენიდან **ერთი მარცვალი** უკუაგდონ. უკეთუ საჭირო გახდა, ყოველნაირ სიკვდილს დაითმენენ რათა დაიცვან რწმენის მთლიანობა.“ ორიგენი დამტკიცებით აცხადებს: მკაწრველები<sup>2)</sup> ვერ ცხონდებიანო. ტერტულიანე უმა-

1) მათ. 28, 19-20. 2) მკაწრელი—ვინც რწმენის რომელსამე ნაწილს არ ღებულობს.

ტებს: იესოს მოძღვრება ყველასთვის სავალდებულოა. არც თუ გასაკვირველია; ქეშმარიტი სარწმუნოება, — როგორც თვითონ ქეშმარიტება, — შეუირიგებელია თავის ფარგალში; ის არ ცნობულობს დიდსა და პატარა რამეს; თუ მასთან არა ხარ, უკვე მოწინააღმდეგეებში ირიცხები.

რწმენის ერთობა თავისთავათ **მართებლობის** გაერთიანებასაც გულისხმობს. მართლაც თუ გაერთიანებული მართებლობა არ არის, ადრე თუ გვიან რწმენა დაირღვევა; ხალხური თქმულებისა არ იყოს: რადენიც პიროვნებაა, იმდენივე განსხვავებული შეხედულობა თავს ამოჰყოფს.

იტყვიან: შიში გაზვიადებულია, რადგან დაუძინებელი მცველები ჰყავს სარწმუნოებას, — იგულისხმეთ: თვითონ ხალხი, სამღვდლოება, მსოფლიო კრებები. ამას გარდა, ყველასთვის ხელმისაწვდომია ახალი აღთქმის წიგნები, ეს წიგნები კი ყველას ერთსა და იმავე რწმენას მიაწვდისო.

უკუპასუხებთ: იმედი მეტიმეტად გადაჭარბებულია: უკვე ფაქტია, რომ მიუხედავად წ. წიგნების გავრცელებისა, მრავლისგან მრავალი სექტა<sup>1)</sup> არსებობს ქრისტიანობაში; სტატისტიკურ ცნობებს რომ გამოუდგეთ, დავინახავთ პირ-იქით, რომ ხსენებული წიგნების უმეტესმა გავრცელებამ უმეტესი დარღვევა დაჰბადა; ეს ზიანი თითოთ საჩვენებელი ხდება ლუტერანების საზოგადოებაში, სადაც, ლამის სიტყვა-სიტყვით გამართლდეს ცნობილი ანდაზა: რადენიც თავია, იმდენივეც განსხვავებული აზროვნობააო! მკითხველს ეკოდინება რომ წ. წიგნები არსად არაა ისე გავრცელებული, როგორც ლუტერანებში.

მეორე მხრივ, დაუძინებელ მცველობას ვერც სამწყსო და ვერც მწყემსები შესძლებენ. არ უნდა დავივიწყოთ

<sup>1)</sup> სექტა—პარტია, ერთი მეორის მოწინააღმდეგე ჯგუფი.

ხალხური თქმულება: როგორც ღვდელიო, ეგრეთვე ერიო! სამწყსო იმ შემთხვევაში გამოიჩინეს სულიერს სიფხიზლეს, უკეთუ ფხიზელი და განვითარებული სამღვდლოება ეყოლება... მაგრამ, მიუდგომელი ისტორია დაღაღებს რომ, ვერც სიფხიზლე და მეცნიერება შესძლებს რწმენის ერთობის დარაჯობას. სული წმინდის მადლითა და მეცნიერებითაც რომ სავსე იყოს სამღვდლოება, მაინც ერთაზროვნობით ვერ გაიმსჭვალება... კამათის მოსპობა მარტო სასაფლაოს ასპარეზზეა მოსახერხებელი,—განსვენებულღებში! ჰო და! მომხდარა, და აგერ კიდევ ხდება განსხვავებული შეხედულობა რწმენის საგანზე. რა საშუალებით შეგიძლია დაამყარო ერთობა რწმენისა? თვითეული მოკამათე საღვთო წერილზე ემყარება, ამისდამიუხედავათ, ერთი ალთას გარბის და მეორე ბალთას. რა საკვირველია, ხალხიც იყოფა მწყემსების მიხედვით, ის კი არა და, ერისკაცებიდანაც ახალ-ახალი მწყემსები გამოდიან!..

რაკი რწმენის ერთობა იესო ქრისტესგან ნასურვებია, მას,—განხორციელებულ სიბრძნეს—, საშუალებაც უნდა ჰქონდეს გამონახული რწმენის ერთობის დასაცველათ.

ამბობენ: არსებობს სანატრელი საშუალება, და გვითითებენ მსოფლიო კრებებზე. უკეთუ მორიგება შეუძლებელი გახდა, მთელი ქვეყნის ქრისტიანობამ თავი მოიყაროს და უმეტესობა რასაც დაადგენს, ის იქნება ჭეშმარიტებაო!

— ხსენებული საშუალება ვერავის დააკმაყოფილებს. ბრძანებენ: უმეტესობის გადაწყვეტილება ჭეშმარიტების გამომსახველი იქნებაო!—რის საფუძვლით? ვსთქვათ ათასი მეცნიერია შეკრებილი: 999-ი ერთს რასმეს ამტკიცებს, ერთი კი წინააღმდეგსა. განა 999-ის ნათქვამი, რადგანაც უმეტესობის ნათქვამია, უსათუოთ ჭეშმარიტების გამომსახველი უნდა იყოს? გასულ საუკუნის ნა-



ხეარში, მეცნიერთა დიდს უმეტესობას სწამდა ვერცხვით  
წოდებული „თვითდაბადება“ ესე იგი ცოცხალი არსე-  
ბის თავისთავათ, უთესლოთ გაჩენა. ერთათ ერთი **პას-  
ტერი** ამხედრდა „თვითდაბადების“ წინააღმდეგ... საბო-  
ლოთ რა გამოვიდა? ათასების ნააზრევი გაცრუვდა,  
ერთისა კი დაქვემდებარებულა! დიახ, სიმართლეს და სიმრავლეს  
მუდამ ერთ მხარესზე როდი დგას, და ქვემდებარებულის სს-  
წორში კი, საბუთები იწონება, არა პიროვნება. მაშ, რა-  
ღა მოხელეა მსოფლიო კრება, თუ მის შემადგენელთა  
უმეტესობაც ვერ დაგვარწმუნებს სიმართლესში? ვინ და-  
გვაჯერებს რომ უმრავლესობა სიცრუეს არ მიემხრო? რომ  
ესეც შესაძლებელია, ეფესოს „ავაზაკურმა კრებამ“ <sup>1)</sup> პირ-  
ველითგანვე ცხადჰყო.

აშკარად მოჩანს, მსოფლიო კრება მიზან-შეწონილი  
საშუალება არ არის რწმენის ერთობის დასამყარებლათ,  
თუნდა იმ უბრალო მიზეზის გამო რომ, **რწმენის ერთობა**  
ყოველდღიური მოთხოვნილებაა; მსოფლიო კრების მო-  
წვევა კი საუკუნიდგან საუკუნეებზე ხდება. ამდაგვარი  
ყრილობის მოგვარება მუდამ ძნელია, ხშირათ შეუძლე-  
ბელიცაა, მაგ. ომიანობის დროს. შორს რომ არ წავი-  
დეთ, ცოცხალი მაგალითი თვალწინა გვაქვს: აღმოსავლეთის  
მართლმადიდებელმა ეკლესიამ ვერცერთი მსოფლიო  
კრების მოწვევა ვერ მოახერხა გაყრის მერმე, 9 საუკუნის  
განმავლობაში!

ზოგიერთი აღმოსავლეთელი ამ სიძნელეს თითქოს  
უხვევს: მსოფლიო კრება საჭირო აღარ არის, პირველი  
შვიდი მსოფლიო კრება სრულს კანონს შეიცავს რწმენი-

---

<sup>1)</sup> 449 წ. შესდგა მსოფლიო კრება ქ. ეფესოში, სადაც ეპი-  
სკოპოსთა დიდმა უმეტესობამ ხელი მოაწერა ევტიხის შემცდარ  
რწმენას, რომ იესო ქრისტეს მარტო ერთი ბუნება აქვსო. ამ  
კრებას «ავაზაკური» დაარქვეს, რადგანაც ევტიხის მომხრეებმა  
ბევრი უჯერო საშუალება იხმარეს ეპისკოპოსთა მისაკერძავათ.



სას, და ყოველი სადავო საკითხი ხსენებულ კრებებში დადგენილებათა მიხედვით უნდა გადაწყდესო...

— „შვიდი კრების აღიარება ყველაფერს შეიცავსო“, ამის თქმა მხოლოდ გაყინულ ეკლესიის წევრებს შეუძლიათ... თუნდაც ეს მართალი იყოს, მაინც მიზანს ვერ მივალწევთ: როგორც სახარებას, იმასაც ყველა თავის შეხედულებით განმარტავს. მოგეხსენებათ, წერილი თავისთავათ მკვდარია და უძველო ენა კი როგორც უნდა ისე მიატრიალ-მოატრიალებს.

მაშ, სად არის საშუალება რწმენის გამაერთიანებელი? მივმართოთ სახარებას. ერთხელ იესო შეეკითხა მოციქულებს: ჩემზე რას ამბობს ხალხი, ვის შვილათ ვწამვარო? უპასუხებენ: ზოგისთვის იერემია ხარ, სხვებისთვის კიდევ ილიაო.—თქვენ ვინლა გგონივართ? აქნობამდე ყველა მოციქულები პასუხს იძლეოდნენ, ეხლა კი დუმილი მოიცავს მათ; მხოლოდ სიმონ პეტრე უპასუხებს უყოყმანებოდ: **შენ ხარ ქრისტე**, ძე ღვთისა ცხოველისაო.

ეს აღიარება მამა ღმერთისგან იყო ჩაგონებული, ამის გამო იესო დასძენს: „ნეტარ ხარ შენ სიმონ...“ შემდგომ, სამაგიერო სასყიდელს პპირდება: „და მე გეტყვი: **შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი...**“ (მათ. 16, 18). ეს პირველი შემთხვევა როდია რომ წ. წერილები შენობის მეტაფორას ხმარობენ; ეფესელთა ეპისტოლეში (2, 20), მოციქულები ითვლებიან ეკლესიის **საფუძვლათ**, ე. ი. იმ მთავარ ღოდებათ, რომელთაც შენობის ძირში ჩაჰყრიან ხოლმე; მორწმუნეები კი იმ ცოცხალ ქვებათ, რომელნიც უნდა დაეშენონ მოციქულთა საფუძველზე. წმ. პეტრეს უფრო გამორჩეული როლი აქვს დაკისრებული: ის ქვებზე მეტია, ის საფუძველზე უფრო დიდმნიშვნელოვანია! შენობის სიმაგრე იმდენათ ქვებზე და საფუძველზე არ არის დამოკიდებული, როგორც იმ ნიადაგის თვისებაზე, რომელზეც



არის დაფუძნებული. თუ ნიადაგი ქვიშარია, ნიაღვარი და მიწისძვრა მალე ბოლოს მოუღებს; მაგრამ თუ კლდოვანია, მაშინ მისი სიმაგრე ყოველ ექვს გარეშეა; და ეკლესიის შენობაში, სწორეთ პეტრე ასრულებს კლდოვან ნიადაგის დანიშნულებას „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი და ბქენი <sup>1)</sup>“ ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდენ მას.“ მაცხოვარი გვანიშნებს რომ ჯოჯოხეთის ძალები შეეცდებიან ეკლესიის შერყევა-დანგრევას, ე. ი. სარწმუნოების შებლაღვა-შემციობას; მაგრამ საბოლოოდ მაინც ეკლესია გაიმარჯვებს, და გაიმარჯვებს მით რომ დამყარებულია წმ. პეტრეზე როგორც შეურყეველ კლდეზე. იგივე აზრი უფრო ნათლათ გამოსქვივის შემდეგი ადგილიდან: მოციქულები ეცილებიან ერთმანეთს: არა მე ვიქნები პირველი და არა მეო!..

იესო ტკბილათ არიგებს მათ: უმფროსობამ თქვენში ამპარტავნობა კი არ უნდა დაჰბადოს, არამედ თავგანწირვაო... და მიუბრუნდება პეტრეს: „სიმონ, სიმონ, აჰა ესერა, ეშმაკმან გამოგითხოვნა თქვენ აღცრად ვითარცა იფქლი <sup>2)</sup>“, ხოლო მე ვევედრე მამასა ჩემსა **შენთვის, რათა არა მოაკლდეს სარწმუნოება შენი; და შენ ოდესმე მიიქეც და განამტკიცენ ძმანი შენნი**“ (ლუკ. 22, 31). ეშმაკის დიდი ცდა იმაშია რომ ეკლესიის უმფროსები განადგუროს: ეშმაკმან გამოგითხოვნა თქვენაო, — ლაპარაკი ყველა მოციქულებზეა ანუ უმფროსებზე; განსაცდელი საყოველთაოა, მაგრამ განსაკუთრებული დახმარება მართო პეტრეს ექნება: „ხოლო მე ვევედრე მამასა ჩემსა **შენთვის**“. უნაყოფოთ როდი დარჩება იესოს ლოცვა: ქრისტე პეტრეს გაამხნევებს სარწმუნოებაში, პეტრე კი დანარჩენებს: „და **შენ** ოდესმე მიიქეც და **განამტკიცენ**

<sup>1)</sup> იგულისხმე: ეშმაკის სივერაგე და მანქანება. <sup>2)</sup> ე. ი. ეშმაკი შეეცდება ურწმუნოებაში ჩაგაგდოსთო.



**ძმანი შენნი**“. ამ განმტკიცებას შემთხვევითი ხასიათი როდი აქვს; იგი შედეგია იმ უაღრესი უფლებისა, რომლის ძალითაც პეტრეს ენიჭება „კლიტენი სასუფეველი-სანი“ (მათ. 16, 19). მეტაფორა აღებულია სამოქალაქო ცხოვრებიდან: ვისაც ქალაქში სრული უფლება აქვს, კლიტეც იმას აბარია; მტერი რომ ქალაქს შეაქირვებს, მოქალაქენი, ნიშნად დამორჩილებისა, კლიტეს მიაართმევენ; მაშ, კლიტე **შეუზღუდველ უფლებას** ნიშნავს. მოციქულებს მხოლოდ **ნაწილობრივი** და **შემთხვევითი უფლება** აქვთ, პეტრეს კი საყოველთაო და შეუზღუდველი: **სასუფეველის კლიტენი**, ე. ი. **სრული უფლება** მის ხელშია.

იესო აშკარათ ამბობს რომ პეტრეს უნდა ჰქონდეს უაღრესი მწყემსობა; ეკითხება მას, რავედენისამე მოციქულის წინაშე: სიმონ იოანეს ძევ, ნუ თუ გიყვარვარ ამათზე უმეტესათო? რატომ თხოულობს გარდამატებულ სიყვარულს, თუ არ იმიტომ რომ განსაკუთრებული და პასუხსაგები თანამდებობა უნდა მიანიჭოს? პეტრე გულზე ხელდადებით უპასუხებს: შენ ხომ გულთმისანი ხარ, განა არ იცი რომ მიყვარხარო? ამ აღიარების შემდგომ, იესო რომელსაღაც თანამდებობას ანიჭებს შემდეგი სიტყვებით: „აძოვენ კრავნი ჩემნი, დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი“.

ყველამ ვიცით რომ კრავნი მორწმუნეებს ნიშნავს, ხოლო ცხოვარნი ღვდელ-ეპისკოპოზებს; პირველნი უნდა აძოვოს, ე. ი. გამოკვებოს სულიერათ, მეორენი უნდა დამწყსოს, ე. ი. საბალახოზე პირადათ არ წაიყვანს, შორიდან კი ყურადღებას მიაპყრობს. ამით მშვენივრათ სურათდება წმ. პეტრეს მოქმედება ღვდელ-ეპისკოპოზებზე: მათი გაწურთნა არ დასჭირდება როგორც უბრალო მრევლისა, მხოლოთ წინააღმდეგობას გაუწევს რომ მრევლს ჯეროვნათ შეუარონ და მიაწოდონ საღი საზრდო სარწმუნოებისა. მოკლეთ რომ ვსთქვათ: იესო ქრისტეს სურ-

ვილია, **ქრისტიანობას აერთებდეს ერთი და რწმენა**; ამ ერთობის შესაქმნელათ და დასაცავათ, ყოველნაირი უფლება პეტრე მოციქულს აქვს მინიჭებული: ვისაც თვისი თავი იესო ქრისტეს ცხვრათ მიაჩნია, იგი პეტრეს უნდა დაემორჩილოს; არავინ არ არის გამორიცხული, არც კრავი, არც ცხვარი, ე. ი. არც პატარა, არც დიდი.

ქრისტიანობა ის ქალაქია, რომლის კლიტენიც მართო პეტრეს აბარია. ქრისტიანობა ის შენობაა, რომელიც პეტრესეულ კლდეზეა დამყარებული, რომელსაც ნიადაგებრძვიან ძალნი ჯოჯოხეთისანი, მაგრამ სულ ამოთ... მაშ, სადაც რომ პეტრეა, იესო ქრისტეს ეკლესიაც იქ უნდა იყოს; ვისაც უნდა ჩაირიცხოს იესოს ეკლესიაში, იმან, პავლე მოციქულსავით **პეტრე უნდა ინახულოს** (გალატ. 1, 18). ყველამ პეტრეს რწმენას უნდა შეუფარდოს თავისი საკუთარი რწმენა. მხოლოდ პეტრეს აქვს დავალებული რომ ძმათა რწმენას დაუხედოს და საჭიროების დავარ განამტკიცოს. აი ამნაირათ შესაძლებელი გახდება რომ გაერთიანდეს ქრისტიანობა, იყოს „ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“ (იოან. 10, 16).

მაშ, **რწმენის ერთობა პეტრეს მართველობის ქვეშ, ეს ერთი უმთავრესი და თვალსაჩინო ხაზი გახლავს იესო ქრისტეს ეკლესიის აგებულობისა**. გაერთიანებულ მართველობა ეხლა უფრო საჭიროა ვიდრე ეს იყო პირველ ხანებში, რადგან, მაშინ მოციქულები ერთნაირი იდეალებით იყვნენ გატაცებულნი და საშიში არ იყო მათში უთანხმოების ჩამოვარდნა. სადავო საქმეებში, განსაკვირვებელ სიმარტივეს იჩენდენ: თვითონ უაღრესი მწყემსი პეტრე თავმდაბლათ ღებულობდა პავლე მოციქულის შენიშვნებს, და თუმცა სხვების დაუკითხავათა მუდამ შეეძლო განაჩენის გამოტანა, მაგრამ მაინც სხვებს ეკითხებოდაო, დასძენს ივანე ოქროპირი (ომილია 3 საქ-

მე მოც.). მეორე მხრივ, მოციქულებიც ისეთი პატივისცემით იყვნენ გამსჭვალულნი პეტრესადმი რომ უიმისოთ საქმეში არ ჩაებმოდნენ. თვით იესო ქრისტესგანვე განსწავლულმა პავლემ, მესამე ცამდე აღტაცებულმა, ინახულა მოციქულთა თავი, 15 დღე დაჰყო მასთან და კიდევ შეუთანხმდა მომავალ მოქმედების გეგმაზე (გალატ. 1, 18).

თუ ოდესმე არ საჭიროებდა მართველობის გაერთიანება ეკლესიაში, ეს მოციქულების დროს უნდა ყოფილიყო; მაგრამ, მაშინაც კი, პეტრე აკავშირებდა მთელს ძალებს... ეხლა, — როდესაც **თვითთული თავიანთი თავის შეხედულობას და სამსხვერპლოზეც ეწირება** —, მით უმეტეს აუცილებლათ საჭიროა პეტრეს შეუზღუდველი უფლება ჰქონდეს.

იესო ქრისტეს სიტყვიდანაც აშკარათ მოჩანს, პეტრეს უპირატესობა წარმავალი რამ არ არის: პეტრე ის კლდეა რომელზედაც დაშენებულია ეკლესია, მაშ პეტრე იქნობამდე უნდა იყოს, სანამ ეკლესია იარსებებს, ე. ი. ქვეყნის აღსასრულამდე; მაშ, ქვეყნის აღსასრულამდე ეყოლება პეტრეს თავისი მომაგიერე, ის მუდამ იცოცხლებს თავის მოსაყდრეებში. მაგრამ ვინ არის მომაგიერე, ვინ არის მოსაყდრე პეტრე მოციქულისა?

— ვინ არ იცის, პეტრე პირველი ეპისკოპოზი გახლდათ რომისა <sup>1)</sup>, საბოლოოდ იქ დაამყარა საქრისტიანო ტახტი და იქვე დანიშნა თავისი მოადგილე. მაშ, პეტრეს მოსაყდრე გახლავსთ რომის ეპისკოპოზი. ესრეთ, ღრმა გამოკვლევა აღარაა საჭირო იესო ქრისტეს „ერთი ეკლე-

<sup>1)</sup> აი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია როგორ ამკობს პეტრე მოციქულსა: «ცაო და საფუძველო მოციქულთაო, დიდსა შინა რომსა იქმენ შენ ეპისკოპოზ პირველ, ყოველთა ქალაქთა დიდებო და სიქადულო და ეკლესიის სიმტკიცყო, რომელსა ვერ ერეოდენ ბჳენი ჯოჯოხეთისანი», (სადღესასწ. ივნიისის 30-ს, აქებდითის დასდებელი).

სიის“ აღმოსაჩენათ; კმარა ხალხური თვალთა-ხედვა, რომელიც შემდეგ ისტორიულ თავკეშმარიტებაშია გამოხატული: სადაც რომის ეპისკოპოზია, იქვეა პეტრესი და მაშასადამე იესო ქრისტეს ეკლესიაც.



## თავი მეორე.

დანარჩენი ნიშნები იესო ქრისტეს ეკლესიისა.

ერთობა, სიწმიდე, კათოლიკობა და მოციქულობრივობა, — აი ის თვალსაჩინო ნიშნები, რომელთა შემწეობითაც ყველა კუთათყოფელს ქრისტიანს შეუძლია მიაგნოს ჭეშმარიტს ეკლესიას. ვინ ვერ გამოარჩევს შრომანს ეკლისგან? ჭეშმარიტი ეკლესიაც შრომანსავე ბრწყინავსო, ბრძანებს წმ. ამბროზი.

ღიას! ბრწყინავს ჭეშმარიტი ეკლესია, ბრწყინავს თავისი გოლიათობით, მკიდრო ერთობისგან შექმნილით. ბრწყინავს კვლავ თავისი სიწმიდით, სივრცით და დიდხნოვანებით. ეს სამი უკანასკნელი ნიშანი, თუ გნებავთ, სამი შტოა, გოლიათობაზე აღმოცენებული: სიწმიდე, — ეს გოლიათობა გახლავსთ ზნეობრივ ცხოვრებაში; სივრცე, იგივე გოლიათობაა ადგილ-მდებარეობის მიხედვით; დიდხნოვანება კი გვანიშნებს გოლიათის დაუქცობელ სიცოცხლეს, რომლის ძირიც სცილდება საუკუნოებს და ეხლართება მოციქულთა დროებს.

ღროა ამ სამეულ გოლიათობასაც თვალი გავუხსწოროთ.

1. — ეკლესია უნდა ბრწყინავდეს თავისი სიწმიდით, ისე რომ მისი შემხედავი ქრისტიანი იძულებული გახდეს წარმოთქვას: ჭეშმარიტათ, თითი ღვთისა აქ არისო. ეკლესია რომ წმიდა უნდა იყოს, ეს ისედაც ცხა-

დია. რისთვის მობძანდა ძე ღმერთი ამ ქვეყნათ? რისთვის დაღვარა თავისი ღვთიური სისხლი თუ არ იმისთვის რომ განებანა იგი ცოდვისაგან ღმრისთანა მცირე მნიშვიელოვანი ნაკლიც კი ჩამოეშორებინა, როგორცაა ნაოქი და ბრძვილი? <sup>1)</sup> ამის მისაღწევად ორნაირი მუშაობა იყო საჭირო: ერთი თეორეტიული ანუ დასამზადებელი, — ეს დარგი მარტო მაცხოვარმა შეიმუშავა: შესთხზა ყოვლად ბრძნული სჯულდება ზნეობისა; სჯულდება იგი არ იყო ნაყოფი ფილოსოფიურ ოცნებისა, არამედ ცხოვრებაზე დამყარებული: ჯერ საკუთარ ცხოვრებაში ატარებდა და მერმე აკანონებდა მას <sup>2)</sup>. ამასაც არ დასჯერდა, რათა სჯულდება იგი ყველასთვის ადვილათ განსახორციელებელი ყოფილიყო, ჩამოასხნა ჯადოსნური იარაღები, — ლოცვასა და შვიდ საიდუმლოს მოგახსენებთ —, რომელთა შემწეობითაც მორწმუნემ სიწმიდის მწვერვალამდე უნდა მიღწეოს, იმ მწვერვალამდე სადაც ტახტი დაუდგავს ზეციერ მამას: იყავით სრულნი ვითარცა მამა თქვენი ზეცათაო <sup>3)</sup>.

აი ეს განლაგეს პირველი დარგი მუშაობისა — **თეორეტიული სიწმიდე**, რაშიც ადამიანს არავითარი წილი უდევს. მრავალი ქრისტიანული საზოგადოება იქადის ამ თეორეტიულ სიწმინდის უმეტნაკლებოთ ქონვას; მაგრამ იგი როდი კმარა. ზოგიერთებს ნამდვილათ ძვირფასი საუნჯე მოეპოვებათ, მაგრამ მიწაში ჩაუფლიათ, არაფერში იყენებენ; ყველასაც შეუძლია დაეპატრონოს იესოს ღვთიურ მოძღვრებას, როგორც ძვირფას საუნჯეს, მაგრამ იესო ქრისტე მხოლოდ იმას იცნობს, ვინც ამ საუნჯეს მოიხმარს, ნაყოფს გამოაღებინებს; დანარჩენებს, როგორც უხმარ მონებს, დღეს არა ხვალ, ის საუნჯეც ჩამოერთმევით. მაშ, ქეშმარიტი ეკლესია ის არის, რომელსაც მოეპოვება იესოს ყოვლად წმიდა სჯულდება და ამ სჯულდე-

<sup>1)</sup> ეფესელ. 5, 27. <sup>2)</sup> საქმ. 1, 1. <sup>3)</sup> მათ. 5, 48.

ბას ცხოვრებაში ატარებს, **ჰქმნის წმიდანებს**, პირველ ხარისხოვან წმიდანებსაც, იმისთანებს **რომელთაც ბუნების ძალებიც კი ემორჩილება!** ესრეთია დაპირება მაცხოვრისა, სასწაულები არ დააკლდება ჰქმმარიტს ეკლესიას: „რომელსა რწმენეს ჩემი, საქმესა რომელსა მე ვიქმ, მანცა ჰქმნეს, და უფროსილა ამისა ჰქმნეს... სახელითა ჩემითა ეშმაკთა განასხმიდენ... სნეულთა ზედა ხელთა დასდებდენ და განცოცხლდებოდენ“<sup>1)</sup>.

რომელია ის ქრისტიანული საზოგადოება, წმიდანებს რომ ჰქმნის, საკვირველ-მოქმედ წმიდანებს? — ლუტერანების ეკლესიაში მეცნიერი ბევრი მოიპოვება, წმიდანები კი არც ერთი; ამას თვითონვე აღიარებენ. მართლმადიდებლური ეკლესია ჰყვავდა ოდესღაც წმიდანებით, ვიდრე ჩამოშორდებოდა რომის ეკლესიას; მაგრამ, ჩამოშორების დღიდანვე გაიყინა მისი სიწმიდე; ის გმირები კი რომელთაც ჩამოაშორეს, ბრწყინავენ **ანტიქრისტიანული თვისებებით**: მაღალქედობით, სიცრუით, ქვემძრომელობით. ამისთანა გმირებზე დამყნობილი მართლმადიდებლობა, რალა თქმა უნდა ზნეობის შროშანს ვერ გამოიღებდა.. იგი დაბერწდა; მასში აღარ გამოჩენილან საკვირველ-მოქმედი გრიგოლები, უდრეკი ათანასები, თავდადებული ოქროპირები. შესაძლებელია საუკუნიდან საუკუნეებში აღმოაჩინონ რამდენიმე სამაგალითო ადამიანი, მაგრამ იგინი არ ყოფილან გმირები განხეთქილებისა, იმათ თავიანთი ღვაწლით და საკვირველ-მოქმედებით არ დაუკანონებიათ განხეთქილება: ისინი ან დადუმებულან ან დაუგმიათ განხეთქილება; და მაშასადამე, მართლმადიდებლობას არ შეუძლია მათი სახელით იამაყოს.

დარჩა **რომის კათოლიკე ეკლესია**. ქვეყნად ცნობილია მისი ნაყოფიერება; ქველმოქმედებას მისგან უდგია

<sup>1)</sup> მარკ. 16, 17-18.



სული <sup>1)</sup>... მის წიაღში ეხლაც მრავლობენ წმიდანები: გა-  
ნიხსოვნეთ არსის წინამძღვარი, დონ ბოსკო, და თერეზა <sup>2)</sup>..  
რომში მუდამ საქმეებით დატვირთულია ის განსაკუთრე-  
ბული სამსჯავრო, რომელიც კრიტიკის ქარ-ცეცხლში  
ატარებს გასაწმიდავებელ პიროვნებათა ცხოვრებას. სას-  
წაულების წყარო ჯერ კიდევ არ დაშრეტილა; მსურველს  
შეუძლია გაეცნოს ექვმიუტანელ სასწაულებს რომელიც  
აღნუსხულია ზემოთ დასახელებულ სამსჯავროს ოქმებში...  
ამ ორმოციოდე წლის წინეთ, სტამბოლელ ქართვე-  
ლების ღვთისმშობლის ეკლესია, ასპარეზი გახდა განში-

---

<sup>1)</sup> მხოლოდ ერთს. ნიმუშს მოვიყვანთ კათოლიკე ეკლესიის  
ნაყოფიერების დასახასიათებლათ.

1842 წელს შესდგა «გლახაკთა პატარა დების»  
საზოგადოება, უპატრონო მოხუცებულთა მოსაველ-  
ლათ. ამ ქამად, ხსენებულ საზოგადოებას 312 თავშესაფარი  
აქვს ჩინებულათ მოწყობილი, სადაც მშვიდობით დაუღვია სუ-  
ლი 374,172 მოხუცებულს. 1921 წლის ცხრილით, 5752 მო-  
ლოზანი ერთგულათ უვლის 45,297 მცოვანს, ქალსა თუ  
კაცს. დაწყებიდან დღევანდლამდე 4,016 მოლოზანს სიცოცხლე  
შეუღვია ამ საქველმოქმედო საქმისთვის, რომელიც ქვეყნის  
ოთხსავე კუთხესაა გავრცელებული. მკითხველი გაიდიქრებს,  
დიდძალი მამულები ექნებათ ამ საქმის გასაძლოათაო... სიმარ-  
თლექი შემდეგი გახლავთ: ერთათ ერთი წყარო შემოსა-  
ვლისა, ყოველდღიური მათხოვრობაა. წარმოიდგი-  
ნეთ, მამულებიც რომ შესთავაზოთ, ვერ მიიღებენ; ისინი რწმე-  
ნით ასრულებენ იესო ქრისტეს სიტყვას: ხვალინდელ დღეზე ნუ  
იდარდებო (მათ. 6,34) და მართლაც აქნობამდე მოტყუებული  
არ დარჩენილან; განგება ყოველდღიურათ აძლევს  
იმისთანა გემრიელ ლუქმას, რომ მრავალ წელში  
გამართულ ოჯახის წევრებსაც კი დაენატრებო-  
დათ!

<sup>2)</sup> გასულ საუკუნის წმიდანები არიან, რომელთაც მრავალი  
სასწაული მოახდინეს. იხ. მათი ცხოვრება: დონ ბოსკოსი (რუ-  
სულათ), და თერეზასი (ქართულათ, სტამბ. 1914).



რებულ საკვირველებათა, რასაც დაგიმოწმებსთ მილიონი მცხოვრები სტამბოლისა... თუ შეწუხდებით და საფრანგეთს მიხედვით, იქ შეხვდებით სასწაულების ნამდვილ ქარხანას: ძვირათ გამოერევა იმისთანა წელიწადი რომ რაიმე სასწაული არ მოხდეს **ქ. ლურდში**, ღვთისმშობლის საშუალებით! სხვა და სხვა ქვეყნის ექიმები კი იქვე არიან რომ შეამოწმონ სასწაულთა ზესთაბუნებრივობა, და წარმოიდგინეთ, რადენიმე ათასი სასწაული შეუმოწმებია ხსენებულ ინტერნაციონალურ კომისიას <sup>1)</sup>!.. აღსანიშნავი კვლავ ისაა რომ ყველა ექიმს უფლებას აძლევენ მონაწილეობა მიიღოს კომისიაში და თავისი მსჯავრი გამოსთქვას.

აი სიწმიდე! აი სად ყოფილა ღვთის თითი!.. სხვა რომელი ეკლესიაა ამდგვარათ გაბრწყინვებული?.. **საქართველოს** ეკლესიას მრავლისგან მრავალი **მოწამენი** მოეპოება, მაგრამ, როგორც ზემოთაც განვაცხადეთ, ისინი **არ აკანონებენ რომის ეკლესიისგან გაყრას**, პირ-იქით

1) ოცი წლის განმავლობაში, თითქმის 3,000 სასწაული შეუმოწმებია ლურდის სამკურნალო კომისიას! ბერტინის «კრიტიკული ისტორია ლურდისა» საინტერესო ცხრილებს იძლევა ნასასწაულართა შესახებ (გ. 140).

ლურდში განკურნებულა: 650 ქლერქიანი,  
17 კიბოიანი,  
48 ბრმა  
31 ყრუ-მუნჯი.

დაზიანებული ჰქონდათ: 497-ს მოსანელებელი აპარატი  
87-ს სისხლის დამრიგებ. აპარატი  
146-ს სასუნთქი აპარატი  
44-ს ქსოვილი და სხვ...

აღსანიშნავია რომ 3,000 ნასასწაულარში, მხოლოდ 265 ავთამყოფი გვხვდება ნერვებით დასნეულებული; უკეთუ შესაძლებელია ამათი განკურნება გატაცებულ რწმენას მივაწვროთ, სამაგიეროდ, მეცნიერება და საღი გონება ღაღადებს რომ შეუძლებელია შთაბეჭდილების ძალით გამთელდენ მაგ. ქსოვილ-დაზიანებული და ქლერქიან-კიბოიანი ავთამყოფები.

რომელთაც გაიცნეს საკითხი, **გაყრას არ თანაუგრძნობდენ**, ესრეთ: წმ. ქეთევანი, რომელიც კათოლიკეთ მიიღვალა<sup>1)</sup> და სხვანი. ისტორიაში ისეც ცნობილია რომ საქართველოს ეკლესია მარტო სახელით იყო გაყრილი რომის ტახტისგან.

ისაყვედურებიან: თუ წმიდანები არიან კათოლიკე ეკლესიაში, ნაძირალებიც მოიპოვებო...

პასუხს იძლევა წმ. აგვისტინე 1500 წლის წინეთ: „იმ უწყსოებათ, თქვენ რომ ასე მწარეთ აცენზურებთ, ეკლესიაც თქვენსავით ჰგმობს, და ნიადაგ **მოღვაწეობს** რათა დამნაშავენი გაასწოროს... თვალებს ნუ იბრმავებთ პარტიული ჟინიანობით! ეკლესია უნაყოფო ყანა არ გახლავსთ, არც უხობობლო კალო... თქვენ ნაძირალს ხედავთ და გული გეძმარებათ, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ რომ იმავე საწნეხელიდან წმინდა ზეთიც გამოდის, რომლის ბრწყინვალე ალი ანათებს ღვთის სახლს... მეც ვირიცხები ქრისტეს ეკლესიაში,—უკეთუ ბოროტი ვარ, როგორც ბზე,—და უკეთუ კეთილი, როგორც ხორბალი.“<sup>2)</sup>

თუ წმ. აგვისტინეს ვერ ეწყობით, მოისმინეთ „არა წმიდის“ ვოლტერის პასუხი: „სარწმუნოების უწყსოებებში შენ კაცობრივ სისულელეს ხედავ, მე კი ღვთიურ სიბრძნეს, რომელმაც, მიუხედავთ ხსენებულ უწყსოებათა, სარწმუნოება მაინც დაიცვა“.

2.—ეკლესიას უნდა ახასიათებდეს „**კათოლიკობა**“<sup>3)</sup> ანუ დაულალავი პროპაგანდა<sup>4)</sup>, ისე რომ მისი გათვალისწინება ძალაუნებურათ გაფიქრებდეს ღვთიურ ძლიერებაზე. ქეშმარიტს ეკლესიაში უნდა ასრულებდენ იესოს

1) თამარაშვ. ისტ. 88.—<sup>2)</sup> წმ. აგვისტ. წერილ. 78, წინაღმდ. პეტ. 2, 12.—<sup>3)</sup> კათოლიკობა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს: ნამდვილი ეკლესიის «მთელ ქვეყანაზე მოფენილობას.»  
—<sup>4)</sup> პროპაგანდა—დაულალავი მოქმედება რწმენის გასავრცელებლათ.

ბრძანებას: „უქადაგეთ ყოველსა დაბადებულსა; 1)“ და ეს ქადაგება ნაყოფიერი უნდა იყოს, ვინაიდან წარმოუდგენელია მაცხოვრის სურვილს ხორცი არ შეესხას; მაცხოვრის სურვილი კი ის არის რომ, მისგან დანთობილი ცეცხლი ე. ი. ქრისტიანობა, აღტყინდეს და მოედოს მთელს ქვეყანას 2); მისი სურვილი და წინასწარმეტყველება ეს არის რომ, მისგან მიწაში ჩაგდებული მღოვრის მარცვალი, აღმოსცენდეს, ტოტები გამოიბას და ჩრდილ ქვეშ შეიფაროს ის ფრთოსანსავით დაუდგრომელი ცხოველი რომელსაც ჰქვია ადამიანი 3). ქადაგების წყალობით უნდა აღსრულდეს ის წინასწარმეტყველება, რომელიც იესოს ასაკუთრებს კილითგან კიდედღე ქვეყნის დაუფლებას 4).

ვინდით მრავალ ეკლესიებში გაარჩაოთ თუ რომელია ქეშმარიტი? — ადვილი საქმეა. მიხედეთ და ნახეთ, რომელია ის ეკლესია რომელიც თავის ქერქში არ ეტევა, რომელსაც თითო-ორილა ეროვნება არ აკმაყოფილებს, რომელიც სხვა საზღვარს არ ცნობულობს, თუ არ ქვეყნისავე უკანასკნელ კიდეურებს... და რათა ბაქი-ბუქიობის მსხვერპლი არ გახდეს, გეოგრაფიულ ქარტასაც დააკვირდი: უკეთუ ხსენებულ ეკლესიის გადმომდინარე ძალღონე მთელს ქვეყანას მოსდებია; უკეთუ ხსენებული ჯანღონით საესე ეკლესია მთელს ქვეყანაზე გავრცელებული; უკეთუ იგი ჩვეულებრივ სქარბობს დანარჩენ ქრისტიანულ საზოგადოებებს, — ეჭვი ნულარ გექნება, შენ სდგახარ წინაშე იმ ერთათ-ერთ ეკლესიისა, რომელიც ესათნობება მაცხოვარს:

რომელია ამდაგვარი ეკლესია? ლუტერანებისა? — ლუტერანობა უმეტესათ ანგლოსაქსონელებსა და სკანდინაველებშია გავრცელებული. მართლმადიდებლობა? — ეს ხომ სლავიანების, ბერძნების და ქართველების სარწმუნოებაა.

1) მარკ. 16, 15.—2) ლუკ. 12, 49.—3) მათ. 13, 31.—  
4) ფს. 71, 9, 11.



ნოება გახლავთ... სიღინჯე ვიქონიოთ, ასე მალე მსჯავრს  
ნუ გამოვიტანთ. მართალია, დღესდღეობით, ლუტერა-  
ნობა და მართლმადიდებლობა მთელს ქვეყანაზე არაა მო-  
ფენილი, მაგრამ შეიძლება მომავალმა ჩარხი მათკენ გადა-  
ატრიალოს; დღესდღეობით კი, კმარა თუ მათში აღმოჩნ-  
და ის აუცილებელი ელემენტი კათოლიკობისა, რომელ-  
საც ვუწოდებთ „ქერქში დაუტევნელობა“, დაუღვენელი  
წყურვილი გავრცელებისა, ქვეყნის კიდეთა დაპყრობისა.

— ლუტერანობა და მართლმადიდებლობა ეხლა რომ  
გამოდირდენ ასპარეზზე, სამართლიანობა მოითხოვდა შე-  
საფერი დრო მიგვეცა მათთვის; გარნა ის საზოგადოებანი  
რომელნიც თავიანთ „ქერქში დაეტენენ“ 400 და 800  
წელიწადი, იმათ უკვე მოიხადეს თავიანთი ექსპერიმენტი<sup>1)</sup>,  
იმათი აუცილებელი ბოლო დაქცობა და სიკვდილია...  
ტყვილათ მჩქეფარე სიცოცხლეს ნუ დაეძებ იმ ქრისტიან-  
ულ საზოგადოებაში, რომელსაც 400 და 800 წლის გან-  
მავლობაში არ უქადაგნია „ყოვლისა დაბადებულისათვის.“

— ჩვენცა გვყავს მისიონერები, ამბობენ მოწინააღმ-  
დეგენი; ჩვენც ვცდილობთ გავავრცელოთ ქრისტიანობაო.

— მოკლე პასუხი: მისიონერები გყავთ, მაგრამ **მო-  
ციქულები** კი არა; თქვენი მისიონერები მოხელეები არიან,  
ჯამაგირის გულისთვის ძლივ-ძლივობით მიემგზავრებიან  
მეზობელ ტომებში! გყავსთ მოციქულები ქვეყნის კიდუ-  
რებამდე, გაუნათლებელ ქვეყნებში: პათაგონელთა, ესკი-  
მოელთა და ჰოტენტოტელთ შორის? თქვენმა მისიონე-  
რებმა ყოფილი ქრისტიანები ინგილო-ოს-აფხაზებიც კი  
ვერ დაუკავშირეს ხეირიანათ ქრისტიანობას... მაგრამ რა  
საჭიროა სიტყვის გაგრძელება? 400 და 800 წლის უნაყო-  
ფობა, — ეს მქუხარე საბუთია იმისა რომ არც ლუტერანობას  
და არც მართლმადიდებლობას მოეპოვება „კათოლიკობა“.

<sup>1)</sup> ე. ი. თავიანთი უძღურება თითოთ საჩვენებელი გახადეს.

დარჩა რომის ეკლესია. მტერიც და მოყვარეც „კათოლიკეს“ ეძახის მას; დღეს-დღეობით, ფაქტია რომ იგი მოფენილია მთელს ქვეყანაზე. 400 მილიონი წევრი შედის მის შემადგენლობაში; მაგრამ ეს კიდევ მცირე რიცხვით მიაჩნია, მისი დევნიბა: კიდევ, კიდევ... პატარა ბელგია უფრო მეტს მისიონერს გზავნის ვიდრე ვეებერთელა რუსეთი... შორეული და უცნობი ქვეყანა უფრო იზიდავს კათოლიკე მისიონერს; განათლების პირველი სხივი მუდამ მას შეაქვს ხოლმე. ეხლაც, არც ერთი სხვა ქრისტიანული საზოგადოების მისიონერები უწევენ ქიშპობას იმისთანა უხეირო ქვეყნებში როგორცაა პათაგონია, ესკიმეთი, ჰოტენტოთი; არა-კათოლიკე მისიონერები მხოლოდ მაშინ გამოჩნდებიან, როდესაც ველური ქვეყანა განათლება კათოლიკე მისიონერთა დაუღალავი შრომის წყალობით <sup>1)</sup>).

კათოლიკე სარწმუნოება მარტო ველურებში კი არ ვრცელდება, უუგანათლებულეს ქვეყანაში, როგორცაა ინგლისი, ყოველ წლიურათ, რავდენიმე ასი მეცნიერი უერთდება მას. ისეც ცნობილია რომ მეცნიერ-გენიოსებს განსაკუთრებული მიდრეკილება აქვთ კათოლიკობისადმი. შორს რომ არ წავიდეთ, თუნდა საბა ორბელიანი და ანტონ კათალიკოზი გავიხსენოთ ქართველებში და სოლოვიევი რუსებში.

3.—**ეკლესიას კვლავ უნდა ახასიათებდეს „მოციქულობრივობა.“** დღევანდელი ეკლესია არსებითად უნდა

<sup>1)</sup> იმის დასახასიათებლათ თუ რა თავდადებით შრომობენ მისიონერები, ციფრებს მოვიყვან ბელგიელ პატრის სმეტის († 1873) ცხოვრებიდან: ამან თავისი სიცოცხლე წითელ-კანიალების განათლებას გადააგო; გამოანგარიშებულია რომ ბარე 19-ჯერ მოუხდა ატლანტის ოკეანის გარდალახვა; ამას გარდა, 200,000 ვერსზე მეტი გაუვლია უმეტეს ნაწილათ ფეხით! უნებლრეთ გაგონდება დაუღალავი პავლე მოციქული...

ემსგავსებოდეს მოციქულების ეკლესიას,—ესრეთია იესო ქრისტეს სურვილი: რაც ჩემგან გაივინთ, **ყოველივე** ასწავლეთო, დაუბარა მათ, და: „მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა, ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“—ო (მათ. 28, 19-20). იესო ქრისტე იმ ეკლესიაში იტრიალებს, რომელსაც საესებით შენახული ექნება ყველაფერი რაც კი ასწავლეს მოციქულებმა; მოციქულებს კი თავიანთით არაფერი უნდა ესწავლებინათ; იმათ მხოლოდ უნდა განეხორციელებინათ მაცხოვრისგან შემუშავებული გეგმა. მაცხოვრის გეგმით, ეკლესია დაშენებულია პეტრე მოციქულზე, პეტრეს აბარია კლიტე სასუფეველისა, მის მწყემსობის ქვეშ იმყოფებიან კრავნიც და ცხვარნიც, ესე იგი ყველანი ვინც კი იესოს მიმდევრებად ითვლებიან; რყვეა-ექვნეულობის დროს, პეტრეს ვალდებულობაა ეკლესიის განმტკიცება... ისე რომ, პრაქტიკულათ ერთსა და იმავე რამეს ნიშნავს: იესოს ეკლესია, მოციქულების ეკლესია, პეტრეს ეკლესია. ამდაგვარათ ფრიად ადვილი, ხდება მოციქულთა ეკლესიის გარჩევა: სადაც პეტრეა, მოციქულების და იესოს ეკლესიაც აუცილებლათ იქვე უნდა იყოს, რადგანაც ჯოჯოხეთის ბჭენი თავის დღეში ვერ დაჯაბნიან პეტრეს... პრაქტიკულათ ერთათ-ერთი საკითხილა გვრჩება გამოსარკვევი, თუ **სად არის პეტრე**, ე. ი. სადა და ვინ არის მისი მოადგილე, მისი მოსაყდრე.

დიდი ისტორიული განათლება არ არის საჭირო იმის საცოდნელათ რომ პეტრემ რომში დასდგა თავისი ტახტი, რომ სიკვდილის წინ იქვე დანიშნა თავისი მოადგილე რომელსაც მთელი თავისი უფლება გადასცა. იქიდან მოყოლებული დღევანდლამდე, ქ. რომს არ მოჰკლებია პეტრეს მოსაყდრე; დღევანდელი პიო მე-XI ორას სამოცდა პირველი მოსაყდრეა მოციქულთა თავისა... მაგრამ რომელი ჩემი მკითხველი მოიცილის და შესძლებს გადაფურ-

კლოს ძველის-ძველი წიგნები და ნათქვამის სინამდვილე გამოიკვლიოს?

— ეს არ დაგჭირდება, მეგობარო მკითხველო; რაღა ნიშანი იქნება „მოციქულობრივობა,“ თუ იმასაც მეცნიერული კვლევა-ძიება დასჭირდა? არა, ერთობა, სიწმიდე, კათოლიკობა, მოციქულობრივობა, ეს იმისთანა ნიშნებია რომელიც მართო თვალთახედვას საჭიროებს და არა მახვილ გონებას; ეს მართალია განსაკუთრებით „მოციქულობრივობაზე.“ **ქვეყნის რომელსამე კუთხეში უსათუოთ უნდა იმყოფებოდეს პეტრეს მოსაყდრე.** ვინც იტყვის: პეტრეს მოსაყდრე აღარ ჰყავსო, — ის სიცრუეს დასწამებს მაცხოვარს, რომლის დაპირებითაც, პეტრე უნდა იყოს საფუძველი, მეთაური და განმამტკიცებელი ეკლესიისა; სანამ ეკლესია იარსებებს, იმას მუდამ ესაჭიროება ხილული საფუძველი, მეთაური და ძალების შემომკრეფელ-განამტკიცებელი<sup>1)</sup>; ყველა ეს კი პეტრეს ვალდებულობას შეადგენს. პეტრე მოკვდა, მაგრამ ვალდებულობა მუდამ ჰგვიბს, მაშ პეტრეს მოადგილედ მუდამ უნ-


---

<sup>1)</sup> ამ შეხედულობასვე იზიარებს რუსეთის ცნობილი მწერალი მენშიკოვი: «უღმობელია პაპობის ლოლიკა. ან არაფერი უნდა ღწამო, — მაშინ ხომ ქრისტიანობაც აღარ იქნება; თუ არა და, კვლევა-ძიების გზით აუცილებლათ პაპამდე მიადწევ... უკეთუ არსებობს მამა ზეციერი, მაშინ მისი შვილებიც ერთ ოჯახათ უნდა შენაწევრდნ. კაცობრიული ერთობა, როგორც სხვა დანარჩენი ერთობაც, საზოგადო ცენტრს გულისხმობს, იმ წერტილს რომელზეც ეყრდნობა მთელი სიმძიმე... უკეთუ პაპს უარჰყოფ, როგორც მსოფლიო ავტორიტეტს, მაშინ უარივე უნდა ჰყო იმპერატორი იმპერიაში, პრეზიდენტი რესპუბლიკაში, სარდალი ჯარში. როდესაც ეროვნებანი ერთ საზოგადოებად, ერთ ეკლესიად შენაწევრდებიან, მაშინ აუცილებელი გახდება, ვინმემ დაიწყოს თავმჯდომარეობა, და სწორეთ ამას ჩემულობს პაპი, როგორც მოადგილე მოციქულთა თავისა (იხ. «ნოვ. ვრ.» 15 ივლ. 1903 წ.)



და ჰგებდეს. დღესდღეობით ვინ ჩემულობს პეტრეს მაგეერობას? შევეკითხოთ აღმოსავლეთის ოთხსავე პატრიარხს და პეტროგრაღ-ბერლინ-ლონდონის სულიერ წინამძღვრებს. ამათგანი არც ერთია რომ სერიოზულათ ჩემულობდეს მსოფლიო ეკლესიის წინამძღვრობას; მსოფლიო წინამძღვარი, ახალი პეტრე კი მუდამ უნდა არსებობდეს, ეს ერთი აუცილებელ ელემენტთაგანია იესოს ეკლესიისა.

მაშ, ვინ არის პეტრეს მოსაყდრე? — რომის ეპისკოპოზი, იმ რომისა, სადაც მოღვაწეობდა და მიიცვალა პეტრე მოციქული. რომის ეპისკოპოზი მუდამ აცხადებდა და ეხლაც აცხადებს, რომ თვითონ არის მოსაყდრე პეტრესი, აცხადებს და საქმიანაც უძღვება მსოფლიო ეკლესიის მართველობას. ათასი წლის განმავლობაში იგი წინამძღვრობდა აღმოსავლეთელებსაც; ეს უკანასკნელნიც მასში განხორციელებულ პეტრეს ხედავდნენ; მერმე კი ზურგი აქციეს, შესწყვიტეს კავშირი მოციქულთა თავთან, გაჰყვნენ იმისთანა სულმდაბალ პირებს როგორებიც იყვნენ ფოტი და მიხელ კერულარი. მე-XVI საუკუნემდე, რომის ეპისკოპოზი ანგლოსაქსონელებსაც წინამძღვრობდა; ესენიც პეტრეს ყოვლად ძლიერ მომაგიერეს ხედავდნენ მასში; მაგრამ, ბოლოს მათაც ზურგი აქციეს, დაჰგმეს თავიანთი წარსული... **რომის ეპისკოპოზი კი კვლავ გაიძახის მე ვარ პეტრეს მოსაყდრეო, და არავინ გამოდის მოქიშპეთ...** მაშ, ის ნამდვილათ პეტრეს მოსაყდრეა, და ის ეკლესია რომელსაც წინამძღვრობს, ნამდვილათ მოციქულების და მაცხოვრის ეკლესიაა. ამას გვეუბნება უბრალო თვალთა-ხედვა, ამასვე ადასტურებს მიუდგომელი ისტორია.



## თავი მესამე.

რას ამბობს ისტორია პეტრესა და მის მოსაყდრეებსზე?

სახარებიდან ჩვენ ის დასკვნა გამოვიტანეთ რომ პეტრე მოციქული ყოფილა სრულიად ეკლესიის უმფროსი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ესლა, ზოგიერთი აღმოსავლეთელი ამასაც უარჰყოფს: პეტრე მხოლოდ **საპატიო უმფროსი** იყო, თორემ პრაქტიკულათ, მისი უფლება დანარჩენ მოციქულების უფლებას არ აღემატებოდაო.

როგორ უყურებენ ამ საკითხს წმ. მამები, ის წმ. მამები, რომლებიც ორსავე ეკლესიისაგან აღიარებულ არიან ქრისტიანული მოძღვრების წყაროთ?..

წმ. მამები ერთხმათ ამბობენ რომ **პეტრე ნამდვილათ უმფროსია მთელს ეკლესიაში**.—იმათი შეხედულობით, მოციქულების უფლება „არ იყო განუსაზღვრელი, როგორც პეტრეს უფლება<sup>1)</sup>.“

„განსაკუთრებული უპირატესობა, პეტრეს გარდა, სხვა არავისთვის მიუცია უფალსა, პეტრე ყველაზე მაღლა დააყენა; თუმცა დანარჩენ მოციქულებსაც აქვთ უფლება, მაგრამ ყველამ უნდა დაუთმოს პეტრეს და აღიაროს რომ იმაზე უნცროსია<sup>2)</sup>.“

„თუმცა ყველა მოციქულიც უაღრესია და ღირსი არჩევისა, ამისდა მიუხედავათ, მხოლოდ ერთს ერქმევა პეტრე და უფალი მას აბრის ეკლესიის საფუძვლებს<sup>3)</sup>.“

„უფალმა პეტრეს გადასცა უფროსობა... თუ მე გიყვარვარ, უფროსობა გაუწიე შენს ძმებსაო... პეტრე თუ

1) ორიგენი ✠ 254: ომილია 13. წმ. მათ.—<sup>2)</sup> ასტერ ამაზიელი (მე-4 საუკ.): მინ. პატროლ. ტ. 40, გ. 268.—<sup>3)</sup> გრიგ. ნაზ.: ომილია ზომიერობაზე.

იერუსალიმის ეპისკოპოზი არ გახდა, ეს იმიტომ რომ ქრისტესგან ნაკურთხი იყო არა რომელიმე ქალაქის ეპისკოპოზათ, არამედ მთელი ქვეყნის მოძღვრად... მარტო პეტრესაც შეეძლო მათია მოციქულის არჩევა, მაგრამ ამას ერიდება რათა მიმკერძველობა არ დასწამონ <sup>1)</sup>.”

აღარ გავაგრძელებთ, ისტორიის მკოდნეს მოეხსენება რომ ამ უკანასკნელ დრომდე, ექვი არავის შეუტანია პეტრეს უმფროსობაზე, რომ წინააღმდეგი რწმენა ანტი-მართლმადიდებლურია <sup>2)</sup>)...

კამათის მოყვარენი არც ამით ათავებენ ცილობას: პეტრემ თავისი უპირატესობა საიქიოს თან წაიყოლიაო...

ეს წინადადებაც ანტი-მართლმადიდებლური გახლავთ; მთელი ისტორია ღაღადებს რომ პეტრემ თავისი უფლება რომის პაპას გადასცა.

წმ. მამების აზრით, პეტრე ჯერ კიდევ ცოცხალია, იგი მოქმედობს თავისი მოსაყდრეების საშუალებით <sup>3)</sup>; პეტრეს მოსაყდრე კი ის არის რომელიც პეტრეს საყდარზე ზის... უფალმა მარტო პეტრეს კი არ მისცა კლიტენი და უმაღლესი მწყემსობა, არამედ მის მოსაყდრესაც <sup>4)</sup>)... რომის ეპისკოპოზი მარტო მოსაყდრე კი არ გახლავთ პეტრესი, არამედ მისი უპირატესობის მემკვიდრეც <sup>5)</sup>)... დიან! მაცხოვრის სიტყვები „შენ ხარ კლდე“ და „განამტკიცენ ძმანი შენნი“, პეტრეს გარდა, კვლავ ძველი რომის ყველა მწყემს-მთავრებსაც შეეხება <sup>6)</sup>)...

იქნება ზოგიერთებმა გაიფიქრონ: პეტრე მოციქულის პატივისცემით თუ მოუვიდოდათ წმ. მამებს, მისი მოსაყ-

1) ოქროპ.: ომილ. 88 იოან.; ომილ. 3 საქმ.—<sup>2)</sup> ანტი-მართლმადიდებლური — წინააღმდეგი მართლმადიდებლობისა.—<sup>3)</sup> ლაბ. კრებ. ტ. 3, ოქმი 3 ეფესოს კრებისა.—<sup>4)</sup> თეოდ. სტუდ. წერ. ლეონ პაპისადმი.—<sup>5)</sup> ტარასი კონსტანტ. პატრ. ლაბ. ტ. 6.—<sup>6)</sup> ეგნატე კონსტანტ. პატრ. წერილი ნიკოლ. პირველისადმი.



დრების გადაჭარბებული ქება; ეს ჩვეულებრივი გახლავსთ მეხოტბეებისაო!..

სცდებიან მოწინააღმდეგენი როდესაც წმ. მამებსაც ჩვეულებრივ მეხოტბეების რიგზე აყენებენ, იმ წმ. მამებს, რომლებიც სიკვდილს რჩეულობდენ უზიანო ტყვილის თქმასა... ყოველ შემთხვევაში ისტორიაც ხომ მეხოტბე არ გახლავსთ? ჰო და! ისტორიულ ფაქტებიდან აშკარათ მოჩანს რომ პაპს მართლაც შეუზღუდველი უფლება ჰქონდა როგორც რწმენის სფეროში, აგრეთვე მართლმსაჯულობისა და მართვაგამგეობისაში.

1. — ისტორიული ფაქტები და უზენაესი სჯულისმდებელი ეკლესიაში. — თავიდანვე, რომაულ ეკლესიის მრწამსი ყველასთვის სავალდებულო იყო; ამას აღნიშნავს იმისთანა მიუდგომელი მოღვაწე როგორიცაა წმ. ირინე, მოწაფე წმ. პოლიკარპესი, რომელიც თავის მხრივ ემაგირდებოდა ივანე მახარობელს: „ყოველა ეკლესიები, ე. ი. ყოველა მორწმუნეები ქვეყნისა შეთანხმებულ-შეკავშირებული უნდა იყვნენ რომაულ ეკლესიასთან, ამ უკანასკნელის უაღრესობისა და პირველობის გამო, და აგრეთვე იმისთვისაც რომ მასში, მუდამ და ყველაფერში დაცულ იქნა მოციქულობრივი გადმოცემა<sup>1)</sup>.“ აშკარაა წმ. ირინეს აზრი: თუმცა მრავლისგან მრავალი ქრისტიანული ეკლესიები არსებობს, მაგრამ ამათ შორის მხოლოდ ერთია რომელსაც მოეპოვებოდეს პირველობა, რომელშიც უმწიკვლოთ დაცულ იყოს სრული მოციქულობრივი მოძღვრება; ეს გახლავსთ „რომის უდიდესი და უძველესი ეკლესია, რომელიც ყველასგან ცნობილია, რომელიც დაამყარეს ყოვლად ბრწყინვალე მოციქულებმა პეტრემ და პავლემ.“ ვისაც უნდა იესო ქრისტეს სამწყსოში ითვლებოდეს, მან უსათუოთ ამ ეკლესიას უნდა შეუთანხმოსთვისა რწმენა, მასთან უნდა დაიჭიროს კავშირი.

<sup>1)</sup> ირინ. მწვალე. წდგ. 3, 3.

რაც დრო გადის, იმდენათ უფრო აშკარავდება პაპის უაღრესობა.

მე-5 საუკუნის ისტორიკოს სოკრატის მოწმობით: არავითარი წესდების შემოღება არ შეიძლება პაპის უდასტუროთ; რაც კი გაკეთდება წინააღმდეგათ რომის ეპისკოპოსის უფლებისა, ყოველსავე ძალას მოკლებული იქნება<sup>1)</sup>. ეს მთელ ქრისტიანობაშია მიღებული, ამიტომაც, როდესაც რომის პაპები უზენაეს სჯულისმდებელსავით მოქმედობენ, უკმაყოფილება და პროტესტი არსაიდან გაისმის; პირიქით, მისი სიტყვა ყველასთვის კანონია. მე-4-5 საუკუნეებში, აფრიკის ეკლესია დაუღვენელ კამათის ასპარეზათ გადაიქცა კათოლიკებსა და მწვალებელ დონატისტებს შუა; ვინ აღნუსხავს თუ რავდენი კრება შესდგა, რავდენი წიგნი აღიწერა... საბოლოოთ, საკითხი მაინც გამოურკვეველი, დარჩა. უკანასკნელ, პაპმა ინოკენტიმ გამოაქვეყნა თავისი დოღმატიური<sup>2)</sup> წერილი, და ამან გადასწყვიტა მთელი საქმე. თვითონ გენიოსმა მკვლევარმა წმ. აგვისტინემვე, რომელიც უმთავრეს მონაწილეობას ღებულობდა მწვალებლებთან კამათში, კმაყოფილებით განაცხადა: რაკი რომიდან მოწერილობა მოვიდა, საქმეს უკვე ბოლო მოეღო (სიტყვა 131).

იმავე დროებში, არა ნაკლებათ გამწვავებული კამათი სწარმოებდა აღმოსავლეთში სულიწმიდის თანაარსობაზე: „ეს რომ შეიტყო რომის ეპისკოპოსმა, მოწერილობა დაუგზავნა აღმოსავლეთის ეკლესიებს: დასავლეთის მღვდლებსავით თქვენც უნდა შეიწყნაროთ სამების თანაარსობა და თანასწორი დიდებაო. ამის შემდგომ, რაკი საკითხი გადაწყვეტილ იქნა რომაულ ეკლესიის მიერ, ყველანიც დაწყნარდნენ<sup>3)</sup>.“

1) სოკრ. ისტ. 2, 7-8; სოზომ. 3, 10.—<sup>2)</sup> დოღმატიური — რომელიც რწმენას შეეხება.—<sup>3)</sup> სოზომ. 7, 22.

პაპის სრული კანონმდებლობითი უფლება რწმენის სფეროში, განსაკუთრებული ბრწყინვალეობით მოჩანს მკაწვრელ ევტიზიანების ისტორიაში. ევტიზი არხიმანდრიტობდა კონსტანტინეპოლის — ამ მწვალებლობის ბუდის — ერთერთს მონასტერში და ასწავლიდა: ქრისტეს მარტო ერთი ბუნება აქვსო. ადგილობრივი პატრიარხი ფლავიანე ცდილობს ჩანასახშივე ჩაჰკლას სიცრუე, მაგრამ ვერაფერს ხდება. აქეთ-იქითგან ხმა გაისმის: აუცილებელია მსოფლიო კრების მოწვევა; რადგან მართლმადიდებლობა დაღუპვის განსაცდელშია ჩავარდნილიო; ფლავიანე კი გაიძახის: რათ გინდათ მსოფლიო კრება, თავისი განუზომელი სიძნელეებით, როდესაც უფრო იოლათ შეიძლება მიზანს მივაღწიოთ: თავისი გადაჭრილი სიტყვა სთქვას რომის პაპმა და სიცრუე აღმოიფხვრება და მაშინ ზედმეტი იქნება კრების მოწვევაო<sup>1)</sup>. გადაჭრილი სიტყვა იგი მოსწერა ფლავიანეს პაპმა ლეონ პირველმა. მსოფლიო კრება მაინც შესდგა ხალკიდონში, მაგრამ რომის მღვდელმთავარმა განუცხადა წმ. მამებს, დელეგატების პირით: „ევტიზის მწვალებლობის შესახებ აღარ არის საჭირო მსჯელობა იქონიოთ, არამედ მხოლოდ ირწმუნოთ. ვინაითგან ჩვენს წერილში ცხონებულ ფლავიანეს მიმართ, სრულიად და ძალიან ნათლათ დავადგინეთ რის რწმენაც ჯერარს განხორციელების საიდუმლოშიო.“

ეხლანდელი მკითხველი უეჭველათ მოელის რომ კრებიდან წამოდგება რომელიმე სიტყვა-მქუხარე ორატორი და დასძახებს: წმ. მამანო! ეს უზურპაცია<sup>2)</sup> გახლავთ და განუზომელი თავმოყვარეობა რომის პაპისა!. ვინ არის იგი რომ კანონებს გვიწერს ჩვენ, რომელნიც შემოკრებულვართ მთელი ეკლესიიდან რათა კანონები დავუწე-

<sup>1)</sup> იხ. ფლავიანეს წერილი ლეონ პაპისადმი.

<sup>2)</sup> უზურპაცია — მითვისება არკუთვნილ უფლებებისა.

როთ ქრისტიანობას? ძირს რომის პაპი! შეჩვენება მის პა-  
ტიმოყვარობას!..“

ღიას! აღმოსავლეთელი მკითხველი ამას მოელის...  
გადავშალოთ ოქმები ხალკიდონის კრებისა<sup>1)</sup>. მართლაც  
პაპის განცხადება აუწერელ ხმაურობას იწვევს; ერთი  
ორატორის მაგიერ მთელი კრებული გაიძახის: „შეჩვე-  
ნება!“ — მაგრამ ვის? — „შეჩვენება იმას რომელსაც ეგრეთ  
არა სწამს, ლეონის პირით თვითონ პეტრემ ილაპარაკაო!“

ეს, ეპიზოდი გახლავსთ მეხუთე საუკუნისა, რომე-  
ლიც მეშვიდე საუკუნეში კვლავ ხორცს ისხავს. შემთხვე-  
ვას რომ მოეტანა, სწორეთ ამნაირათვე მოიქცეოდნენ აფ-  
რიკელი ეპისკოპოზები, რომელნიც თეოდორე პაპს სწე-  
რენ: „უუწმიდესის მოციქულის პეტრეს პატივისთვის,  
თქვენს მოციქულებრივ ტახტს მინიჭებული აქვს, **ღვთიუ-  
რი განკარგულებით**, ვითარცა განსაკუთრებული და უბა-  
დლო სამკვიდრებელი, რომ გამოიძიოს და გამოიკვლიოს  
წმ. დოგმები ეკლესიისა... უძველესი კანონების მიხედვით,  
სადაც უნდა იჩინოს თავი ეკლესიურმა საკითხმა, თუნდაც  
ძალიან დაშორებულ ქვეყნებშიც, არაფრის გამოძიება და  
სამუდამოთ დაკანონება არ შეიძლება, ვიდრე არ იქნეს  
წარდგენილი მოციქულობრივ ტახტისადმი, რათა გამოი-  
ძიოს და განმარტოს თავისი უფლებით და გარდაწყვეტი-  
ლება სულ პირველათ მან გამოიტანოს; რომელი გარდა-  
წყვეტილებაც, გამოქვეყნებისთანავე, ყოველა კათოლიკე  
ეკლესიები ვალდებულნი არიან შეიწყნარონ<sup>2)</sup>.“

მაშ ერთხმათ შეწყნარება პაპის დოღმატიურ განა-  
ჩენთა „არ ახალია, ძველია“...

მეექვსე მსოფლიო კრებაზე (681 წ.), რომელი დე-  
ლეგატები კითხულობენ პაპის აგატონის დოღმატიურ

1) სხდომა მე-2.—<sup>2)</sup> აფრიკელ ეპისკ. წერ. თეოდორე პა-  
პისადმი, იხ. ლაბ. ტ. 6.

მოწერილობას ერთნებიანების <sup>1)</sup> შესახებ; კრება უკამათოდ ღებულობს: აგათონის ბაგეებით თვითონ პეტრევე ლაპარაკობსო. ვნებათ გაიგოთ თუ რა სასოებით უყურებდენ პაპის დოღმატიურ მოწერილობას: „პირველი მოციქულთა შორის და მათი მეთაური მხარს გვიჭერდა, ვინაითგან ჩვენდა განსამტკიცებლათ გვყავდა მისი მომბაძავი და **მემკვიდრე მისი საყდრისა**, რომელიც თავის წერილებში გვიხსნიდა ღვთისმეტყველებრივ საიდუმლოებსა. ძველმა რომმა წამოაყენა თვისი აღიარება სარწმუნოებისა, რომელიც ღვთისგანვეა შემუშავებული; დასავლეთიდან აღმობრწყინდა ნათელი მზე დოღმატებისა. მხოლოდ ქალაქი და მელანი მოჩანდა, მაგრამ თვითონ პეტრევე ლაპარაკობდა აგათონის მიერ <sup>2)</sup>.“

ამ სასოებას მთელი ქრისტიანობა იზიარებდა: „**ყოველა საზღვრები ქვეყნისა და ყოველა მორწმუნეები** სრულიად დედამიწისა, რომელნიც კი წრფელათ და წმიდა რწმენით აღიარებენ ქრისტეს, ყველანი **პირდაპირ რომის უუწმიდეს ეკლესიისა და მისი რწმენის აღიარებისაკენ იცქირებიან**, თითქოს ის იყოს მზე საუკუნო სინათლისა და მისგან მოელოდენ რომ გამოანათოს მათზე ბრწყინვალე სინათლე მამისეულ წმიდა დოღმატებისა... ვინაიდგან იმის შემდგომ რაც გარდამოხდა სიტყვა ღვთისა განხორციელებული, **ყოველა ეკლესიებს მთელი ქვეყნისას ჰქონდათ და აქვთ თავიანთ საძირკვლათ და ფუძეთ, უაღრესი ეკლესია ესე**, რომელსაც მაცხოვრის დაპირებისამებრ ვერ მოერევიან ბქენი ჯოჯოხეთისანი; **მას მოეპოება კლიტენი ჰუმარითი სარწმუნოებისა ქრისტესადმი და მართლმადიდებლურ აღიარებისა**. იგია რომ გულ-

<sup>1)</sup> ერთნებიანი—ვინც ადასტურებს თითქოს იესო ქრისტეს «ერთი ნება» ჰქონდეს მხოლოდ.—<sup>2)</sup> წერილი იმპერატორისადმი, იხ. მანსი, ტ. 11.



წრფელათ მოსულებს განუღებს ხოლმე წყაროებს ერთთ-ერთი ნამდვილი სარწმუნოებისას; იგია რომ ჩააჩუმებს მწვალებლების ზვიად ბაგეებს, უსამართლობას რომ მეტყველებენ <sup>1)</sup>).

არავის შეაქვს ეჭვი რომ პაპებს არ ეკუთვნოდესთ დოღმატების გამოძიება; ამიტომაც გაჩნდებოდა თუ არა რომელიმე მოწინააღმდეგე წმიდა დოღმატებისა, მორწმუნეები დაუყონებლივ რომს მიმართავდენ: „შენ უნდა დაგვიხსნა, უაღრესო მწყემსო მსოფლიო ეკლესიისაო. მიებაძე ქრისტეს, შენს მოძღვარს, და გამოუწოდე ხელი კონსტანტინეპოლის ეკლესიას. გვედრებით.. დასჯაქეთ, როგორც შეენის, ეხლანდელ მწვალებლების წინააღმდეგ.. ვინაიდგან ქრისტემ დიდს მოციქულს პეტრეს მისცა კლიტენი სასუფეველისა და ღირსება უაღრეს მწყემსობისა, ამიტომაც აუცილებლათ **პეტრესვე, ე. ი. მის მოადგილეს უნდა ვაუწყოთ ახალი მწვალებლობანი** <sup>2)</sup>).

ამავე შეხედულობისაა წმ. კირილე ალექსანდრიელი. მის დროს ვრცელდებოდა ნესტორის—კონსტანტინეპოლის პატრიარხის—მწვალებლობა, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. თუმცა დარწმუნებულია წმ. კირილე რომ სარწმუნოება განსაცდელშია, მაგრამ მაინც ვერ ბედავს სახალხოთ ჩამოშორდეს კონსტანტინეპოლის პატრიარხს და პაპს ცელესტინეს ემუდარება: „გთხოვთ გამოაქვეყნოთ თქვენი რწმენა **სხვების სახელმძღვანელოთ**,—ჯერ არს მასთან ურთიერთობა ვიქონიოთ თუ აშკარათ განვუცხადოთ რომ ყველასგან მიტოვებულია, უკეთუ მტკიცეთ ადგია თავის შეხედულობას <sup>3)</sup>)?“

<sup>1)</sup> მაქსიმე აღმს. წერილი პაპთან, იხ. მინის ბერძნ. პატრ. ტ. 91.—<sup>2)</sup> თეოდორე სტუდელის († 826) წერილი ლეონ პაპთან.—<sup>3)</sup> ლაბ. ტ. 4.

„უკეთუ პიროსს <sup>1)</sup> უნდა მკაწვრელათ (მწვალებლათ) არ იქნას ჩათვლილი — დასძენს წმ. მაქსიმე —, უწინარეს ყოვლისა, თავი იმართლოს რომაული ტახტის წინაშე, მაშინ ყველანიც კეთილმსახურათ და მართლმადიდებლათ ჩასთვლიან. ტყვილათ ცდილობს დააჯეროს ჩემისთანები, უკეთუ თავდაპირველათ არ დააკმაყოფილებს და ვედრებით არ მიმართავს უწმიდეს პაპს რომისას, ე. ი. მოციქულებრივ ტახტს, რომელსაც განკაცებულ სიტყვისგან და კრებათაგანაც მიღებული აქვს უფლება შეეკრისა და გახსნისა ყველაფერში და ყველასთვის... უკეთუ სხვებს მიმართავს და რომის პაპს კი არა, მაშინ იმ კაცსავით მოიქცევა, რომელსაც ჰბრალდება კაცის კვლავ ან სხვა რომელიმე უსჯულოება, და იმის მაგიერ რომ კანონიერ მსაჯულის წინაშე იმართლოს თავი, — კერძო პირებს უმტკიცებს თავის უმანკობას! <sup>2)</sup>“

ამ გამოკვლევებიდან აშკარათ მოჩანს რომ პირველ რვა საუკუნეთა ქრისტიანები ერთხმით წყნარულობენ პაპის უზენაეს უფლებას კანონმდებლობაში. იმათი შეხედულებით, უფლება იგი, ღვთის განკარგულებით აქვს მინიჭებული და არა რომლისაჲმე კრებისა ან ბედნიე-

<sup>1)</sup> განსაკვირვებელია სწორეთ, — არც ერთს ქალაქში არ აღმოცენებულა ეგოდენი მწვალებლობა როგორც მეთაურობის მოპრიანე კონსტანტინეპოლში პიროსიც პატრიარხი გახლდათ კონსტანტინეპოლისა! და ასწავლიდა რომ იესო ქრისტეს მხოლოდ ერთი ნება აქვსო. წმ. მაქსიმე აღმსარებელმა საჯარო კამათში შეარცხინა, მაგრამ ძვირათ დაუჯდა გამარჯვება... პიროსის მომხრეებმა ენით გამოუთქმელი წამება მიაცხენეს, მაგრამ მისი ჩაჩუმება მხოლოდ მაშინ მოახერხეს, როდესაც ენა და მარჯვენა ხელიც მოჰკვეთეს! ამ მხეცურ ტანჯვის მერმე ლაზის-ტანში განაძევეს სადაც მიიცივალა 662 წელს. იგი მიჩნეულია «მართლმადიდებლობის კანონათ» და უდიდეს ღვთის-მეტყველათ მთელს ეკლესიაში.

<sup>2)</sup> წერილი წმ. მაქსიმესი პეტრ. მინ. ტ. 91.

რი შემთხვევის წყალობით, თუმცა კრებანიც ბრწყინვალეთ ადასტურებენ მის ღირსებას.

2. — ისტორიული ფაქტები და უზენაესი მსაჯული ეკლესიაში. — საბოლოოთ დასჯა ან გამართლება ეკლესიურ საკითხში, კვლავ პაპების უცილობელ უფლებას შეადგენს. ნესტორს, — რომელსაც არა სწამდა ქ. მარიაშის ღვთისმშობლობა, — 10 დღის ვადას აძლევს პაპი ცელესტინე: „უკეთუ 10 დღეში არ გადუთქვამს თავისი ბოროტი მოძღვრება, მაშინ თქვენმა სიწმიდემ მკაცრათ აღასრულოს ჩვენი განკარგულებაო“ ავალებს წმ. ცელესტინე თავის დელეგატს წმ. კირილე ალექსანდრიელს, ამასთანავე ამხნევებს: ნურაფრისა დაგერიდება „შენდამი გადმოცემულია უფლება ჩვენი ტახტისაო<sup>1)</sup>.“

წმ. კირილემ მაშინვე გამოაქვეყნა პაპის მოწერილობა. ნესტორის მეგობრებს თავზარი დაეცათ: „თუმცა უფალმა ჩემმა, ყოვლად კეთილმა ეპისკოპოზმა ცელესტინემ მცირე ვადა, — 10 დღისა, დაგინიშნა გარდათქმისთვის, გარნა რამდენიმე დღე და საათიც კი კმარა... ეს არის ჩვენი რჩევა და ვედრება... გეხვეწებით, ბატონო, დაგვიჯერე, შეაჩერე შენი მორჩილებით შედეგი ამ წერილისა, თორემ იგი მძაფრ ნიავექარსავით ჰბერავს. თუ დავნებდებით, არც ღელვას და არც უწესობას გამოიწვევს; მაგრამ თუ გავუძალიანდებით, სანანელი გაგვიხდება<sup>2)</sup>.“

ნესტორი არ დანებდა, ამიტომაც ეფესოს კრებამ გადააყენა იგი; კრება პაპის სახელით მოქმედობს: „აღძრულნი და იძულებულყოფილნი კანონებითა და მოწერილობითა უუწმიდესისა მამისა ჩვენისა და კოლეგისა მსახურებასა შინა, რომის ეპისკოპოზისა ცელესტინესი,

1) წერილი ცელესტინე პაპისა წმ. კირილესადმი.

2) წერილ. ივ. ანტიოხ. ნესტორისადმი, მინ. ტ. 10. წმ. კირილეს თხზულებებში.

ცრემლთა ფრქვევით გამოვიტანეთ ეს სამწუხარო განაჩენი ნესტორის წინააღმდეგ<sup>1)</sup>.“ ვინც გაეცნობა მესამე მსოფლიო კრების ოქმებს, და ნახავს თუ რა ძლიერი და მრავალ რიცხოვანი მომხრეები ჰყავდა ნესტორს, ის მაშინ მიხვდება თუ როგორ უნდა შეფასდეს სიტყვები: „ადრულნი და იძულებულყოფილნი“. საკმაოდ მოჩანს, პაპის მკაცრი მოწერილობა რომ არ ყოფილიყო, ნესტორი თავს დაახწევდა შეჩვენებას<sup>2)</sup>...

გაქიანურებისა რომ არ გვერიდებოდეს, შეგვეძლო კიდევ დაწვრილებით მოგვეყვანა დიოსკორის განკვეთა ლეონ პაპისაგან, კირისა და სერგისა მარტინესგან და სხვ. მაგრამ ერთი ნესტორის მაგალითიც აშკარათ აჩვენებს თუ რა შეუზღუდველი ძალა იყო პაპის ხელში.

პაპები, შემთხვევის დავვარ, ახსნიდენ ხოლმე დასმენილ-დამნაშავეებს და მაშინ წინანდელი პატივი და ხარისხი უბრუნდებოდათ. ეს ხშირათ ხდებოდა განსაკუთრებით მეოთხე საუკუნეში; მაშინ მკაწვრელ არიოსელებს<sup>3)</sup> დიდი გავლენა ჰქონდათ აღმოსავლეთში; ისინი მართლმორწმუნე ეპისკოპოსებს სდევნიდენ თავიანთ ეკლესიებიდან და იმათ მაგიერ არიოსელ ღვდელმთავრებს აწესებდენ. გადაყენებული ეპისკოპოსებიც ჩვეულებრივ რომის პაპს მიმართავდენ, რომელიც ჩამორთმეულ ადგილს უბრუნებდა. უკმაყოფილო არიოსელები პაპს დაედავენენ: თქვენ არა გაქვსთ უფლება ადგილობრივ სამსჯავროს მიერ გადაყენებულ ეპისკოპოსების საქმე ხელმეორ განიხილოთ.

მართლმადიდებელი მღვდელ-მთავრები ერთხმათ გა-

1) ლაბ. ტ. 7.—<sup>2)</sup> ისტორიაში, პირველი მაგალითი განკვეთისა პაპისაგან გვხვდება ვიქტორის დროს (190—201); ამან შეჩვენების ქვეშ დაავალა მცირე აზიის ეპისკოპოსებს რომ აღდგომა ურიებთან ერთათ არ ედღესასწაულათ.

<sup>3)</sup> არიოსელი—მიმდევარი არიოსისა, რომელსაც იესო ქრისტე ღმერთათ არ სწამდა.

მოექცომაგნენ პეტრეს მოსაყდრეს; 300-მა მათგანმა თავი მოიყარა სარდიკის ქალაქში (დღევანდელი სოფია) 347 წ.

— უკვდავი **ათანასეც** მათ შორის იყო— და დადგენილება გამოიტანეს: „უკეთუ რომელიმე ეპისკოპოსი, მახლობელ მწყემსთ-მთავართაგან გადაყენებული, თხოულობს ხელმეორე გასამართლებას, არავის შეეძლოს მის საყდარზე მოადგილის დაყენება, სანამ რომის ეპისკოპოსი არ განიხილავდეს საქმეს და არ მიაწვდიდეს თავის განაჩენსა.“

კრებამ კანონებიც კი დაიმუშავა თუ როგორი თანდათანობა უნდა დაეცვათ განსაჩივრების დროს. განსაჩივრებას ორი ხარისხი აქვს: სულ პირველათ, პაპმა „კეთილ ინებოს და მოსწეროს იმ ეპისკოპოსებს რომელნიც დასჯილ ეპისკოპოსის პროვინციის ახლო ცხოვრობენ, რათა გულმოდგინეთ და დაწვრილებით გამოიძიონ საქმე და სიმართლის დაგვარ გამოიტანონ განაჩენი.“ ეპისკოპოსი სულ თავში, თავისივე პროვინციის ეპისკოპოსებმა დასაჯეს; მეორეჯელ, პაპის წინადადებით, მახლობელ პროვინციის ეპისკოპოსებმა უნდა განიხილონ საქმე. უკეთუ ამითაც არ დაკმაყოფილდა სამართალში მიცემული ეპისკოპოსი, მაშინ „**რომის** ეპისკოპოსმა კეთილინებოს და გამოგზავნოს დელეგატნი თავისი უფლებებით აღჭურვილნი, რათა გაასამართლონ ეპისკოპოსებთან ერთათ... გარნა, უკეთუ რომის ეპისკოპოსი ფიქრობს რომ მარტოხელსაც შეუძლია საქმის განხილვა და განაჩენის გამოტანა, ისე მოიქცეს როგორც საუკეთესოთ დაინახავს მისი დიდი სიბრძნე<sup>1)</sup>).

აქედან აშკარათ მოჩანს რომ კრების დადგენილება განსაჩივრების მსვლელობაზე სავალდებულო არ იყო რომის პაპისთვის, რომელიც ხშირათ ანგარიშსაც არ უწევდა მას, განსაკუთრებით მაშინ როდესაც დასჯილები პირადათ ეახლებოდნენ. ისტორიკოსი სოკრატი იხსენიებს რამდენ-

<sup>1)</sup> ფოტი, კრებული კანონებისა. ტიტ. 1, თ. 4, კან. 2.

სამე ეპისკოპოსს და მათ შორის მრავალწამებულ **პატრიარქს** — **სესაც**, რომელნიც სარდიკის კრების უწინ ეახლნენ რომის ეპისკოპოსს: „გაუთვალისწინეს მას თავიანთი საქმე, და ამ უკანასკნელმა, რომაულ ეკლესიის პირველობის ძალით, თვითეულსავე თავისი საკუთარი საყდარი დაუბრუნა და გამოისტუმრა აღმოსავლეთში; თანვე წერილები გამოატანა, რომლებითაც სტუქსავდა იმათ ვინც თვითნებურათ გადააყენა იგინი... ზოგიერთ გადამყენებელთაგანს დღე დაუნიშნა რომ გამოცხადებულიყვნენ და პასუხი ეგოთ თავიანთ განაჩენის გამო; ამასაც უმატებდა: ამას იქით აღარ დაუშვებ რომ ახალ-ახალი წესების შემოღებით მღელვარება დაჰბადოთ“<sup>1)</sup>.

სარდიკის კრების მერმეც, კვლავინდებური დამოუკიდებლობით მოქმედობდენ რომის პაპები. კესარიის მნათობი, — წმ. ვასილი იხსენიებს სებასტელ ეპისკოპოსს ევსტატეს: ადგილობრივ კრებისგან გადაყენებულს, პაპა ლიბერიოსთვის მიუმართავს, რომელსაც დაუბრუნებია მისთვის ჩამორთმეული ღირსება. სამშობლოში დაბრუნებისთანავე „ტიანის კრებას წარუდგინა წერილები (პაპა ლიბერიოსი) და ღირსებაც დაებრუნა“<sup>2)</sup>.

ყველასგან ცნობილია რომ გადაყენებულმა და განდევნილმა ოქროპირმაც რომის სასამართლოს მიმართა; მაგრამ, უფრო საგულისხმო ის არის რომ მისმა გადამყენებელმა ალექსანდრიელ პატრიარქმა თეოფილემაც რომში კაცები აფრინა, რათა დაეცვა სიმართლე თავისი განაჩენისა. პაპმა თეოფილე გაამტყუნა და ლეგატები გაგზავნა რათა ადგილობრივვე ხელმეორ გაერჩიათ საქმე... რაღათქმა უნდა, ოქროპირი საბოლოოთ გამართლდა.

ქვემოთ, ტანჯულ წმ. ეგნატეს განსაჩივრებასაც შევხვდებით. რაც შეეხება ეკლესიათა დაყოფის მომიზეზე

<sup>1)</sup> სოკრ. 2, 15; სოზომ. 3, 8. —<sup>2)</sup> ვასილ., წერ. 263.

ფოტსა, იგი პატრიარხოზის პირველ დღიდანვე გაეცნო რომის უზენაეს უფლებას. პაპმა მისი პატრიარხოზზე კურთხევა კანონიერათ არა სცნო, რადგანაც ექვსი დღის განმავლობაში მიეღო მთელი ეკლესიური ხარისხები, მედავითნობიდან დაწყებული პატრიარხოზამდე. ფოტმა, შეატყო რა მიკიბ-მოკიბვით ფონს ვერ გავიდოდა, გამოინახა საშუალება რათა მისი უფლებიდან განთავისუფლებულიყო. ამას შემდეგში ვნახავთ.

**3. — ისტორიული ფაქტები და უზენაესი მართველი ეკლესიაში.** — ზემო თქმულიდანაც ნათლათ დანახავდა მკითხველი რომ მსოფლიო ეკლესიის მართველობა პაპის ხელთ იყო. მართლმადიდებელი მკითხველი პატივით მოისმენს პაპის ლეონ პირველის სიტყვებს, იმ ლეონის რომლის ხსენებასაც საქართველოს ეკლესია 18 თებერვალს ასრულებს: „თვითეული კერძო მწყემსი მფლობელობს თავის სამწყსოზე განსაკუთრებული მზრუნველობით... მხოლოდ ჩვენ ვართ ვალდებული უველას მზრუნველობაში მონაწილეობა მივიღოთ; თვითეული სამწყსოს მართველობა ჩვენის თანამდებობის შემადგენლობაში შედის<sup>1)</sup>“. ლეონ პაპის სიტყვას ისტორიაც ამართლებს: რომი ნამდვილი ცენტრია მთელ ქრისტიანობისა. წმ. იერონიმე იხსენიებს პაპა დამაზსა (366—384), როდესაც მის მდივნობას ეწეოდა და „აღმოსავლეთ-დასავლეთის შეკითხვებზე“ პასუხს აძლევდა<sup>2)</sup>.

მორეულ საქართველოდანაც თვალები რომისკენ იხრებოდა; თამარაშვილის ისტორიაში<sup>3)</sup> მოყვანილია წმ. გრიგოლ დიდის პასუხი კირიონ კათალიკოსისადმი, სადაც დირექტივებს აძლევს თუ როგორ უნდა მოიქცეს მწვალებელი ნესტორიანების მიღების დროს. ფაქტი დღით საგულისხმოა; საქართველო ანტიოხიის საპატრიარ-

1) თხზულ. მინ. 1846. 1, 153.—<sup>2)</sup> წერილ. 123.—<sup>3)</sup> გვ. 24.



ხოს ეკუთვნოდა, ამისდამიუხედავათ, სამართველბრეტივეებს ანტიოქიისგან კი არა, ცხრა მთის იქით მდებარე რომის ტახტისგან თხოულობს. კირიონის დელეგატს იერუსალიმშიც გაუვლია; სულ ადვილი იყო შეპკითხოდა აღმოსავლეთელ პატრიარხებს, და საფიქრებელიც არის რომ შეეკითხებოდა, მაგრამ ჩვენი კათალიკოსი მაინც საჭიროთ სთვლის, პაპისგანაც მოითხოვოს დირექტივები. კირიონი მისდევდა მთელს ქრისტიანობაში მიღებულ ადათს, რომლის მიხედვითაც: „სადაც არ უნდა ეჩინა თავი ეკლესიურ საკითხს, თუნდაც ძალიან დამორბეულ ქვეყნებში, არაფრის გამოძიება და დაკანონება არ შეიძლებოდა ვიდრე საქმეს არ გამოიკვლევდა და არ განმარტავდა მოციქულებრივი ტახტი; სულ პირველათ მას უნდა გამოეტანა დასკვნა, და მერმე ეს დასკვნა, გამოქვეყნებისთანავე, ყოველა კათოლიკე ეკლესიებისთვის სავალდებულოთ ითვლებოდა <sup>1)</sup>.“

მართო დირექტივების მიცემით როდი კმაყოფილდებოდა რომის პაპი; თვითონ უმაღლესი მწყემს-მთავრებიც მისგან ღებულობდენ უფლების სისრულეს. ისტორიული ფაქტია რომ **პატრიარხები მხოლოდ მაშინ ითვლებოდენ კანონიერ მწყემსებათ, როდესაც მათ დამტკიცებდა პეტრეს მოსაყდრე;** ამის უამრავი მაგალითი გვხვდება: იმპერატორმა თეოდოზ დიდმა ნეკტარის დამტკიცება მოითხოვა კონსტანტინეპოლის საყდარზე; ესრეთვე მოიქცა წმ. იოანე ოქროპირიც <sup>2)</sup>...

განსაკუთრებით საგულისხმოა ანტიოხელ მაქსიმეს საქმე: იგი ეფესოს ავაზაკურ კრებაზე აკურთხეს, როდესაც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო კანონიერი პატრიარხი; ორნაირი უკანონობა ხელს უშლიდა მის დამტკიცებას...

<sup>1)</sup> წერილ. აფრიკ. ეპის. პაპ. თეოდორესთან. ლაბ. კრებ. ტ. 6.—<sup>2)</sup> ბრუკ. ეკლ. ისტ. ტ. 1, 221, შენიშ. 2.



ლეონ დიდმა ეფესოს ავაზაკური კრების დადგენილებანი მთლათ გააბათილა, მაქსიმე კი მაინც დაამტკიცა ანტიოხიის საყდარზე; შეიტყეს თუ არა ეს აღმოსავლეთში, მყისვე ჯეროვანი პატივით მიიღეს მაქსიმე, რომელსაც უსათუოთ წყევლა-კრულვით შეხვდებოდნენ, პაპის დამტკიცება რომ არ ჰქონოდა.

ამ ფაქტიდან ნათლათ მოჩანს რომ დამტკიცების მოთხოვნა მარტო ფორმალურ პატივისცემათ კი არ ითვლებოდა, არამედ აუცილებელ საჭიროებად. ამიტომაც იყო რომ მედიდურმა ფოტმაც კი ვერ აუქცია მხარი ამ მოთხოვნილებას: ორჯელ გაპატრიარხდა, ორჯელვე დამტკიცება მოითხოვა.

ფოტის შემდგომაც ესრეთ იქცეოდნენ პატრიარხები. ისტორია იხსენიებს ჭაბუკს თეოფილაქტეს, რომელსაც კანონიერი პასაკი არ ჰქონდა პატრიარხოებისათვის; თუმცა კონსტანტინეპოლის სამღვდელოება და მრავალი აღმოსავლეთელი ეპისკოპოსიც წინააღმდეგი იყო, მაინც პაპმა ივანე მე-XI (931-936) ნება დართო მის მღვდელმთავრობაზე.

ჩვეულებრივ, რომის მღვდელმთავარი არ ერეოდა კერძო ეკლესიათა შინაურ საქმეებში; მაგრამ, შემთხვევა თუ მოიტანდა, **სრულ უფლებიან დელეგატებს** გაგზავნიდა. ამის საგულისხმო მაგალითი მეშვიდე საუკუნეშივე გვხვდება. მაშინ ერთნებიანების<sup>1)</sup> მწვალებლობა მაგრათ ფეხს იკიდებდა აღმოსავლეთში; ანტიოხიის ქებულ საყდარზეც კი მონოთელიტი<sup>1)</sup> მაკედონი იჯდა. იერუსალიმელ პატრიარხმა წმ. სოფრონმა რომის პაპას მიმართა ამ სიტყვებით: „ხან წყალს ვთხოულობდით თავისა ჩვენისათვის და ცრემლის წყაროებს თვალთა ჩვენთათვის, რათა

<sup>1)</sup> ერთნებიანი ანუ მონოთელიტი: ვინც მხოლოდ ერთს ნებას აღიარებს იესო ქრისტეში, ნამდვილათ კი იესო ქრისტეს ორი ნება აქვს: ღვთიური და კაცობრიული.

გვეტირა ამ სამწუხარო უბედურებაზე, ხან კი ღვთის  
დავითთან ერთათ ვნატრობდით ფრთეთა ტრედისათა,  
რათა მოვფრენილიყავით და გვეუწყა ჩვენი განადგურება  
**უაღრეს საყდრისათვის, რომელიც უმწვერვალესია ყო-**  
**ველთა საყდართა შორის,**—თქვენსავე საყდარს ვგული-  
სხმობ უმაღლესსა და ღვთიურსა,—რათა კრილობა მთლათ  
გაგვიკურნოს, რის მოქმედებასაც **დასაწყისიდანვე** ჩვეულ  
არს ადასრულოს **ხელმწიფებით**, თავისი მოციქულებრივი  
და კანონიერი უფლების ძალით<sup>1)</sup>.”

პაპმა მარტინე I-მა (649-655) არ დააყოვნა მოქმე-  
დება; ძირიან-ფესვიანათ ამოგდება მოინდომა მწვალებლო-  
ბისა: „იმ უფლების ძალით რომელიც ღვთისგან ჰქონდა  
მიღებული პეტრეს საშუალებით“ არა ჩვეულებრივ მოა-  
დგილეთ დანიშნა ფილადელფიელი ივანე და დაავალა:  
„გაასწორე რაც კი უკანონოა, განაწესე ეპისკოპოსები,  
მღვდლები და დიაკვნები ყოველა ქალაქებში, რო-  
მელიც დამოკიდებულია ანტიოხიისა და იერუსალიმის  
საყდრებზე. ყოველნაირი საშუალება იხმარე ამ მიზნის  
განსახორციელებლათ, ჩვენ ამას გიბრძანებთ იმ ხელმწი-  
ფების ძალით რომელიც უფლისგან გვაქვს მიღებული  
პეტრეს საშუალებით“<sup>2)</sup>.”

ამასთანავე წერილებიც დაუგზავნა აღმოსავლეთის  
ყველა მართლმადიდებლებს, რათა **სრულის მორჩილებით**  
**შეხვედროდენ** ხსენებულ ივანეს, ფილადელფის ეპის-  
კოპოსს.

წმ. სოფრონის წერილიდან ნათლათ მოჩანს რომ  
პაპა, სრულუფლებიან მოადგილის დანიშვნით, არ გადა-  
სცილებია თავის ხელმწიფობის ფარგლებს. სოფრონი  
ახალს არაფერს ამბობდა; რამდენისამე საუკუნის წინეთ,  
განა იერუსალიმის პატრიარხივე არ აცხადებდა ეფესოს

<sup>1)</sup> ჰარდუინი, კრებ. ტ. 3, გ. 712.—<sup>2)</sup> ლაბ. კრებ. ტ. 7, გ. 20.

მსოფლიო კრებაზე (წმ. 431) რომ „ანტიოხიის პატრიარ-  
ხმაც პატივი და მორჩილობა უნდა მიაგოს დიდი რომის  
სამოციქულო საყდარს, რომელთანაც დაკავშირებულია  
იერუსალიმის სამოციქულო საყდარიც; ჩვეულება და  
მოციქულებრივი გადმოცემაც თხოულობს რომ ანტიო-  
ხიის საყდარსაც კი იგი განაგებდეს და ასამართლებ-  
დეს“<sup>1)</sup>?

ამას, აღმოსავლეთის მწყემსმთავარი ბრძანებს მსო-  
ფლიო კრებაზე რომელიც თითქმის მარტო აღმოსავლე-  
თელ ეპისკოპოსთაგან შესდგება; აღსანიშნავია რომ ეს  
წინადადება არავითარ კამათს და პროტესტს არ იწვევს.  
ცხადია საუკუნიდანვე არავის შეჰქონდა ეჭვი რომის პა-  
პის სრულუფლებიანობაზე, ყველას სწამდა რომ მისი  
უპირატესობა მოციქულების დროიდანვე მომდინა-  
რეობს.

ამის შემდგომ, დაე თვითონ მკითხველმაც გადას-  
წყვიტოს, თუ რავედნათ სიმართლეს შეეფერება დღევან-  
დელ აღმოსავლეთელ ღვთის-მეტყველთა მტკიცება, რომ  
მხოლოდ მეცხრე საუკუნეში მოჩანს პაპების განდიდება,  
და სწორეთ ამის მიზეზითაც ჩამოშორდა მას მთელი აღ-  
მოსავლეთიო. ისტორიული სინამდვილე კი სულ სხვა  
რამეს გვეუბნება: პაპის უმფროსობა გაყოფის მერმეც კი  
სწამდათ აღმოსავლეთელებს! მაშ რამ გამოიწვია ქრის-  
ტიანობის დაყოფა? შევეკითხოთ ისტორიას.



<sup>1)</sup> იხ. მე-4 სხდომის ოქმები.

## თავი მეოთხე.

რას გვეუბნება ისტორია მე-9 და მე-11 საუკუნის განსეთქილებაზე იმ დროინდელ შავ კბირებზე?

გაქრისტიანებულმა კონსტანტინემ ახალი დედაქალაქი გაუჩინა იმპერიას: იქნობამდე უმნიშვნელო და უცნობი ბიზანტია, ბრწყინვალე კონსტანტინეპოლად, ახალ რომად გადაიქცა, რომელმაც მეტოქეობა დაუწყო ძველ რომს, როგორც პოლიტიკურათ, ეგრეთვე სარწმუნოების მხრივაც.

პირველ ხანებში, კონსტანტინეპოლს უბრალო ეპისკოპოსი ჰყავდა, რომელიც ექვემდებარებოდა ირაკლის (ქალაქია) მიტროპოლიტს; მაგრამ დედაქალაქში ყოფნა და სხვისი მორჩილობა, ეს ცოტა არ იყოს ენოთირებოდათ კონსტანტინეპოლელებს; ამათი მისწრაფება თხოულობდა: თუ დანარჩენ მღვდელმთავრებს არ გავასწრეთ, მაინც უნდა გავუთანასწორდეთო. აღმოსავლეთელი ეპისკოპოსები ამას ადვილათ შეურიგდენ, რადგან კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსი ისედაც მათი ფარხმალი იყო იმპერატორთან; ამიტომ კონსტანტინეპოლის მსოფლიო კრებაზე 381 წელს, საპატოო უპირატესობა შესთავაზეს შემდგომად რომის ეპისკოპოსისა, და ხალკიდონის 28 მუხლით, ნამდვილი საპატრიარხო უფლებანიც მიანიჭეს. მაგრამ, პაპის უდასტუროთ ხომ—სოზომენის თქმისა არ იყოს—არავითარი წესდების შემოღება არ შეიძლებოდა... მეტი რა გზა ჰქონდათ, ხალკიდონის დადგენილებანიც გაუგზავნეს მას „თანხმობისა“ და დამტკიცების“ მოსაპოვებლათ. 28 მუხლისთვის იხვეწებოდენ განსაკუთრებით: „გვედრებით თქვენის განაჩენით დამტკიცოთ ჩვენი

მსჯავრი და როგორც ჩვენის მხრით, თავს შეეუთანხმდით საკეთილოთ, ეგრეთვე თქვენმა უმწვერვალესობამაც ასარულოს შეიღებისათვის რაცკი შესაფერია“<sup>1)</sup>.

ამ დაგვართვე იხვეწებოდა იმპერატორი მარკიანე, მისი მეუღლე პულქერია და მეტადრე კონსტანტინეპოლის მღვდელმთავარი ანატოლი.

ლეონ პაპმა ძალიან შორს დაიჭირა: აი როგორ უპასუხებს იმპერატორს: ანატოლს „ისიც ეყოფა რომ, თქვენის შუამდგომლობით და ჩვენის თანხმობით, ესოდენი ქალაქის ეპისკოპოსობა მოიპოვა... მაგრამ, ტყვილათ იმედოვნებს სხვების ხარჯზე გაფართოებას... მე ვალდებული ვარ ვიფიხილო (ეკლესიების უპირატესობათა უცვლელობაზე), რადგან ჩემზეა მონდობილი **გამგეობა** და დამნაშავე ვიქნები, მამათა წესების დარღვევა რომ დაფუშვა“<sup>2)</sup>.

ანატოლს უფრო მკაცრათა სწერს, ჰკიცხავს მის პატივმოყვარეობას და დასძინს: „ნუ ემყარები კონსტანტინეპოლის კრების დადგენილებაზე, რომელიც რაკი სამოციქულო ტახტს არ წარუდგინეს შენმა პირვანდელმა მოსაყდრეებმა, ცხადია, სათავეშივე გაარარავებულია, მაშ, მასზე დამყარება დაგვიანებული და ამაოა. იმ ზომამდე მიყვარს ჩემი ძმები, რომ არც ერთს არ მივანიჭებ რასაც თხოულობს, თუ კი მანებელი იქნება მისთვის; ესრეთ, კეთილ სურვილს უნდა მააწერო რომ წინააღმდეგობას გიწვევ, რათა შენი მიზეზით შფოთი არ დაიბადოს ეკლესიაში“<sup>3)</sup>.

დედოფალს პულქერიას გარდაწყვეტით ეუბნება 28 მუხლის შესახებ: „**ვარარავებ ნეტარი პეტრე მოციქულის ხელმწიფებით და ვსპობ მას შეუღრეკელი განაჩენით**“<sup>3)</sup>.

1) ბალერინი, წერილი 98.—<sup>2)</sup> ბალ. 104.—<sup>3)</sup> ბალ. 106.—იგივე 105.

ამისთანა მტკიცე მოწერილობის შემდეგ, ყველანი ჩაჩუმდნენ, ანატოლმა კი პირი მოითეთრა: „დავარწმუნებ თქვენს სიწმიდეს მე არაფერ შუაში ვარ... კონსტანტინეპოლის სამღვდელოებამ მოისურვა... მაგრამ **დამტკიცება თქვენ გეკუთვნისთ და არაფერს არ ექნება** ძალა თუ არ თქვენივე ხელმწიფებითა“<sup>1)</sup>.

მართლაც, 28 მუხლი თავიდანვე არ იქნა შეტანილი ხალკიდონის კრების ოქმებში, როგორც ამას მოწმობს მართლმადიდებელივე ავტორი „კონსტანტინეპოლის საკრებულო ოქმებისა“<sup>2)</sup>.

კონსტანტინეპოლის საყდარმა პატივმოყვარეობა მაინც არ მოიშალა. 587 წელს, მისმა მღვდელმთავარმა „მსოფლიო პატრიარხის“ ტიტული მიითვისა, რასაც ჩვეულებრივ არც ერთი პატრიარხი ხმარობდა.

პაპი გრიგოლ დიოლოღონი განკვირვებულია: როდესაც ქალაქები ინგრევა, ციხეები ნადგურდება, მაზრები ცალიერდება მცხოვრებთაგან, როდესაც მიწის დამმუშავებელიც თითქმის აღარ რჩება, როდესაც კერპთაყვანისმცემლები ბობოქრობენ და ყოველ დღე ჟღერენ მორწმუნეებს, — აი ამ დროს, იმის მაგიერ რომ მღვდლები თავზე ნაცარ დაყრილნი, მიწაზე იყვნენ განრთხმულნი, პირიქით, სამპარტავნო სახელწოდებებს იგონებენ და ახალ-ახალი, აქნობამდე არა-სმენილ წოდებებით ქაღულობენ!“ პაპი ხელს აწერდა: „მსახური მსახურთა ღვთისათა“<sup>3)</sup>.

სიტყვითაც და საქმითაც სწვრთნიდა... „მსოფლიოს“ ტიტული მაინც არ დასთმეს კონსტანტინეპოლის მწყემსებმა. ეს მხოლოდ ტიტული გახლდათ, რადგან ჯერ კიდევ სცნობდნენ რომის პატრიარხის უპირატესობას; მაგრამ,

<sup>1)</sup> ბალერიანი, 132. — <sup>2)</sup> მაი «სპიცილეგიუმ რომანუმ» ტ. 7. შესავ. 25-26. — <sup>3)</sup> წერ. 32.

გამჭრიახი დაკვირვების პატრონს მაშინვე შეეძლო ეწინასწარმეტყველებინა რომ, ადრე თუ გვიან, კონსტანტინეპოლელი პატრიარხი უკუაგდებდა ძველი რომის უღელს. ეს მოხდა ფოტისა და მიხელ კერულარის მეოხებით. ჯერ ფოტი და მისი თანამედროენი გავიცნოთ. მაშინ რომში მღვდელმთავრობდა ნიკოლა I (858-867); მისდა დასახასიათებლათ კმარა ტიტული „წმიდისა და დიდისა“, რომლითაც ცნობილია ისტორიაში. ისტორიკოსები ერთხმით ღაღადებენ მის შორსმჭვეტელობას, მეცნიერებას და ქრისტიანულ სათნოებას; ის იყო საყოველთაო მამა რომის მიდამოების გლახაკების და უძღურებისა, რომელთაც ყოველ დღე ურიგებდა საზრდოს.

ნიკოლას დროს, კონსტანტინეპოლის სპაპატრიარხოც შესაფერისათ ბრწყინავდა წმ. ეგნატეს წყალობით, რომელიც დასძენს. მისი ისტორიკოსი ნიკითა—იმ რჩეულ სულთაგანი იყო, ღმერთი რომ დროდან დროზე გამოაბრწყინებებს ხოლმე, რათა აჩვენოს რა სიმაღლემდე შეუძლია ასვლა მადლით გამტკიცებულ კაცობრიულ ძალას.

იმპერიის საქმეებს განაგებდა ზნედაცემული მინისტრი ბარდა, კანონიერ ცოლისგან გაყრილი და რძალთან კავშირის მქონებელი. მხოლოდ სახელით იმპერატორობდა „ლოთი“ მიხაელი, რომლის მოქმედება ქეიფსა და ლაზღანდარობას არ სცილდებოდა. სასახლეში მასხრების მთელი გუნდი ჰყავდა შედგენილი რომელიც წმიდა სამოსებში გამოწყობილი, ქირდათ იგდებდა ქრისტიანულ რწმენას.

დაუჯერებელ ამბებს იხსენიებენ ისტორიკოსები, ესრეთ: „როდესაც პატრიარხი ქალაქს შემოივლიდა ლიტანიით, განგებ შემოეყრებოდენ იმპერატორი და მისი მასხრები, რომელნიც, ვირებზე შემსხდარნი, უშვერ ლექსებს მღეროდენ, საკრავების აყოლებით<sup>1)</sup>!..

<sup>1)</sup> ლებო, ისტ. ქვემო იმპერიისა, წიგ. 70.



ამ ყოვლად უმსგავსო იმპერატორს სახელოვნო დედა ჰყავდა—წმ. თეოდორა, რომელიც გადაგვარებულმა შვილმა მონასტერში გააძევა, რათა მისი საყვედური აღარ სმენოდა.

ფოტი 858 წლამდე მდივნობას ასრულებდა სასახლეში, იყო „კაცი მდიდარი, მეცნიერი და ამასთანავე უზომოთ პატივმოყვარე და ცბიერი <sup>1)</sup>“—აი ამისთანა ზვიადს პიროვნებას კონსტანტინეპოლის პატრიარხოზა არგუნა ქვეყნიურმა სურვილებმა.

მკითხველის წინაშე ორი ბანაკი სდგას: ერთს მეთაურობენ წმიდა მღვდელმთავრები ნიკოლა და ეგნატე, მეორეს კი, ლოთი იმპერატორი, ზნედაცემული მინისტრი და პატივმოყვარე მდივანი. სამს იმპერიალისტურ პიროვნებას: ლოთს, უზნეოს და ცბიერს, სურს ახალი მიმართულება დაჰბადოს ქრისტიანობაში! სასაცლო იქნებოდა მათი მეცადინეობა, სატირელი ნაყოფები რომ არ გამოეღო. დავიწყოთ ისტორიული მოთხრობა.

მოხდა რაც მოსალოდნელი იყო; ეგნატესთანა წმ. ეპისკოპოსმა ვერ მოითმინა გარყვნილება „ძლიერთა ამა ქვეყნისა“ და კიდევ გაუმკლავდა: ზიარება აუკრძალა ბარდას... საქმე პატრიარხის გაძევებით გათავდა. იმპერატორმა და მინისტრმა „თავიანთი კაცის“ გაეპისკოპოსება მოინდომეს, რათა შემაწუხებელი დატუქსვა აღარ სმენოდათ; ასეთ კაცათ მდივანი ფოტი იცნეს; მიუხედავთ მისი ერისკაცობისა, ექვსი დღის განმავლობაში მთელი სამღვდლო ხარისხები და პატრიარხოზაც მიაღებინა ეგნატესგან გადაყენებულმა ეპისკოპოსმა გრიგოლ სირაკუზელმა <sup>2)</sup>. ასეთი ნახტომი სასტიკათ აკრძალულია ეკლეს-

<sup>1)</sup> ბარონიო, წელ. 858, № 51.—<sup>2)</sup> ნიკიტა, ცხოვ. წმ. ეგნატესი. ეკლესიური კანონის ძალით, გადაყენებულ ეპისკოპოსისგან ხელდასხმა გამკვეთი არაა; ამიტომ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, პაპის წერილებში, ფოტი კვლავ ერისკაცათა მოხსენებული.



სიურ კანონებით, ამიტომაც ბევრმა ეპისკოპოსმა კავშირი გასწყვიტა ახალ პატრიარხთან, მით უმეტეს რომ კანონიერი ეპისკოპოსი ეგნატე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ფოტი ცეცხლითა და მახვილით ეკვეთა მოწინააღმდეგეებს: ენა მოაკვეთინა ვასილ ეპისკოპოსს; საპყრობილეები და საექსორიო ადგილები გაივსო ფოტის მოწინააღმდეგეებით, რომელთაც „ჯოხის მაგიერ ხმლით სცემდენ, და ისე უწყალოთ, თითქოს ხორციელები კი არ ყოფილიყვნენ, არამედ უსულო ნივთები... ყველაზე უფრო მცირე სატანჯვლათ ფეხთ ქვეშ გაქელვა ითვლებოდა, რომლის დროსაც წელწულს გადმოაყრევენებდენ ხოლმე... დიდ კაც-მოყვარეობათ მიაჩნდათ, როდესაც რამდენიმე დღის უჭმელობის მერმე თივას დაუყრიდენ <sup>1)</sup>!..“

მკითხველი ადვილათ წარმოიდგენს თუ რა დღეს დააყენებდენ გადმოგდებულ ეგნატეს, რომელიც ჯერ კიდევ არ სთმობდა პატრიარხობას: კბილები ჩაულეწეს, ფეხთ ბორკილები დაადეს; სხეული ცემით დაულურჯეს, საფლავისთანა ვიწრო ბინაში ჩაამწყვდიეს, სადაც წყლის დაღვეასაც ვერ ახერხებდა. მოხუცებულს და სიმშლით მიკნავებულს ჯოხიც კი გამოართვეს რომ ზედ არ დაყრდნობილიყო! არც ერთი მდევნელის დროს იმდენი შიში და ძრწოლა არ გამოუვლია აღმოსავლეთის ეკლესიას, რამდენიც განიცადა ფოტის დროსაო, დასძენს ცნობილი მკვლევარი ბარონიო <sup>2)</sup>.

და იცით რასა სწერს ფოტი რომის მღვდელმთავარს? — „ეგნატემ, თუ მოხუცებულობის, თუ სნეულობის და თუ სხეულის სისუსტის გამო, თავი გაანება ეკლესიის წინამძღვრობას, განშორდა მას და შორეული კუნძულის მონასტერში დაბინავდა, სადაც პატივსა და სამსახურს არ აკლებენ არც იმპერატორი და არც მოქალაქენი“ <sup>3)</sup>.

1) ბარონიო, 858, № 54.—<sup>2)</sup> იქვე № 55.—ნიკიტა, ცხოვრება ეგნატესი.



წერილის კილო სხვებრ ნაძალადეგ სიმდაბლეს და მართლმადიდებლობის სიყვარულს გამოხატავდა; სხვათა შორის, **დამტკიცებას თხოულობდა პატრიარხობაზე**, რომელიც იძულებით მიმალბინეს იმპერატორმა, ერმა და სამღვდლოებამაო.

პაპი ნიკოლა I დღეეგატებს გზავნის სიმართლის გამოსაკვლევათ; ყოვლად შემძლე ფოტს—თუ ძღვენით და თუ დაშინებით—არ გაუჭირდება მათი გადაბირება; 318 მღვდელმთავარს მოუყურის საჩქაროთ თავსა: წამოაყენებენ ეგნატეს, ჰბრალდება მას უკანონობით საპატრიარხო საყდრის დაპყრობა. დამცველათ გამოდის ანკირელი ეპისკოპოსი თეოდული; ძვირათ კი უჯდება ვექილობა: იმ წამსვე მისცვივდებიან ფოტის მსახურები და ცემატყუებით თავს კარში უკრავენ! თავზარდაცემული დამსწრეები ერთხმათ დამნაშავეთ სცნობენ ეგნატეს,—„უღირსი, უღირსიო“ ყვირიან, და საპატრიარხო სამოსს ხდიან, ნიშნათ იმისა, რომ ჩამოეცალა მღვდელმთავრობა... ყოველა მხრივ შეურაცხყოფილმა ეგნატემ ღირსეულათ განაცხადა: **პაპის სამსჯავროში გადამაქვს ჩემი საქმე, დაე იმან გამასამართლოსო...** ამდაგვარათ მთლათ იფუშებოდა ფოტის დაწყობილობა; აუცილებლათ საჭირო იყო ეგნატე დაეყოლებინათ კრების განაჩენზე, მაგრამ, ყველასთვის აშკარა იყო, ცოცხალი ეგნატე ვერ დათანხმდებოდა; გარნა, ფოტისთვის შეუძლებელი არა იყო რა: ორი კვირის განმავლობაში, ჯალათებმა ენით გმოუთქმელი სატანჯვლები მიაყენეს საბრალო ეგნატეს... ბოლოს, ნახევრათ მკვდარს, ძალით კალამი დააჭერინეს და ჯვარი გამოასახებინეს ცალიერ ქალაღზე, რომელიც შემდგომში შეავსეს ამ დაგვარათ: „მე, უღირსი ეგნატე კონსტანტინეპოლელი, აღვიარებ რომ კანონიერი არჩევნებით არ მიმიღია ეკლესიის საყდარი, არც თუ ღირსეულათ და წმიდათ მიწინამძღვრია“ო.



საბედნიეროთ, ქალღმერთმა მიზანს ვერ მიაღწია, რადგან ფოტის დელეგაციას, ეგნატეს მიერ გაგზავნილმა კაცმა ჩაუსწრო რომში და საქმის ვითარება გაუთვალისწინა პეტრეს მოსაყდრეს<sup>1)</sup>.

მოვიდა ფოტის წერილიც<sup>2)</sup>, სავესე ცბიერობით და მოჩვენებული თავმდაბლობით: „როდესაც ჩაუფიქრდები ხოლმე, ერთი მხრივ ეპისკოპოსობის სიდიადეს, და მეორე მხრივ, კაცობრივსა და მეტადრე ჩემს სისუსტეს, ენით ვერ გამომითქვამს რა სიმწარესაც ვგრძნობ ამ თანამდებობის გადამიკიდე... გადადგა რა ჩემი წინა-მოსაყდრე, თავმოყრილმა სამღვდელოებამ, მიტროპოლიტებმა და მეტადრე იმპერატორმა—ყველას შემბრალებელმა, ჩემს შესახებ კი უღმობელმა—მაიძულეს მიმეღო ეპისკოპოსობა... ღმერთმა იცის როგორ ძალა დამატანეს: სატუსალოში ჩამავდეს, თითქოს სისხლის სამართალში ვყოფილიყავი მიცემული... ესტიროდი, თავში ვიცემდი, ვწუხდი... ყველამ იცის ეს, რადგან არაფერი მომხდარა მალულათ.“

ამ ნაირი ურცხვი ტყვილებით თვალს ვერ აუხვევდა რომის მღვდელმთავარს.

პასუხს აძლევს „ნიკოლა ეპისკოპოსი, მსახური მსახურთა ღვთისა, ფოტსა, ყოვლად ბრძენს **ერისკაცსა**“ და დასძენს: **ყოველი პატრიარხი რომის ეკლესიის მორჩილობაში უნდა იყოსო.** „ამ ტახტის უპირატესობანი საუკუნოა, ქრისტესგან მოცემული, ხოლო კრებათაგან მონიჭებული კი არა, არამედ მხოლოდ ქებაშესხმული და პატივცემული“ო<sup>3)</sup>.

პაპმა მთელ ქრისტიანობას აცოდინა ფოტის უკეთურობა და რომში შემდგარ საეკლესიო კრებაზეც შეაჩვენა იგი, ეგნატე კი აღიარა კანონიერ მწყემსათ.

1) ბარონიო, წელიწადი 862.—<sup>2)</sup> წერილ. პაპ. ნიკოლ. ლაბ. ტ. 8.—<sup>3)</sup> პ. ნიკოლ. ეპისტ. 6.

განრისხებული იმპერატორი სიკვდილით ექადება, ნიკოლა უშიშრათ უპასუხებს: „იმპერატორო, ძალიან თავი ნუ მოგაქს, რადგან; რითაც შენ იქადი, მაგის დამართვა შეხამიან სოკოსაც შეუძლია... მე რომ უპირატესობას ვჩემულობ, ეს იმდენათ პატივს არ მძღვეს, რადენათაც ტვირთს მაკისრებს რომ მთელს მსოფლიო ეკლესიაზე ვიზრუნო“ო.

ფოტი იმპერატორზე უფრო მეტათ იყო გამწყრალი.. ჯავრი მართლმადიდებლებზე ამოიყარა; არავინ დაზოგა, ვინც კი პატრიარხად არ სცნობდა მას, ოლიმპის განდევილებსაც კი მისწვდა, სენაკები მთლათ გადუბუგა... ხელმეორ შეყარა მომხრე ეპისკოპოსები, შეაჩვენა რომის მღვდელმთავარი ღ რაკი დამსწრეთა უმეტესობას არ უნდოდა დამოწმება, თვითონვე მოაწერა ხელი ბარე ათასი ეპისკოპოსის სახელით<sup>1)</sup>. ამის შემდეგ ცირკულიართ მიმართა აღმოსავლეთის პატრიარხებს, სადაც მრავალი ბრალდება მოჰყავს წინააღმდეგ დასავლეთის ეკლესიისა, სხვათა შორის, ისიც რომ შეფათობით მარხულობენ, დიდმარხვაში კვერცხსა და რძეს სჭამენ, სამღვდელონი წვერს იბარსავენ, მრწამსში ახალი სიტყვა ჩაუმატიათ: „სული წმიდა მამისაგან და ძისაგან გამოვალსო!..

დროებითი გამარჯვებით გაბრუებულმა ფოტმა, ერთხელ კიდევ შეაჩვენა პაპი, კაციც კი დაანიშნინა მიხელ იმპერატორს რათა რომშიც გამოექვეყნებინათ მისი განკარგულება, მაგრამ ღვთიური განკარგულება სულ სხვა იყო; ანაზდათ მოჰკლეს მთვრალი იმპერატორი, ფოტის მფარველი, ახალმა მფლობელმა ვასილმა კი მყისვე მონასტერში გაისტუმრა მემბოხე პატრიარხი და თავის ადგილზე დააბრუნა ღირსი ეგნატე. აღსდგა სანუკვარი ერთობა ეკლესიებს შორის. გაიხსნა მერვე მსოფლიო კრე-

<sup>1)</sup> ანასტასი, მერვე კრება, წინასიტყვაობა.

ბა 869 წელს, რომელმაც აღიარა ეგნატეს კანონიერობა და ფოტის ავაზაკური მფლობელობა. კრებაზე, როგორც ჩვეულებრივ, უმეტესი ნაწილი მღვდელმთავართა აღმოსავლეთელები იყვნენ, და აი, ამ აღმოსავლეთელებმა ხმა-მალა დაჰმეს ფოტის გაკადნიერება: **არავის აქვს უფლება რამე დასწეროს წინააღმდეგათ უუწმიდესის პაპისა...** უკეთუ მსოფლიო ყრილობა შემდგარია და იქაც წამოყენებულია რაიმე ორქოფობა და კამათი შესახებ რომაელთა წმ. ეკლესიისა, მაშინ საჭიროა შესაფერი პატივისცემით გამოძიება წინამდებარე საკითხისა... და არა კადნიერთა განაჩენის გამოტანა წინააღმდეგათ უძველესი რომის ღზენაეს მღვდელმთავრებისა“<sup>1)</sup>.

იგივე კრება, აღფრთოვანებული თანხმობით შეხვდა პაპის დელეგატების განცხადებას რომ **სამოციქულო ტახტისაგან მუდამ უმწიკვლოთ ინახება სარწმუნოება“**ო.

ბედმა ერთხელ კიდევ გაუღიმა გაძევებულ ფოტსა: როდესაც წამებული ეგნატე მიიცვალა 878 წელს, გაიძვერა ფოტი უკვე ექსორიიდან დაბრუნებულყო და იმპერატორი ვასილი მოჯადოებული ჰყავდა თავისი „ენაწყლიანობით“. პატრიარხობის სურვილი ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო მასში, ეგნატეს სიკვდილი გზას უხსნიდა; ამ ჯერობათ უფრო მოხერხებით მოიქცა; სხვა და სხვა მიზეზების გამო, პაპი იოანე მე-VIII დათმობის გზას დაადგა, შეჩვენებისგან ახსნა როგორც ფოტი, ეგრეთვე მისი მომხრეებიც, იმ თუობით რომ შეკრებილ მღვდელმთავრების წინაშე ბოდიში მოეხადა და აღეთქვა გასწორება<sup>2)</sup>. როგორც მოსალოდნელი იყო, ფოტმა არავითარი ბოდიში არ მოიხადა, პაპის დელეგატები კვლავ გადიბირა; შეკრებილ მამებს რომის მოწერილობა ისე გადაუთარგმნა რომ

<sup>1)</sup> იხ. ოქმები მერვე მსოფლიო კრებისა, სხდომა მე-10, —<sup>2)</sup> ეპისტოლე 199.

თავისი სადიდებელი გამოვიდა... ბოლოს, რა საკვირველია, გამოაშკარავდა ყველაფერი; ამას მოჰყვა პატრიარხის შეჩვენება პაპისგან; ფოტმა დახელმეორებით მკაწვრელობა დასწამა პაპებს „და ძისაგან“ის ჩამატების გამო... ამ ჯერობათაც კამათს ბოლო მოუღო ახალმა იმპერატორმა ლეონ მე-VI, მისი გამეფება და მაშფოთარი ფოტის გაძევება ერთი იყო (886 წ). დანამდვილებით გამოკვლეული არ არის თუ გაძევებულმა როგორ დააბოლოვა თავისი მღელვარე სიცოცხლე.

აღსანიშნავია ის განმაცვიფრებელი პოზიცია, რომელიც უკავია მართლმადიდებელ ეკლესიას ეგნატე-ფოტის საკითხში. ისტორია ღაღადებს რომ ფოტმა ურჯულოსავით აწვალა ზნე-სპეტაკი ეგნატე, რომ იგი იყო უწყალო, ცბიერი, ფარისეველი; რომ იგი ავიწროებდა კანონიერ ეპისკოპოსებს და თვალებს ხუჭავდა იმპერატორის და მინისტრის უზნეობაზე; რომ წერილებს აყალბებდა და სხვა და სხვა. ყველა ეს ისტორიული ფაქტია და ჭი საკვირველი! იგივე ფოტი, რვა პაპის მიერ შეჩვენებული, მართლმადიდებლებს წმიდათა სიაში ჩაურთიხავთ! დავიწყებით მაქსიმე აღმსარებლის მოძღვრება რომ: „სიწმიდის ნატამალიც კი არ მოეპოება იმას, ვისაც ნებიერთა მიუტოვებია კათოლიკე ეკლესია; არ შეიძლება ქებით მოხსენება იმისი, ვინც დასჯილი და უკუგდებულია რომის სამოციქულო ტახტისგან, ვიდრე არ იქნეს მიღებული ხელმეორ, შემდგომად წრფელი მოქცევისა და მართლმადიდებლური რწმენის აღიარებისა<sup>1)</sup>“...

თქვენს განცვიფრებას საზღვარი აღარ აქვს, როდესაც ხედავთ რომ ფოტის ანტაგონისტი (მოწინააღმდეგე) ეგნატეც წმიდანებშია მოთავსებული!.. ეს ხომ უთანხმოება არსებობდა ეგნატესა და ფოტის შუა; ისტორიაში

<sup>1)</sup> იხ. წმ. მაქსიმეს თხზულ. ლაბ. ტ. 5. გ. 1765-1768.

არავითარი ცნობა გვხვდება რომ ერთერთს მათგანს განეცხადოს: დამნაშავე მე ვიყავიო! ორივე სიკვდილამდე თავის თავს ამართლებდა... ისტორიამ და შეგნებულმა შთამომავლობამ ან ერთი უნდა გაამართლოს ან მეორე: უკეთუ ეგნატე წმიდათ მიგაჩნიათ, ფოტი უკეთურთა მეთაურათ უნდა ჩათვალოთ. მართლმადიდებლებს შუა გზა აღმოუჩენიათ, გზა მშვიდობისა, გზა შერიგებისა... ჭეშმარიტათ კაი ვეჭილობა... მაგრამ ისტორია რომ პროტესტს აცხადებს? ვისაც უნდა წმ. ეგნატეს სამწყსოს ეკუთვნოდეს, იმან უნდა შეაჩვენოს ფოტი და მთელი მისი მოქმედება, — ეს საღი მსჯელობის განაჩენი გახლავსთ; ამის წინააღმდეგ მოქცევა მარტო უფიცებს ეპატიებათ <sup>1)</sup>..

ფოტის შემდგომ კვლავ მშვიდობა დამყარდა აღმოსავლეთის და დასავლეთის ეკლესიათა შუა 1053 წლამდე, ამ დროს კი, განხეთქილება განაახლა მიხელ კერულარმა. ვინ იყო კერულარი და რა ხასიათის პატრონი? — ისტორია მას გვიხატავს როგორც მოუსვენარსა და მეამბოხე პიროვნებას; 1035 წელს, შეთქმულობის მიზეზით, მონასტერში დამწყვდეულ იქმნა იმპ. მიხელ პაფლაგონელის მიერ. იმ დროებში, მონასტრის საპყრობილე, არა ერთხელ და არა ორჯელ, პირველი საღვურთი ყოფილა

---

<sup>1)</sup> წმ. ეგნატეს გარდა, სხვა პიროვნებანიც — ფოტის შეურიგებელი მოწინააღმდეგენი, მაგრამ მაინც წმიდათა სიაში ჩარიცხულნი — დადადებენ საბერძნეთის ეკლესიის ულლოიკობას. სხვათა შორის, წმ. ნიკოლა სტუდელი, მოწაფე ცნობილის თეოდორე სტუდელისა და თანამოწიარე მისი სატანჯვლებისა, ხატთა ბრძოლის დროს. 7 წლის განმავლობაში, ტყის ნადირსავით იღვენებოდა წმ. ეგნატეს მტრებისგან, ბოლოს შეპყრობილ იქმნა და მონასტერში დამწყვდეული, სადაც დაბორკილებულმა 2 წელიწადი წვალებაში გაატარა, ფოტის ექსორიობამდე; მიიცივალა 868 წ. იხ. სვინაქსარი, თებერვ. 4 და ოქტომბ. 15, სადაც შეხვდებით სხვა ფოტის მოწინააღმდეგეს — ვეფთიმე თესალონიკელს.

უზენაეს უფლების მისაღწევათ; ამ შემთხვევაშიც, მოულოდნელათ, პატიმარი—სენაკიდან საპატრიარხო ტახტზე გადაიყვანეს. დასაწყისში, მეგობრულ ურთიერთობას აწარმოებდა რომის პაპთან. მაშინ ნორმანდელები არ ასვენებდნენ არც იტალიას და არც იმპერიას, და აი იმპერატორი კონსტანტინე მონმახიც დაუახლოვდა რომის პაპს, იმ იმედით რომ ეს უკანასკნელი გავლენას მოახდენდა ნორმანდელებზე. მოლაპარაკებას თანაუგრძნობდა პატრიარხიც. რომის პაპი სიამოვნებით მიეგება აღმოსავლეთელების ნაბიჯს, მაგრამ მოითხოვა რომის ეპარხიისთვის დაებრუნებინათ ქვემო იტალია და ილირია საბერძნეთითურთ, როგორც ეს იყო ლეონ ისავრელამდე. პაპს უნდოდა ფრთები შეეკვეცა კონსტანტინეპოლელ პატრიარხის პრეტენზიებისათვის... კერულარი მთლათ დაფრთხა და გადასწყვიტა, რათაც უნდა დასჯდომოდა, განთავისუფლებულიყო რომის უღელიდან. ნიადაგი კაი ხნიდან შემზადებული იყო: კონსტანტინეპოლელებს ჯერ კიდევ მწარედ ახსოვდათ 1024 წლის ფუჭი მაცადინება, როდესაც ამაოთ მოითხოვეს „მსოფლიო პატრიარხის“ ტიტული. პოლიტიკური ურთიერთობა ხომ დღიდან დღეზე უფრო და უფრო მწვავდებოდა: ბერძენები უკვე საშიშ მოქიშპეებს ხედავდნენ ევროპელებში... მათ შორის უკვე შეტაკებანი ხდებოდა... თუ პოლიტიკურათ და თუ სარწმუნოებრივათ ჰაერი გაჟღენთილი იყო უთანხმოების სუნით; ერთი ნაპერწკალიც კმაროდა რომ გამანადგურებელი ალი ავარდნილიყო... საბედისწერო ნაპერწკალიც ავანტურისტმა მიხელ კერულარმა დააკვესა. 1053 წლის წერილობით გაილაშქრა ლათინთ ეკლესიის წინააღმდეგ; ფოტის მიერ წამოყენებულ ბრალდებებს ახლებიც დაუმატა, განსაკუთრებით „ხშიადით“ ანუ „უტომო პურით წირვის თქმა“! ამ ბრალდებას კუთამახვილი ფოტიც კი არ იცნობდა...



„ქეშმარიტათ საკვირველია!—დასძენს იმ დროინდელი პაპი—1020 წელმა განვლო იესო ქრისტეს სიკვდილის მერმე, და აგერ ეხლა ასწავლიან რომის ეკლესიას თუ რანაირათ უნდა აღსრულდეს ხსენება მაცხოვრის ვნებისა! 1)“.

პაპი ლეონ მე-IX ბევრს შეეცადა გონს მოეყვანა კერულარს; კონსტანტინე მონომახიც მხარს უჭერდა, მაგრამ ვერაფერს გახდენ... გაჯიქებულმა პატრიარხმა სალაპარაკოთაც არ გაიკარა რომაელი დელეგატები, რომელთაც, იმპერატორისა და ხალხის წინაშე, წაიკითხეს პაპის განკარგულება: მიხელ კერულარის შეჩვენება და გამოორიცხვა იესო ქრისტეს ეკლესიიდან. შეჩვენებულმა მღვდელმთავარმა სამაგიეროთ პაპის სახელი ამოხოცა ეკლესიურ წიგნებიდან და სასწრაფოთ აღმოსავლეთელ პატრიარხებს მიმართა რომ გაერთიანებული ძალით აღმოეფხვრათ „ლათინთა ცთომილებანი.“

თუმცა თავიდანვე ყველა პატრიარხი არ მიემხრო ამბოხებულ მღვდელმთავარსა, მაგრამ საბოლოოთ მაინც ჩატყდა ხიდი რომისა და მართლმადიდებლურ ეკლესიათა შუა... კერულარმა დიდხანს ვერ იგემა თავისი განდგომის ნაყოფი: 1058 წელს ეძიევებულ იქნა იმპ. ისააკ კომნენისგან, რომელსაც ეშინოდა ტახტიდან არ გადმოეგდო, როგორც ეს უყო მის წინამოადგილეს მიხელ სტრატონსა.

მკითხველი ინტერესით შეხვდება იმ ცთომილებათა სიას, რომელთა მიზეზითაც აღმოსავლეთის ეკლესია გამოეყო დასავლეთისას. ხუთი პირველი ბრალდება ფოტისგან უკვე წამოყენებულ იყო 180-ოდე წლის წინეთ, დანარჩენი კერულარს ეკუთვნის. 1) შაფათობით მარხულობენ; 2) დიდმარხვის პირველ კვირას, ყველსა და რძეს ხმარობენ; 3) მღვდლები უცოლოები არიან; 4) მღვდლის-

1) ლეონ მე-9 ეპისტ. 1. თ. 5.

გან მირონცხებულს კვლავ ეპისკოპოსი მირონსა სტებს; 5) მრწამსში „და ძისაგან“ ჩაუმატიათ; 6) „ხმიალით“ სწირავენ; 7) მოხჩობილ ცხოველებს სჭამენ; 8) მღვდლები წვერს იპარსვენ; 9) უწმიდური ცხოველების ხორცი იკვებებიან; 10) ბერები ხორცს სჭამენ; 11) დიდმარხვის პირველ კვირას ხორცის ჭამით სტებავენ; 12) წმ. წირვაზე ხმა მალლა ამბობენ „ერთ არს წმიდა, ერთ არს უფალი იესო ქრისტე დიდებასა შინა ღვთისა მამისა სული წმიდითურთ“; 13) ორ ძმას ორი დის ცოლებათ აყვანა შეუძლიათ; 14) წირვაზე, ზიარების უწინ, მსახურები ერთმანერთს ეამბორებიან; 15) ეპისკოპოსები ბეჭდებს ატარებენ; 16) ეპისკოპოსები ომში მონაწილეობას ღებულობენ; 17) ერთი გავლებით ნათლავენ; 18) მოსანათლავს პირში მარილს უყრიან; 19) ზოგიერთები წმიდანებსა და მათ ხატებს პატივს არ სცემენ; 20) დიდმარხვაში „ალილუიას“ არ გალობენ...

გულღისხმიერ მკითხველს გაეცინება ამ ბრალდებათა ამოკითხვაზე.. ნუ თუ მართლა ამიების წყალობით გაითხარა უფსკრული აღმოსავლეთისა და დასავლეთს შუა? — არა, გვიპასუხებს სკაბალანოვიჩი<sup>1)</sup>; „ხმიადის“ საკითხი უბრალო მიზეზი იყო რომელიც ჰფარავდა კონსტანტინეპოლელ პატრიარხის უფლება-მოყვარეობის სურვილსაო. მართლაც, ზემოთ მოყვანილი სია, უმეტეს ნაწილათ, უმნიშვნელო ჩვეულებათა ნუსხას წარმოადგენს. ამას ყველაც გრძნობდა, გარდა კერულარისა: „ერთი მითხარით — უპასუხებს კერულარს ანტიოხიის პატრიარხი —, რა ჩვენი საქმეა რომ იმათი მღვდლები წვერს იპარსვენ ან და ბეჭდებს იკეთებენ?.. თუ დაკვირვებულნი ხარ, აქაურობაშიც იკვებებიან ეგრეთ წოდებულ „არა წმიდა“ ცხოველებით“... საშუალო საუკუნეთა შესწავლამ ნათელჰყო რომ მართლმადი-

<sup>1)</sup> ქრისტან. საკითხავი, წელ. 1885, 1. 111.

დებლებს მაინც და მაინც დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ „ლათინთა (ანუ დასავლეთელების) წვალებათათვის“. ჯერ კერულარის თანამედროვე, ცნობილი მიტროპოლიტი ბულგარიისა, თეოფილაქტეც კი აშკარათ გაიძახოდა: ლათინებს არც იმდენი ცდომილებანი მოეპოებათ და არც იმნაირები რომ ეკლესიაში განხეთქილების მოხდენა შესაძლებელი იყოს, ვინაიდან არც ერთია რომ რწმენის საგანს შეეხებოდეს“<sup>1)</sup>.

მე-XII საუკუნეში, თესლონიკელი მიტროპოლიტი ვასილი და ბულგარელი დიმიტრი ქრომატერი, სულაც არ სცნობენ რომ განხეთქილება მომხდარიყოს. (ნათ. აღექს. ისტორ. ტ. 7, გ. 68). არც თუ მე-13 საუკუნეში იყო აშკარა განხეთქილება. 1205 წელს მომხდარ კრებაზე, ბერძნები ემუდარებიან ლათინებს: „,ისეც გულაყრილნი ვართ ერთმანეთზე, ნუ ცდილობთ ახალი დოგმატის შემოღებას და ეკლესიის გაყოფას... ნუ ანადგურებთ თანამსახურებს (ბერძნებს), ნუ ჰკვეთავთ ეკლესიის სხეულს, რომელიც შვენივრათ შენაწევრებულია ერთის რწმენითა“<sup>2)</sup>.

მე-XIII საუკუნეშიც და შემდგომშიც, საკამათო საგნებათ, მარტო „და ძისაგან“ისა ზე ხმიადით წირვის საკითხებია მიჩნეული. ქვემოთ ვნახავთ რომ ამიების შესახებ სრული შეთანხმება არსებობს აღმოსავლეთის და დასავლეთის ეკლესიაში. მეტათ საგულისხმო ის გახლავსთ რომ „ლათინთ წვალებათა“ გაქრელებულ სიაში, შეტანილი არ არის ის საგანი რომელსაც დღევანდელი აღმოსავლეთელი ღვთისმეტყველები უმთავრესათ აბრალებენ კათოლიკეთა ეკლესიას, — რომის პაპის უმფროსობაზე მოგახსენებთ. ამ საგანს კამათი არა დროს გამოუწვევია. მარ-

<sup>1)</sup> თხზულ. 3, 513 (ვენეციის ლათინური გამოცემა. —<sup>2)</sup> არსენი: სამი წერილი ნიკოლა გუდრინსკისა ბერძენ-ლათინების მოლაპარაკებაზე. ნოვგორ. 1896 წ. (რუსულათ).

თალია, მე-13 საუკუნიდან საგრძნობლათ გაღრმავდა განხეთქილება: პაპს აღარ ემორჩილებიან, მაგრამ ეს იმიტომ კი არა თითქოს უზურპაციით<sup>1)</sup> ჰქონდეს მოპოვებული უმფროსობა, არამედ, იმიტომ რომ წვალებაში ჩავარდა და როგორც მწვალებელმა დაჰკარგა ღვთისგან მინიჭებული უმფროსობაო. ამ შეხედულობისა იყო მთელი მართლმადიდებელთა ეკლესია მე-17 საუკუნემდე. ამ ხნიდან დაწყებული კი ლუტერანულ რწმენას<sup>2)</sup> ითვისებენ აღმოსავლეთელი ღვთისმეტყველები; საქმე იქამდე მიდის რომ პაპის უმფროსობას კი არა, პეტრეს უფლებრივ უპირატესობასაც კი უარჰყოფენ!..


ფოტის და კერულარის მერმე, მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ფრონტი ერთხელ კიდევ იცვალა: რაც მე-17 საუკუნემდე მწვალებლობის და განხეთქილების მიზეზათ მიაჩნდათ, ეხლა ის საკმაო მიზეზათ აღარ ითვლება; და რასაც მე-17 საუკუნის მერმე განხეთქილების მიზეზათ

<sup>1)</sup> უზურპაცია—წაგლეჯით რამის დაჩემა.

<sup>2)</sup> თუმცა ლუტერანებშიც, იმისთანა ბუმბერაზი მეთაურები როგორიც არიან გროტი და ლეიბნიცი, მომხრენი იყვნენ პაპის უპირატესობისა: «წესიერება გულისხმობს უმფროსსა ანუ ერთს მეთაურსა. აკი ეს ქრისტემაც დაგვანახა პეტრეს პიროვნებაში. ქრისტესგანვე შეისწავლა ეს კიპრიანემ... მღვდლების უმფროსი—ეპისკოპოსია; ეპისკოპოსებისა—მიტროპოლიტი; ყველასი საერთო უკი—რომის ეპისკოპოსი» (იხ. გროტი: ნატვრა მორიგებისა § 7). არა ნაკლებ საგულისხმოა ლეიბნიცის შეხედულობა: «ღვთისგანვე დაკანონდა რომ ერთი მოციქულთაგანი და შემდგომად მისსა ერთი მისი მოსაყდრეც, უმეტესი უფლებით ყოფილიყო აღქურვილი, რათა ერთობა დაეცვა და შეენაწევრებინა ეკლესიის სხეული, ეზრუნა ზოგადი საქიროებისათვის, მოთხოვნილების დაგვარ კრებანი მოეწვია, კამათში წინამძღვრობა გაეწია და დაეცვა მორწმუნეთა ინტერესი მსოფლიო კრებათა გარეშე» (იხ. ღვთისმეტყველებრ. სისტემა, ლათინურათ, გ. 300).

ასახელებენ, იგი ყოველა მართლმადიდებელს სწამდა ხსენებულ საუკუნემდე! განხეთქილება თვითონ მართლმადიდებლურ ეკლესიაშია: ეხლანდელები წინანდლებისთვის მწვალებლები იქნებოდნენ და წინანდელები ეხლანდელებისთვის!.. რასაც ეხლანდელები კათოლიკებს აბრალებენ, იგივე თავიანთ მართლმადიდებელ წინაპრებსაც უნდა დააბრალონ. რას აბრალებენ ეხლა?—რომის პაპის უმფროსობას,—ეს ხომ ყველა მართლმადიდებელს სწამდა მე-17 საუკუნემდე. მეორე მხრივ, რასაც წინანდელი მართლმადიდებლები აბრალებდნენ კათოლიკებს, იმასვე დააბრალებდნენ ეხლანდელ მართლმადიდებლებს; ეხლა, სადავო საკითხებათ აღარ არის მიჩნეული (იგულისხმეთ: განვითარებულ მართლმადიდებლებში): სული წმიდის ძისგან გამოსვლა, ხშიადით წირვის თქმა, მღვდლებისგან წვერ-ულვაშის გაპარსვა და სხვ...

მაშ, ისტორიულ სიმართლეს მოკლებული არ იქნება ეს თქვით, რომ ფოტის და კერულარის განხეთქილებას ბოლო მოეღო მე-17 საუკუნეში; ამის მერმე კი ახალმა განხეთქილებამ იჩინა თავი. დღევანდელ მართლმადიდებლობას, არც კათოლიკობასთან აქვს კავშირი და არც მე-17 საუკუნეზე აღრინდელ მართლმადიდებლობასთან; იგი უნცროსი და გახლავთ ლუტერანობისა. ამაზე ითქმის: ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე!..



## თავი მეხუთე.

რას ამბობს ღვთისმეტყველება აღმოსავლეთ-  
დასავლეთ ეკლესიათა განხეთქილებაზე.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ რომ განხეთქილების მიზეზი ბერძნულ ამაყობაში და განსაკუთრებით კონსტანტინოპოლელ პატრიარხების პატივმოყვარეობაში უნდა გვეძებნა. ამ დასკვნას უფრო გაამაგრებს იმ ბრალდებათა სიფუქსავატე ფოტმა და კერულარმა რომ წამოაყენეს. რა საკვირველია, სულაც არ შევეხებით იმისთანა დებულებებს რომლებიც პრიმიტიული გონების ნაყოფს უფრო მოგვაგონებს ვიდრე პატრიარხულ ქუჩისას, როგორც შაფათის მარხვა, ალილოუის გალობა, წვერის გაპარსვა, ბექდის ტარება, ლოცვის ხმამაღლა წარმოთქმა და სხვა და სხვა. აქ მხოლოდ უმთავრეს ბრალდებებს შევეხებით, ესე იგი: სული წმიდის ძისგანაც გამოსვლას და „უცომო პური“ ანუ „ხმადით“ წირვის ასრულებას. ამას დავუმატებთ იმ ახალ ბრალდებებს, ბოლო დროებში რომ წამოაყენეს ბერძნის ღვთისმეტყველებმა: რომის პაპის<sup>1)</sup> უცოდველობა, წყალდასხმით მონათვლა, ზიარება მარტო პურის სახითა და განსაწმედელი.

1. — და ძისაგან. — თუმცა წმ. სამების სამივე გვამი მუდამ ყოფილა და არ შეიძლება ერთი მეორეზე უფრო დროული იყოს, როგორც ამას ვხედავთ ქვეყნიურ მამა-შვილობაში, მაგრამ მაინც ერთნაირი მიზეზობა მათ შორისაც არსებობს: ძის მიზეზი გახლავთ მამა ღმერთი, ამას ადასტურებს მსოფლიო ქრისტიანობა; გარნა, ვინ არის მიზეზი სული წმიდისა?

<sup>1)</sup> პაპის უპირატესობაზე აქ აღარაფერს ვიტყვით, რადგან მე-3 თავში უკვე განვიხილეთ ეს საკითხი.

კათოლიკე ეკლესია აცხადებს: **სული წმიდა მამისა და ძისაგან გამოვალსო.** ეწინააღმდეგება მართლმადიდებელი ეკლესია, მაგრამ წინააღმდეგობაშიც უთანხმოებას იჩენს. ფოტი ამბობდა: სული წმიდა **მარტო მამისაგან** გამოვალს, თუმცა ზოგიერთმა მამებმა მისი ძისგან გამოვალსაც ბძანეს, მაგრამ ამაში შეცდომა მოუვიდათო. ეხლანდელი მართლმადიდებელი ღვთისმეტყველები უმეტეს ნაწილათ იზიარებენ კათოლიკურ რწმენას, ლათინებს (კათოლიკეებს) მხოლოდ იმას აბრალებენ რომ მიუხედავად მსოფლიო კრების აკრძალვისა, მაინც მრწამსში ჩაუმატეს „და ძისაგან.“

შეგნიშნოთ გაკვრით: მეცხრე საუკუნეში, ფოტი დასავლეთის ეკლესიას გაეყარა, იმ საბუთით რომ შეცდომა არის სული წმიდის მიზეზობაში ძის გარეეაცო. ეხლანდელების თვალსაზრისით, ფოტის შეხედულობაც შემცდარია და უფრო დასაგმობი ვიდრე ლათინებისა... გამოდის რომ მე-9 საუკუნიდან მოყოლებული ბოლო დრომდე, მთელი ეკლესია შეცდომასა და უკანონობაში იყო, და განსაკუთრებით ის რომ, ფოტი (მიუხედავად თავისი სიწმიდისა) შეცდომიდან უფრო დიდს შეცდომაში ჩავარდა; ფოტის ადგილი მკაწვრელ (მწვალებელ) არიოს-დიოსკორთან უნდა იყოს; შეჩვენებით უნდა იხსენებდნენ მას მართლმადიდებლები, და ზი საკვირველი! საგლობლებით ეგებებიან, როგორც ათანასეს და ოქროპირს!!! დამამკირებელია საბერძნეთის ეკლესიისთვის... მაგრამ, სხვა ნაირათ როგორ მოქცეულიყო? წმ. მამების მოძღვრების გათვალისწინებამ იძულებულ ჰყო გამოსთხოვებოდა მეამბოხე მეთაურს; მეორე მხრივ, ეროვნულმა თავმომწონეობა-ჟინიანობამ ნება არ მისცა შეჩვენებინა ის კაცი რომელიც წინამძღვრათ მიაჩნდა რამდენისამე საუკუნის განმავლობაში. ფაქტიურათ მისი წინამძღვრობა დაჰგმო, მისი მოძღვრება დამღუპველად სცნო, მაგრამ, გარეგნო-

ბას მაინც ჰფარავს, სიტყვით ჯერ კიდევ თავის შეთავაზრათ მიაჩნია.

კვლავ აღსანიშნავია მეორე შემთხვევა. ფოტმა მაშინ დასწამა შეცთომა დასავლეთელებს როდესაც თვითონ შეჩვენებულ იქმნა პაპისგან; **პირადულ ანგარიშის გამო დაიწყო კამათი.** რწმენა „და ძისაგან“—ისა მე-ნ საუკუნეიდანვე გავრცელებული იყო დასავლეთში; ყოვლად განვითარებულს ფოტს მშვენივრათ უნდა სკოდნოდა ეს გარემოება, მაგრამ სიტყვაც არ დასცდენია, სანამ უსიამოვნება არ მოუვიდოდა პაპთან!.. არც ერთი წმ. მამა მოქცეულა ესრეთ: შეცთომილებას ყურს მოჰკრავდენ თუ არა, **მაშინვე** ხმას აღიმალლებდენ; ფოტი კი ხედავს ცთომილებას მთელს დასავლეთის ეკლესიაში და სდუმს!.. და არა თუ მარტო სდუმს, პაპისგან დამტკიცებასაც თხოულობს, მოწიწებით სავსე წერილსა სწერს... მაგრამ, როდესაც საკმაოთ გამოირკვევა რომ პაპისგან დამტკიცებას ვერ ეღირსება, მაშინ იწყებს გალაშქრებას!.. გავა რამდენიმე წელიწადი და თავისგან შეჩვენებულ პაპს ხელმეორ დამტკიცებას სთხოვს! აკი თვითონვე გაიძახოდა რომ პაპი „მრწამსის“ დამამახინჯებელია და მითვე საზიზღარი მწვალებელიო?!.. როდესაც პაპი კვლავ ფიცხელათ ეკიდება, ფოტი მრისხანების ცეცხლს აფრქვევს, ისე შეებრძოლება მას როგორც ანტექრისტეს!..—ყველასთვის ცხადია, **სარწმუნოებისა და ჭეშმარიტების სიყვარულით** კი არ მოხდის ეს, მისი დარდი მხოლოდ ის არის—რაიმე გასამართლებელი საბუთი მისცეს თავის ურჩობას; მაგრამ ამაოთ, ფოტს ვერაფერი გაამართლებს, რადგან მის წინააღმდეგ საღვთო წერილი და წმ. მამებიც გამოდიან.

აი რას ეუბნება იესო თავის მოციქულებს: „ხოლო იადეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისა, გიძლოდეს თქვენ ჭეშმარიტებასა ყოველსა; რამეთუ არა იტყოდეს



თავით თვისით, არამედ **რაოდენი რა ესმეს**, იტყოდეს... მან მე მაღიღოს; რამეთუ **ჩემგან მიიღოს** და გითხრას თქვენ. ყოველი რაოდენი აქვს მამასა, ჩემი არს და ამისთვის გარქვ თქვენ, რამეთუ ჩემგან მიიღოს და გითხრას თქვენ<sup>1)</sup>.“ აქ ლაპარაკია სმენასა და მიღებაზე: სულიწმიდას რაღაც სმენია და მიუღია ძისგან. რას ნიშნავს **სმენა და მიღება** ღვთიურ გვამებში?—სხვა არაფერს თუ არ ერთი მეორისგან მომდინარეობას. იესო ქრისტე თავის თავზეც ამბობს: „მე თავით თვისით არა რას ვიტყოდი, არამედ რომელმან მომავლინა მე მამამან, მან მომცა მე მცნებაჲ რაჲ ვსთქვა და რასა ვიტყოდი<sup>2)</sup>.“ წმ. ვასილი განმარტავს რა ამ სიტყვებს, გვაფრთხილებს: „კაცობრიულათ არ მიითვალათ სიტყვა **მამცნო**, არამედ ისე როგორც შეჰფერის ღმერთსა: როგორც რომ სახე სარკეში გადადის, ეგრეთვე მამის ნებაც ძეზე გადადის, მიმდინარეობითა მით ღროთა გარეშე მყოფითა<sup>3)</sup>.“ წმ. ვასილის აზრით, უკეთუ ძეს რაიმე მცნება მიუღია, უკეთუ რამე გაუგონია მამა ღმერთისაგან, ეს მომხდარა საუკუნოების უწინ, როდესაც ჯერ კიდევ ღრო არ იყო.

ერთი და იგივე უნდა ითქვას სული წმიდაზე, რომელსაც ღროთა გარეშე, რაღაც გაუგონია და მიუღია ძისგან. რა მიუღია თუ არ თვისი ბუნება, არსებობა, ერთი სიტყვით **ყველაფერი?** სულიწმიდაში, ბრძანებს წმ. აგვისტინე<sup>4)</sup> „სმენა ცოდნაა, ცოდნა კი არსებობა“ო. მართლაც, ნუ დაგვაფიწყდება, ღმერთში, ყველაფერიც ღმერთობაა: სიბრძნეც, მეცნიერებაც, სიმართლაც; ისე რომ, რაკი ვიცით, სული წმიდას **რაღაც მიუღია** ძისგან, თამამათ შეგვიძლია დავასკვნათ: ყველაფერიც ძისგან მიუღია. ძის მიცემა ისე სრულია რომ სხვა ვისმეს მეტი მი-

1) იოან. 16, 13-15.—<sup>2)</sup> იოან. 12, 49.—<sup>3)</sup> თხზულ. სულ. წმიდაზე. თ. 8, § 20.—<sup>4)</sup> წმ. იოანეზე. 99, 5.

საცემი აღარა რჩება რა, და არც სული წმიდას აქვს რაიმე ნაკლი ან სიცალიერე სხვისგან შესავსები.

მაშ, ძე ღმერთი ნამდვილათ მიზეზია სული წმიდის არსებობისა, მაგრამ არა როგორც უმიზეზო მიზეზი—ეს თვისება მარტო მამა ღმერთს ეკუთვნის—, არც ისე რომ მისი მოქმედება განსხვავებული იყოს იმ მოქმედებისაგან, რომლითაც მამა ღმერთი სული წმიდას აარსებებს; **მამაც და ძეც გაერთიანებული მოქმედებით ამყოფებენ მესამე გვამს; მამაც და ძეც ერთათ ერთი მიზეზი არიან სული წმიდისა, მამა—როგორც მიზეზი უმიზეზო, ძე—როგორც მიზეზი ნამიზეზევი.** სხვანაირათ რომ ვსთქვათ: ძეს ყველაფერი მამისგან აქვს მიღებული, სხვათა შორის ის თვისებაც რომლითაც სული წმიდას აარსებებს. ამ გვართ, ძე ღმერთი სული წმიდის მიზეზია ნამდვილათ, მაგრამ თვითონაც ნამიზეზევია, რადგან ყველაფერი მამისგან აქვს მიღებული <sup>1)</sup>.

აი ამნაირათა ხსნის კათოლიკე ეკლესია „სული წმიდის ძისაგან გამოსვლას“. ამ განმარტებას ყველა მამები ერთხმათ იზიარებენ.

„რა კი მხოლოდშობილი ძე დასაწყისიდანვე მარტობა მამასთან ერთათ, რაღა საკვირველი თუ ის **ესაჭიროებო-**

<sup>1)</sup> ზოგიერთი აღმოსავლეთელი მამები და მათ მერმე დღევანდელი ღვთისმეტყველებიც (იხ. კათეხიზ. ფილარეტისა) ადასტურებენ: სული წმიდა მამისაგან ძის მიერ გამოვალსო. იმათი შეხედულებით «ძისაგან» რომ ითქვას, ვაი თუ შემთხვევა მიეცეს გაუგებრობას და ზოგიერთებმა იგულისხმონ რომ ძე ღმერთი სული წმიდის უმიზეზო მიზეზია და მამა ღმერთისგან განცალკევებულათ მოქმედობსო. ამ თვალსაზრისის ადგია წმ. მაქსიმე აღმსარებელი და ივ. დამასკელიც, მაგრამ არაერთი ეჭვი არ შეაქვთ რომ სული წმიდა ძისგან არ ღებულობდეს არსებობას და სხვა ყველაფერს.

დიდი უმეტესობა დანარჩენი მამებისა უშიშრათ ხმარობს «ძისაგანს». დასკვნა: ორივე გამოთქმაც მართლმადიდებლურია.

დეს სული წმიდის გვამს არა მარტო არსებობის მიღებისტვის, არამედ კვლავ სიბრძნისა, გონებისა, სიმართლისა, ერთი სიტყვით ყველა იმისა, რასაც აღვიარებთ რომ აქვს მას, ქრისტეს თვისებათა ზიარებითა<sup>1)</sup>.“ ცხადია, ორიგენის დროიდანვე (254) ქრისტიანობას სწამდა რომ სული წმიდას ძისგან აქვს მიღებული არსებობა და სხვა ყველაფერი.

რომელია წმ. ათანასეზე უფრო მართლმადიდებელი მოძღვარი? არ მოიპოება სხვა წმ. მამა რომ სარწმუნოების გულისთვის მასზე უმეტესი შეწუხება გამოეაროს. ამის დროს გავრცელდა არიოსის მკაწრველობა—იესო ქრისტე მხოლოდ კაციაო. წმ. ათანასე არიოსელთა მოძღვრებას ამ საბუთით არღვევს: არავინ არის რომ უარჰყოფდეს სული წმიდის ღმერთობას; მაშ, მით უმეტეს ძეც ღმერთი უნდა იყოს, ვინაიდან „რაც კი მოეპოება სულსა, სულყველაფერი სიტყვისგან. (ძისგან) აქვს მიღებული<sup>2)</sup>.“

წმ. მამებში, კესარიის მღვდელმთავარს ვასილს ბუმბერაზის ადგილი უკავია; მოწიწებით ყური ვუგდოთ მის მოძღვრებას. მწვალებელი ევნომი გაიძახოდა: სული წმიდა მარტო ძისაგან გამოვალსო; მოისმინეთ როგორ ეკამათება მსოფლიო. მოძღვარი: „განა ვისთვისმე საექვოა რომ ძის მოქმედება არ არის გაყოფილი მამის მოქმედებისგან, რომ რაც ძეს ეკუთვნის, მამას არ ეუცხოება? რამეთუ, ამბობს ძე, ყოველი რაიცა მაქვს შენია, და ყოველი რაიცა გაქვს ჩემია. მაშ, ევნომი როგორ ასაკუთრებს მარტო ძეს, სული წმიდის წარმოებას?..“<sup>3)</sup> წმ. ვასილის საბუთი ამ დაგვარია: რაც ძის საკუთრებას შეადგენს, იგი მამასაც უნდა მოეპოებოდეს, და რაკი ძეს

<sup>1)</sup> ორიგენი: განმარტ. იოან. სახ. ტ. 2, 6.—<sup>2)</sup> სიტყ. მე-2 არიოს. წინაღ., 24-25.—<sup>3)</sup> ევნომ. წინაღ. წიგ. 2. ბოლოში.

ეკუთვნის სული წმიდის მიზეზობა, ესევე მამა ღმერთსაც უნდა მივასაკუთროთო.

ვინც ცოტაოდნათ მაინც გასცნობია საღვთისმეტყველო საგნებს, იმისთვის ექვი არ შეიძლება იყოს ამ საკითხზე. უფრო განვითარებული მართლმადიდებელი ღვთისმეტყველები კათოლიკებს მხოლოდ იმას უსაყვედურებენ რომ: „**მრწამსში**“ არ უნდა ჩაერთოთ „**და დისაგან**“ რადგან ეს წმ. კრებებისგან აღკრძალული იყო.

მიემართოთ ისტორიულ წყაროებს: ეფესოს მსოფლიო კრებაზე (წ. 431), ფილადელფიელმა მღვდელმა ქარიზიომ ორი მრწამსი წაიკითხა: ერთი ნესტორიანებისა და მეორე თავისი საკუთარი. კრებამ შეცდომა აღმოაჩინა ნესტორიანულ მრწამსში, და რათა მომავალშიც ხალხი არ გაებრიყვათ ახალახალი მრწამსის შემოღებით, განკარგულება გამოსცა: „აღარავის შეეძლოს სხვა სარწმუნოების (იგულისხმე: მრწამსის) დამუშავება, თვინიერ იმისა რომელიც სული წმიდის შემწეობით დაიმუშავეს ნიკიის მამებმა“ო. (ლაბ. ტ. 3, 689).

აშკარაა, კრების აკრძალვა კერძო პირებს შეეხება, თუნდა იმიტომ რომ კერძო პირისგან შემუშავებულმა მრწამსმა გამოიწვია იგი. ამასვე ამტკიცებს სასჯელი ურჩების წინააღმდეგ: ვინც დაარღვიოს კრების დადგენილება, ეპისკოპოსები ეპისკოპოსობიდან განიკვეთნონ, მღვდლები მღვდლობიდან და ერისკაცნი კი შეჩვენების ქვეშ იყვნენო. უკეთუ კერძო პირმა კი არა, მსოფლიო კრებამ მოისურვოს სხვა მრწამსის შემოღება ან არსებულის შევსება, ნუ თუ იმასაც მისწვდება შეჩვენება?—რა საკვირველია, არა. რა უფლებაც ჰქონდათ ნიკიის მამებს; იგივე უფლება აქვთ დანარჩენ კრებათა მამებსაც; ამ უკანასკნელთ შეუძლიათ სულ ახალი სახე მისცენ მრწამსსა, როდნდ ნიკიის საწინააღმდეგო რწმენა არ იყოს შიგ გატარებული. უკეთუ ეს მსოფლიო კრებას შეუძლია, მაშ,



რომის პაპსაც უნდა შეეძლოს, რადგან—ზემოთ უკვე ვნახეთ (გვ. 30)—მისი უფლება თუ არ აღემატება, მაინც არაფრით ჩამოუვარდება მსოფლიო კრებათა უფლებას.

ეხლა დავუბრუნდეთ სადავო საკითხს. ჩამატება „და ძისაგან“ მოხდა ისპანიაში, 589 წელს თოლედის მე-3 კრების მამათა მიერ. მაშინ, ძალიან მძლავრობდენ არიოსელნი, რომელნიც ამბობდენ: ძე მამაზე მცირეა და სული წმიდა კიდევ ძეზეა. სხვათა შორის, საბუთათ ნიკიის მრწამსიც მოჰქონდათ: ძეს ყველაფერი არ მიუღია მამისგან, ვინაიტგან, მიზეზობა სული წმიდისა მარტო მამაზეა ნათქვამიო.

თოლედის მამებმა საჭიროთ დაინახეს თვითეული მორწმუნე გაეფრთხილებინათ და ამიტომაც მრწამსში ჩაურთეს შესაფერი სიტყვა „და ძისაგან“. ნუ თუ არ ახსოვდათ მსოფლიო კრების აკრძალვა?—რა საკვირველია, გათვალისწინებული ექნებოდათ, მაგრამ ფიქრობდენ: არ ჩამატება ზიანს მიაყენებს ეკლესიას, ამიტომ, ამ შემთხვევაში, აკრძალვას ძალა ეკარგებაო. ასევე ფიქრობდენ ფრანგები მე-9 საუკუნეში. ამათ დელეგაცია გაგზავნეს პაპთან 808 წელს. წმ. ლეონ მე-3 უპასუხა: თუმცა მართალია, სული წმიდა მამისა და ძისაგან გამოვალს, მაგრამ, თქვენი უფლებისთვის გადგიჟარბებიანთ, როდესაც თქვენივე კერძო თაოსნობით მრწამსში ჩაგიმატებიათ, წინააღმდეგ წმ. მამების დადგენილებისაო<sup>1)</sup>. პაპმა ურჩია, ნელნელა აღედგინათ ძველი მრწამსის ხმარება, მაგრამ ამის მიზეზით არავინ შეუჩვენებია.

რომის ეკლესიაში ჩაუმატებელ მრწამს ხმარობდენ ფოტის გამოჩენამდე, მერმე კი იქაც ჩაუმატეს; ზოგიერთი მკვლევარის აზრით ეს უნდა მომხდარიყო პაპის ბენედიქტე მე-8 დროს (1012-1024).

<sup>1)</sup> ნათალის აღეკს. ისტ. ტ. 5, 445, 449.



მოკლეთ დავსკვნათ: პირველათ დასავლეთში რომ ჩაუმატეს „და ძისაგან“ ეს ნამდვილი უკანონობა იყო, ამიტომ წინააღმდეგობა გაუწიეს რომის პაპებმა: მაგრამ, რაკი ჩამატება იგი მართლმადიდებლური იყო, პაპი შეჩვენებით არ შეუდგა ამ უკანონობის აღმოფხვრას. მერმე ხომ პაპიც დათანხმდა, და ამნაირათ, ჩამატებამ კანონიერი სახე მიიღო... ესთქვათ რომ პაპსაც არ ჰქონებოდა ჩამატების უფლება, იმ შემთხვევაშიც კი საკმაო მიზეზი არ იყო განხეთქილების მოსახდენათ. თუ კი რწმენა ერთი და იგივეა, ჩამატება-არჩამატების საკითხმა როგორ უნდა გაჰყოს იესო ქრისტეს ეკლესია?..

მაგრამ, დაე უკიდურესობასაც გადავცილდეთ და ეკვი შევიტანოთ პაპის მართლმადიდებლობაში,—არც მაშინ იქნებოდა კანონიერი მისგან ჩამოშორება; რადგან, განკვეთა (გაგდება ეკლესიიდან მწვალებლობის გამო) მხოლოდ პაპსა და მსოფლიო კრებას შეუძლია... განიხილეთ, წმ. კირილემაც კი ვერ გაბედა თავისი ინიციატივით განეკვეთა მწვალებელი ნესტორი! (იხ. ზემოთ გვ. 33, 35) გვიჩვენონ რომელმა მსოფლიო კრებამ განკვეთა პაპი?—ამისთანა კრება არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს, რადგან მსოფლიო კრება გულისხმობს თავმჯდომარეს, ე. ი. რომის ეპისკოპოსს. მაშ, იურიდიულათ სწორეა შემდეგი დებულება: **ყოველივე ჩამოშორება რომის ეპისკოპოსისგან ამბოხების სახელით უნდა მოინათლოს.**

2.—**ხშიადით წირვა.**—ფოტის შემდგომ, იმისდა მიუხედავათ რომ „და ძისაგან“ უფრო და უფრო ვრცელდებოდა დასავლეთში, ბიზანტია მაინც შეერთებული იყო რომის ეკლესიასთან. პაპი ძველებურათ ეწეოდა მთელი ეკლესიის მართველობას... ასე გაგრძელდა 150 წელიწადი, სანამ კონსტანტინეპოლის საპატრიარხო საყდარზე ავიდოდა მიხელ კერულარი 1043 წ. ეს უკანასკნელი მა-

შინვე შეუდგა ფოტისებურ საქმეს. ამ ჯერობათ არ იკმარებდა დაყრდნობილიყო დაძველებულ „და ძისაგან“ზე. საჭირო იყო ახალი ცთომილება აღმოეჩინა ლათინებში. როგორც ეტყობა 10 წლის განმავლობაში ამზადებდა ნიადგასა, და ბოლოს, დიდის რიხით გამოვიდა საბრალმდებლო ოქმით: ლათინების წირვა წირვათ არ ჩაითვლება, რადგან **ხმიადით** ანუ **გაუღვავებელი** პურით სწირავენ, იესო ქრისტემ კი ცომიანი (გაღვავებული) პურით სწირაო. მიხელ პატრიარხის მთელი არგუმენტაცია სავესებით შეითვისა ჩვენმა განათლებულმა კათალიკოსმა ანტონ პირველმა: უპურისცომო პურს—**ხმიადს** ეძახიან საღვთო მწერლები, პურის ცომიანს კი— „პურსა“; ჰო და, წირვის განწესებაზე რომ ლაპარაკობენ მახარობელნი, „უცომოს“ ან „ხმიადს“ კი არ ამბობენ, არამედ „პურსა“: აილო იესომ **პური** ხელშიო.

ამ ჯერობათ—უნდა გამოვტყდეთ—განათლებული კათალიკოსი ქვიშიან ნიადგაზე ეყარება; ცოტა არ იყოს წმ. წიგნების უცოდინარობასაც იჩენს, რადგან წმ. წიგნებში ბევრჯელ „ხმიადის“ მაგიერ, სიტყვა „პური“ იხმარება, იხილე ამის მაგალითები: შესაქმე 18, 5-6, გამოსვლა 25, 30, მათ. 12, 4, ლუკ. 24, 30... გვიკვირს, ანტონისთანა მკვლევარს როგორ გამოეპარა ის შემთხვევა რომ სერობა მოხდა პასექის ანუ „უცომოების“ დღესასწაულის პირველსავე დღეს. მკითხველმა უნდა იცოდეს, პასექის დღესასწაული 7 დღეს გრძელდებოდა, რომლის განმავლობაშიც, მხოლოდ და მხოლოდ უცომო პურით იკვებებოდნენ ურიები; ცომიანი პურის **შენახვაც** კი აკრძალული ჰქონდათ, **დამნაშავეს** სიკვდილი მოელოდა: „შვიდ დღეს უცომოსა სჭამდით; ხოლო პირველით დღიდგანვე, განაქარვეთ ცომი სახლთა თქვენთა. ყოველმან რომელმან ჭამდეს ცომივანი, მოისპოს სული



იგი ისრაელისაგან პირველით დღითგან ვიდრე მეშვიდედღემდე.“

მაშ, სად უნდა ეშოვნა იესოს ცომიანი პური? და კიდევ რომ ეშოვნა, რა ისეთი დიდი მიზეზი იყო შუაში რომ მოსეს სჯული დაერღვია?

ზოგიერთი მართლმადიდებელი ღვთისმეტყველები ფიქრობენ: „უცომოების“ წინა დღეს სჭამა პასეკი მაცხოვარმაო.

— ჯერ ერთი, ეს აშკარათ ეწინააღმდეგება მათე-მარკოზ-ლუკას<sup>2)</sup> სიტყვებს: სამივენი აღნიშნავენ რომ პასეკის დღესასწაული უკვე დაწყებული იყოო. ივანე მახარობელის რწმუნება „უწინარეს დღესასწაულისა მის პასეკისა“<sup>3)</sup> ამას არ ეწინააღმდეგება, ვინაიდან იგი ხალხური გამოთქმით ლაპარაკობს, რომლის მიხედვითაც, ყოველივე დღესასწაული იწყება შუალამიდან, სჯულის თვალსაზრისით კი, პასეკი იწყებოდა მზის ჩასვლიდან. პრაქტიკულათ, ხალხიც მზის ჩასვლიდანვე მოიკვეთავდა ცომიან პურსა, მაგრამ ბაასში, ხშირათ ანგარიშს არ უწევდა მწუხრსა, რომელიც გასულ დღის ნაწილათ მიაჩნდა. აი ამით აიხსნება ივანე მახარობელის განსხვავებული გამოთქმა. ამაზეც რომ თვალი დავხუჭოთ, ექვს გარეშეა უცომოების დღესასწაული ჯერ კიდევ არ იყო გათავებული როდესაც იესო აღსდგა; ჰო და, აღდგომის დღესვე მაცხოვარმა, ემშაოს მოწაფეების წინაშე<sup>4)</sup> კვლავ წმ. წირვის მსხვერპლი შესწირაო, დასძენენ ოქროპირი<sup>5)</sup> და თეოფილაქტე<sup>6)</sup>. მაშინ ხომ, უცომოების შუა დღესასწაულში, შეუძლებელი იყო ცომიანი პური ჰქონოდათ უბრალო დაბის სასტუმროში?

1) გამოსვლა, 12, 15.—2) მათ. 26, 17; მარკ. 14, 12; ლუკ. 22. 7-8.—3) იოან. 13, 1.—4) ლუკ. 24, 30.—5) ომილ. 9, მათეზე.—6) განმარტება წმ. ლუკას სახარებისა.



ჩვენს დასკვნას იზიარებს უფუნათლებულესი წევრი საქართველოს ეკლესიისა, წმ. გიორგი მთაწმიდელი, რომელიც სწორეთ მიხელ კერულარის დროს მოღვაწეობდა; აი მისი სიტყვებიც: „ვითარცა იგი თავმან მოციქულთამან პეტრემ, შესწირა უსისხლო იგი მსხვერპლი<sup>1)</sup>, და უმეტესადლა თვით თავადმან უფალმან მისცა მოწაფეთა ღამესა მას სერობისასა, ეგრეთ აღასრულებენ ჰრომნი<sup>2)</sup>, და არა რაჲ არს მას შინა განყოფილება<sup>3)</sup>“.

გიორგის შეხედულობით, თუმცა იესო ქრისტემ ხმიადით სწირა, მაგრამ ეს სავალდებულო არ არის, ცომიანი პურის ხმარებაც შეიძლებაო. მეცნიერულმა გამოკვლევამ მთლათ გაამართლა გიორგის თვალსაზრისი: უდიდესი მკვლევარნი იმ აზრისა არიან რომ დასაწყისში, შემთხვევის დავგარ, ხმიადსაც და ცომიან პურსაც ხმარობდენ განურჩევლათ; მაგრამ, ნელნელა, აღმოსავლეთში უარყვეს, ებრაელების თაკილობით; დასავლეთში კი, სადაც ებრაელებს ნაკლებათ ჰქონდათ გავლენა, იესოს მაგალითს მიჰყვნენ და ხმიადით წირვა დაწესდა საბოლოოთ.

**3.—რომის პაპის უცოდველობა.**—სამართლიანი იქნებოდა ეს ბრალდება, მოგონებული რომ არ ყოფილიყო ცილობის მოყვარე ბერძნებისგან. კათოლიკური რწმენის თვალსაზრისით, პაპიც ისეთივე ხორციელი და ჩვეულებრივი მომაკვდავია როგორც ჩვენ ყველანი... მაშ, სიდან წარმოსდგა „უცოდველობის“ ზღაპარი?—ლათინური სიტყვა „infallibilitas“ რომელიც ნიშნავს „უცოდმელობას“, იმისთანა ორქოფული სიტყვით გადათარგმნეს ბერძნებმა რომ ორსავე მნიშვნელობას იგუებს „უცოდველობას“ და „უცდომელობასაც“; როგორც მოსალოდნელი იყო, ლათინქამია ბერძნის მწერლებმა ის მნიშვნე-

1) იგულისხმე წმ. წირვა.—2) ლათინები ანუ დასავლეთელი კათოლიკები.—3) ათონის ხელნაწ. 1074 წლისა, გვ. 332.



ლობა გაავრცელეს რომელიც უფრო მეტათ გაამანსახებდა კათოლიკობას.

პაპის უცთომელობა კი იმნაირათ სწამსთ კათოლიკებს, რა ნაირათაც სწამდათ წმიდა მაქსიმეს, თეოდორე სტუდელსა და საერთოთ წმ. მამებს: როდესაც **რომის ეპისკოპოსი ოფიციალურათ ასწავლის მთელს ეკლესიას რომ ესა და ეს რწმენა ღვთისგან გამოცხადებულიაო, მაშინ, სული წმიდის განსაკუთრებული დახმარების წყალობით, იგი უცდომელია.**

ამ შემთხვევაშიც რომ შესაძლებელი იყოს მისი უცთომა, მაშინ ხომ ეკლესია პეტრესეულ კლდეზე აღარ იქნებოდა დაშენებული, მაშინ ხომ ჯოჯოხეთის ბქენი დაჯაბნიდა მას, მაშინ ხომ უნაყოფოთ დარჩებოდა იესოს ლოცვა და პეტრესგან ძმების განმტკიცებას მნიშვნელობა დაეკარგებოდა!..

წინააღმდეგობენ: აკი პეტრეც შეცდა მაცხოვარი რომ უარჰყო. — პასუხი ადვილით: პეტრე ჯერ კიდევ არ იყო ეკლესიის მეთაური, და ამას გარდა, პეტრემ რომ უარჰყო, ეს კერძოთ ცოდვა მოუხდა, მაშინ ხომ ოფიციალურათ არ ასწავლიდა მთელს მსოფლიო ქრისტიანობას რომ ესა და ეს უნდა ირწმუნოთო... პაპი უცთომელია მხოლოდ სარწმუნოებრივ საკითხში, **უცთომელია და არა უცოდველი.** აღმოსავლეთის ეკლესიასაც სწამდა პაპის უცთომელობა: განიხსოვნეთ შეკრებილ მამათა ზახილი: ლეონის პირით თვითონ პეტრემ ილაპარაკა... აგათონის პირით თვითონ პეტრევე მეტყველებსო. განიხსოვნეთ მაქსიმე აღმსარებელის შეხედულობა: „იმის შემდგომ რაც გარდამოხდა სიტყვა ღვთისა განხორციელებული, ყოველა ეკლესიებს მთელი ქვეყნისას ჰქონდათ და აქვთ თავიანთ საძირკვლათ და ფუძეთ, უაღრესი ეკლესია ესე (რომისა), რომელსაც მაცხოვრის დაპირებისამებრ ვერ მოერევიან ბქენი ჯოჯოხეთისანი; მას მოეპოე-

ბა კლიტენი ქეშმარიტი სარწმუნოებისა ქრისტესადმი და მართლმადიდებლურ აღიარებისა <sup>1)</sup>.”

წმ. თეოდორე სტუდელიც აცხადებს რომ: მაცხოვარმა რომის საყდარს გადასცა „კლიტენი სარწმუნოებისა, და ბქენი ჯოჯოხეთისანი (იგულისხმეთ მკაწვრელთა მატყუარი ბაგეები) თავის დღეში არ მორევიან და ვერც მოერევიან... მაშ, პასკალი <sup>2)</sup> მოხარული უნდა იყოს რომ პეტრეს საქმე ასრულა <sup>3)</sup>.”

განხილვით ისიც რომ პრაქტიკულათ მთელს აღმოსავლეთს და დასავლეთს რომის აღიარებისკენ ჰქონდა მიქცეული თვალები <sup>4)</sup>; პაპისგან მოელოდენ ბოლო სიტყვას; წმ. ფლავიანე კონსტანტინეპოლელისთვის, პაპის სიტყვას მსოფლიო კრების ძალავე ჰქონდა <sup>5)</sup>; წმ. აგვისტინე აფრიკელისთვის, რომის ეპისკოპოსი რომ გამოიტანდა განაჩენს, კამათიც უსათუოთ უნდა დამცხრალიყო <sup>6)</sup>; აზიაშიც ამავე შეხედულობისა იყვნენ, აკი სოზომენი იხსენიებს რომ გამწვავებულ კამათის დროს, როდესაც რომიდან მოწერილობა მოვიდა, „ყველანიც დაწყნარდნო“... <sup>6)</sup>).

ისედაც აშკარაა, რომის სიტყვა უცთომელათ მიაჩნდა მთელს ქრისტიანობას... მაშ, როდესაც კათოლიკები დასძენენ რომ პაპი უცთომელია, ამით ახალს არაფერს ამბობენ, არამედ იზიარებენ უძველეს რწმენას აღმოსავლეთელ მნათობებისას: ფლავიანესას, მაქსიმე აღმსარებლისას, თეოდორე სტუდელისას და მსოფლიო კრებათა უამრავ მამებისას...

ამის შემდგომ, განა რომ უფლება გვაქვს წმ. გიორგი მთაწმიდელის სიტყვით დავაბოლოოთ: არა რაჲ არს ამას შინა განყოფილება?

<sup>1)</sup> იხ. წერილი მაქს. პაპთან, მინის ბერძ. პატროლ. ტ. 91.

—<sup>2)</sup> პაპის სახელია.—<sup>3)</sup> წერილი ნაეკრატისადმი.—<sup>4)</sup> იხ. თავი მესამე გვ. 32.—<sup>5)</sup> იქვე გვ. 30.—<sup>6)</sup> სოზომ. 7, 22.

4. — **წყალ-დასხმით მონათვლა.** ეს ბრალდება სულ პირველათ კონსტანტინეპოლის პატრიარხმა კირილე მე-5 წამოაყენა 1755 წელს<sup>1)</sup>. მისი შეხედულებით: მონათვლა უჯეროა თუ მოსანათლავი პიროვნება სამჯერ წყალში მთლათ არ იქნა გავლებული, და ამიტომაც უჯეროა დასავლეთელების მონათვლა თავზე წყალდასხმით რომ ასრულებენო!..

საქართველოშიც, ზოგიერთები ამ აზრისავე არიან. ჩვენ ვიცნობთ ერთს დეკანოზს, რომელმაც სამი ქართველი ბავშვი უკვე კათოლიკურათ მონათლული, ხელმეორე წყალში გავლებით დანათლა!..

სულ სხვა აზრისა იყო მართლმადიდებელთა ეკლესია მე-18 საუკუნემდე: კონსტანტინეპოლში მომხდარ კრებებზე 1484—1600 წლებში, დადგენილ იქნა რომ ლათინები თუ მოიქცენ „მხოლოდ მირონი სცხონ“. მკითხველს ეცოდინება რომ ლათინის ტიპიკონში, ნათლილებისა და მირონის ცხების საიდუმლო ცალცალკე ეძლევათ ბავშვებს; მაშ, ხსენებულ კრებებზე, ლათინების ნათლილება ჯეროვნად უცენიათ.

ვინც მთლათ უცხო არ არის უძველეს საუკუნეთა ისტორიასთან, იმას ეცოდინება რომ წყალ-დასხმით მონათვლა პირველ საუკუნეებშიც იხმარებოდა. აი რა სწერია უძველეს საბუთში რომელიც სულ პირველათ ბერძენმა მიტროპოლიტმა ფილოთე ბრიენმა გამოაქვეყნა, და რომელსაც ჰქვია „დიდახი“ ანუ „სწავლა მოციქულთა“: „თუ მდინარის წყალი არ გაქს, სხვა წყლით მონათლე; თუ ცივი წყალი არ გაქს, თბილით მონათლე; თუ არც ერთი გაქს საკმარისათ, სამჯერ დაასხი წყალი თავზე, სახელითა მამისათა, და ძისათა და სულისა წმიდისათა“.

ამის შემდგომ, ჩვენ აღარ გავაგრძელებთ; დაე ეხ-

<sup>1)</sup> ისტორ. გეოგრაფ. ლექსიკ. კუთირას მიერ ტ. 5, 192.

ლანდელი დეკანოზები ჯერ მოურიგდენ მოციქულებს და ზემოთხსენებულ კრებათა ეპისკოპოსებს, და მაშინ სადავოც აღრაფერი ექნებათ კათოლიკებთან.

5. — **ზიარება მარტო პურის სახით.** — ეს თურმე არ ჰყოფნის, ღვთის ბრძანება ყოფილა წმ. სისხლის მიღებაც; თითქოს, ვინც პურის სახით ეზიარება, მაცხოვრის ცხოველ-მყოფელსა და მაშასადამე სისხლითაც შეხავებულ ხორცს არ ღებულობდეს. სახარებაში ხომ ნაბრძანებია: სვით ამისგან ყოველთაო? <sup>1)</sup>

მოისმინეთ პასუხი: მაცხოვარი ამას ეუბნება მოციქულებს სერობის ჟამს, როდესაც ორი რამ დააწესა: წმ. ზიარება ყოველა მორწმუნეთაგან მისაღები და წმ. წირვა მარტო მოციქულებს რომ უნდა შეეწირათ. წმ. წირვის შესასრულებლათ, აუცილებლათ საჭიროა ორივე სახე პურისა და ღვინისა, რათა სისრულით იქმნეს წარმოდგენილი იესოს სიკვდილი, ე. ი. განშორება სისხლისა ხორცისაგან; მეორე მხრივ, ორისავე სახით ზიარებას მოითხოვს მსხვერპლის სისრულე, — მსხვერპლს კი მარტო მწირველი ასრულებს, ყველას სახელით და წარმომადგენლობით; სულაც რომ არ ეზიარონ მორწმუნეები, მსხვერპლის სისრულეს მაინც არაფერი დააკლდება. იესოს ბრძანებაც: სვით ამისგან ყოველთაო, — მსხვერპლის სისრულეს შეეხება და მარტო მწირველისთვისაა სავალდებულო.

მსოფლიო ეკლესია მუდამ ასე ზედებოდა. პირველ საუკუნითგანვე, ცხოვრებაში იყო გატარებული ერთი სახით ზიარება: ქორთვა ყმაწვილები მარტო ღვინის სახით ზიარობდენ, ავათმყოფები, მოგზაურები და განდევნილები კი მარტო პურის სახითა <sup>2)</sup>.

წმ. წირვაზეც კი მიღებული იყო ერთი სახით ზია-

1) მათ. 26, 27. — 2) იხ. თეოდ. სტუდ. წერ. 57; ვესებ. ისტ. წ. 6, თ. 44.

რება. აი ცერემონიალი პირველ საუკუნეთა ზიარებისა: მწარველი მორწმუნეს ხელში ჩაუსვენებდა წმ. სეფისკვერს და შემდგომ, ვისაც კი სურდა ღვინის სახითაც ზიარება, მღვდლის ბარძიმიდანვე მიიღებდა, სწორეთ ისე როგორც ამას ვხედავთ ეხლანდელ აღმოსავლეთურ ტიპიკონის დიაკვნებში.

ღვინის სახითაც ზიარება არა დროს ყოფილა სავალდებულო. მხოლოდ მე-5 საუკუნეში, დროებითი ბძანება გამოსცა ლეონ პირველმა რომ ყველა მორწმუნე ორივე სახით ზიარებულყო, — აი რამ გამოიწვია ხსენებული განკარგულება: რომში მრავლდებოდნენ და გავლენას ჰპოულობდნენ მკაწრელი მანიკეველნი, რომელნიც განგებ მორწმუნეებში ერეოდნენ მკაწრველობის დასაფარავათ; მორწმუნეებსავით უახლოვდებოდნენ წმ. ტრაპეზსა, მაგრამ, თავის დღეში არ ზიარობდნენ ღვინის სახის ქვეშ, რადგან „უწმიდურ გაჩენილათ“ მიაჩნდათ ღვინო! და სწორეთ, მანიკეველების გამოსაცალკევებლათ იყო რომ ლეონ პაპმა ბრძანება გასცა, მორწმუნეები ორივე სახით ზიარებულყვნენ. თვით ფაქტი განკარგულებისა გულისხმობს რომ იქნობამდე სავალდებულო არ ყოფილა ორივე სახით ზიარება. შემდგომში, როდესაც მანიკეველების სექტა აღმოიფხვრა, კვლავ თავისუფალი გახდა ერთითა თუ ორი სახით ზიარება.

მხოლოდ მე-7 საუკუნეში იჩენს თავს დღევანდელი მართლმადიდებლური პრაქტიკა, — შეწირულ ღვინოში დაღობილ სეფისკვერით ზიარება, და აღსანიშნავიცაა რომ ადგილ-ადგილ ეკლესიური მართველობა უარყოფით ხვდება<sup>1)</sup>, აღმოსავლეთშიც კი<sup>2)</sup>, ხოლო 1095 წელს, პაპი ურბანო მე-2, მთელს დასავლეთში აღკრძალავს.

<sup>1)</sup> ოქმები ბრავის კრებისა. — <sup>2)</sup> ტრულლოს ყრილობა (მე-7 საუკ.) იმის მომხრეა რომ ზიარება «ძველებურათ», სეფისკვერის ხელში ჩასვენებით სწარმდებდეს; სიანს, «შერეულ ზიარე-

მე-13 საუკუნეში, თითქმის ყველგან, მარტო პურის სახით ზიარობენ: „რაკი თვითეული სახის ქვეშ სრული ქრისტე მიიღება, მაშ მთლათ კანონიერია ზიარება მარტო პურის სახითა, როგორც ამას ერისკაცები ასრულებენ თითქმის ყველგან“ (ო სწერს ღვთისმეტყველი ალექსანდრე ჰალელი<sup>1</sup>) († 1245).

მაშ, სამნაირათ შეიძლება ზიარება ა) **ორივე სახით ცალცალკე**,—ეს პირველ საუკუნეებში ძალიან გავრცელებული იყო; ბ) **შერეულით**, როგორც დღეს ბერძნულ ტიპიკონშია მიღებული, და გ) **მარტო პურის სახით**; ლათინურ ტიპიკონში ეს უკანასკნელი ნაირობა დამყარდა საბოლოოთ, ამას თავისი სერიოზული მიზეზები ჰქონდა, რომელიც, დღეს თუ არა ხვალ აღმოსავლეთელებშიც იმოქმედებს და იძულებულ ჰყოფს უკუგადონ კოვზით ზიარება და სხვა კიდევ ბევრი დრო-მოქმული ჩვეულებანი..

ყოველ შემთხვევაში სამნაირივე ზიარება მართლმადიდებლურია, სამივე ხმარებული ყოფილა პირვანდელ ეკლესიაში, და ამაში გაყოფის მიზეზის დანახვა, ქართულ თქმულებას მოგვაგონებს: მიზეზ მიზეზ, დოს მარილი აკლიაო.

6.—**განსაწმედელი**.—კმარა გაეცნოთ კათოლიკეთა რწმენას განსაწმედელზე, რომ კვლავ მთაწმიდელსავეთ განაცხადოთ: არა რაჲ არს ამას შინა განყოფილება“ (ო. განსაწმედელი—ადგილია, სადაც დროებით იტანჯებიან ის მიცვალებულნი რომელთაც სააქაოდან გაჰყვათ მცირე ცოდვები ან გადაუხდელი საკანუნოები. ხსენებული მიცვალებულნი მაშინვე ვერ დაიმკვიდრებენ სასუფეველსა, რადგან ჯერ კიდევ ბიწიერნი არიან,—, „არა შევიდეს მუნ

ბას» ვერც კონსტანტინეპოლში მოუპოვებია ნიადაგი და ვერც საქართველოში, სადაც ზარზმის ეკლესიის კედელზე გამოხატულია მორწმუნე, რომელსაც მწირველი ხელში ჩასვენებით აზიარებს.—<sup>1</sup>) წიგ. 4, საქ. 53.

ყოველივე ბიწიერი<sup>1)</sup> ბრძანებს სული წმიდა. მეორე მხრივ სამართლიანობის წინააღმდეგი იქნება ჯოჯოხეთის სამუდამო სატანჯველებით დაიტანჯოს; აუცილებლივ უნდა არსებობდეს იმისთანა მდგომარეობა რომელშიც იწმინდებიან მცირე ცოდვებისა და სასჯელებისაგან. ეს ასე რომ არ იყოს, ყოველსავე მნიშვნელობას მოკლებული იქნება წმ. წირვა და ის ხშირ-ხშირი ლოცვები მსოფლიო ქრისტიანობა რომ ასრულებს მიცვალებულთათვის: „ვინმე რომ მოკვდეს და ცოდვების სასჯელი დარჩეს მოსახდელი, საქირთა მისი დახმარება შეძლების დაგვართ ლოცვა-ვედრებით, მოწყალების გაღებით და შესაწირავებითა“<sup>2)</sup> დასძენს წმ. ოქროპირი<sup>2)</sup>).

აქ უნდა შევნიშნოთ: განსაწმედელზე ორი რამ ვიცით დანამდვილებით: ა) უნდა არსებობდეს დროებითი სასჯელის მოსახდელი მდგომარეობა, და ბ) ცოცხლებს შეუძლიათ ამ მდგომარეობის შემსუბუქება.

როგორ იტანჯებიან? ცეცხლითა თუ უცეცხლოთ? სად იტანჯებიან? რამდენ ხანს გრძელდება სასჯელი? ამი-ებზე დაქვემდებარებით არაფერს ასწავლის კათოლიკე ეკლესია, თუმცა ღვთისმეტყველთა უმეტესი ნაწილი იმის მომხრეა რომ, როგორც ჯოჯოხეთში, ეგრეთვე განსაწმედელშიც, ერთნაირი საიდუმლოებრივი ცეცხლი უნდა მოქმედებდესო, მაგრამ, ეკლესიას გადაწყვეტით ჯერ კიდევ არაფერი გამოუქვეყნებია ამის შესახებ.

აშკარაა, კათოლიკესაც და შეგნებულ მართლმადიდებელსაც ერთი და იგივე რწმენა აქვთ განსაწმედელზე, და განა მართო განსაწმედელზე? მკითხველი უკვე დაწმუნებული უნდა იყოს რომ იოტის ოდენა განსხვავებაც არ არსებობს კათოლიკურსა და მართლმადიდებლურ

<sup>1)</sup> გამოცხ. 21, 27.—<sup>2)</sup> ა. კორ. ომილ. 4.



**მრწამს შუა 1).** სწორეთ განსაკვირვებელია! ვილაც ავან-ტურისტ-მეამბოხეებმა გაჰყვეს ორათ იესო ქრისტეს ეკლესია! ყოველა ჭეშმარიტს ქრისტიანს სევდით უნდა ევსებოდეს გული ამის გახსენებაზე რომ, **უმიზეზოთ და გაუგებრობით მოხდა ესოდენი შფოთი და გაწვალება იესო ქრისტეს სხეულისა!** ყველას გულამდე უნდა სწვდებოდეს ანტონ კათალიკოსის მწარე მოთქმა: „ხოლო აქა ცრემლითა ფრიადითა უამი არს წერად, და რათა მაქვდეს კალამი, მწუხარებისა ალთა შინა წთობილი... და მელანი ნაზავი ცრემლითა. ვაჰმე, ვაჰმე! განიყვნეს ეკლესიანი, სძალნი ქალწულნი, შვენიერნი მნათობნი აღმოსავალისა და დასავალისა ცის კიდეთანი, რომელსა ერთსამე ეწოდებოდა ეკლესია და არა ორ... 2)“

ანტონი ამას სწერდა 1752 წელს; მისმა წრფელმა და მახვილმა გონებამ მალე გამოიკვლია სიძნობლე და 1758 წელს კიდევ შეუერთდა რომის ეკლესიას... 3)

ნეტავ კიდევ მოიძებნებიან ანტონები, — დახელოვნებული მკვლევარნი, შეუდრეკელათ მიმდევარნი ჭეშმარიტებისა, ღრმათ გამსჭვალულნი იმ აზრით რომ ეკლესია ერთი უნდა იყოს და არა ორი?.. ეხლაც რომ აღმოჩნდებოდნენ ანტონები, ისინიც ახალს სიცოცხლეს ჩაჰბერავდნენ მშობლიურ ეკლესიის გაყინულ გვამსა!..

---

1) ზოგიერთ ბერძნულ საპოლემიკო წიგნებში, «ახალი ლათინების მწვალებლობანია» მოყვანილი, მაგრამ ისე ბუნდოვნათ რომ ვერ გაგიგიათ, სწორეთ რაში მდგომარეობს ბრალდება!.. ყოველა შემთხვევაში, ჩვენ საჯაროთ ვიწვევთ ყველას აღმოაჩინონ თუნდა ერთათ-ერთი საარწმუნოებრივი განსხვავება კათოლიკურსა და მართლმადიდებლურ ეკლესიათა შუა; ჩვენ მაშინ შემთხვევა მოგვეცემოდა ერთხელ კიდევ გაგვემართლებინა მთაწმიდელის თქმულება რომ «არ რაი არს ამას შინა განყოფილება».

2) მზამეტყველება, 722.—3) თამარაშვი. ისტ. კათოლ. გ. 373.

# თავი მეექვსე.

## რომი და საქართველო.

ქართველობა, როგორც ყოველა რაინდი ხალხი, ბუნებრივად მიდრეკილია ქეშმარიტებისკენ; ამ ბუნებრივმა მიდრეკილებამ თავისი წრფელი გზა გაიკვლია სარწმუნოების საკითხშიც, თუმცა გარეშე პირობები სულ სხვა ბილიკს უჩვენებდა. ჩვენს სამშობლოს სვავებსავით თავს დასტრიალებდნენ სომეხ-ბერძნები, **მეთვისეობის და ცილობის განსახიერებანი**; სომხობა მეხუთე საუკუნიდანვე გამოეყო მსოფლიო ეკლესიას და ქართველობის გაყოლებასაც ლამობდა. მაშინ, მძლავრი მოწინააღმდეგე შეხვდათ კირიონ კათალიკოსის პიროვნებაში. მართლაც ძლიერი უნდა ყოფილიყო კირიონი, რადგანაც სათავედანვე დებულობდა ქეშმარიტებას: აღმოსავლეთის საყოველთაო რყევის დროს, განიხსოვნა სიმტკიცე პეტრეს მოსაყდრისა და მტკიცე კავშირით შეეკრა მას<sup>1)</sup>. მე-11 საუკუნეში ბერძნებიც ჩამოშორდნენ რომის ეკლესიას; საქართველოში, მაშინაც, ახალი კირიონი აღმოჩნდა—გიორგი მთაწმიდელი. იმ დროს როდესაც, მიხელ კერულარი ჰეცეტა და ლათინების ეკლესიებს კონსტანტინეპოლში, პაპის სახელს ხოცავდა საეკლესიო წიგნებიდან და მრავლისგან მრავალ მწვალებლობას აბრალებდა რომის ეკლესიას,—სწორეთ იმ დროს, ლათინის ბერები ტკბილათ ცხოვრობდნენ მთაწმიდელ ქართველებთან, იმ მიწაზე და იმ მონასტერში, ქართველებისავე მაცადინეობით რომ ჰქონდათ შეძენილი. მაშინდელი და მერმინდელი ჩვენი საეკლესიო წიგნები კვლავინდებურათ იხსენიებს რომის პატრიარხს; მაგრამ, განმაცვიფრებელი და მოულოდნელი ის არის

<sup>1)</sup> იხ. ნეშტი მისი მიწერ-მოწერისა რომის პაპთან: თამარაშვი. ისტ. კათოლ. გვ. 24.

რომ კონსტანტინეპოლის საიმპერატორო პალატში ლათინთა რწმენის დამცველათ ჩვენი სასიქადულო გიორგი მთაწმიდელი გამოდის: სადავო საკითხები მარტო ბერძენლათინთა შორისაა; ქართველები კი სრულს თანხმობაში არიან ლათინებთან. მოუსმინეთ საქართველოს მოძღვარს: „ჰრომთა <sup>1)</sup> ვინათგან <sup>2)</sup> ერთგვის იცნეს ღმერთი, არა ოდეს მიდრეკილ არიან და არცა ოდეს წვალებაჲ შემოსრულ არს მათ შორის <sup>3)</sup>.“

ქართველების რწმენაზე იგივე მთაწმიდელი დასძენს: „რაჟამს ერთგვის გვიცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხულ გინა მარჯულ, და არცა მივდრკებით, თუ ღმერთსა უნდეს.“

აი რას ამბობს ბერძნებზე: „ბერძენთა შორის მრავალი წვალებაჲ შემოვიდა და მრავალგზის მიდრკეს.“ აი ეს ბერძნები „მრავალგზის მიდრეკილნი“, 50-დე წვალებას აბრალებდენ გიორგისგან ქება შესხმულ ლათინებს, რომელნიც „არა ოდეს მიდრეკილ არიან“ წვალებისაკენ! ამაზე არ ითქმის: ჩემი შენ გითხარ და გული მოგიკალო?

გიორგი მთაწმიდელის ანდერძისთვის არც შემდგომში უღალატია ქართველობას. საქართველოს და რომის ეკლესიას მჭიდრო კავშირი აერთებდა 1234-დე; ამის მერმე დაშორებას ვხედავთ <sup>4)</sup>, მაგრამ ამ დაშორებას თავის დღეში არ მიუღია განხეთქილების ხასიათი; ხშირათ დაშორებასაც კი ვერ შეამჩნევთ, ყოველა შემთხვევაში, იგი ძალიან მცირეა: ქართველმა არხიმანდრატმა ნიკიფორემ პროპაგანდას <sup>5)</sup> წარუდგინა საქართველოს ეკლესიის „მრწამსი“, რომელიც დაწვრილებით გამოიძიეს 20 ივლისს 1628 წ.

1) ჰრომნი—ლათინები.—2) ვინათგან—რაკი, რა დროდენაც.—3) ათონის ხელნაწ. 1074 წლ. გ. 332-333.—4) იხ. დღიური «ჩვენი ქვეყანა» 1917, № 4.—5) პროპაგანდა ის სამმართველო დაწესებულებაა რომელსაც აბარია მისიონების მოვლა-პატრონობა.

და ყველამ ერთხმით აღიარა: სულ ცოტათი განსხვავდება კათოლიკე სარწმუნოებისგან<sup>1)</sup>. სადაც კარდინალები<sup>2)</sup> მცირე განსხვავებას ხედავენ, იქ ნიკიფორე, თავისი ქართველური სიმარტივით, ვერაფერს ამჩნევს; იმისთვის, რომისა და საქართველოს ეკლესიას ერთი და იგივე სარწმუნოება აქვს. ეს აზრი მკაფიოთ გამოსთქვა როსტომ ხანისა და ქართველ მღვდელმთავართა წინაშე; იქვე იყვნენ სომხები და ბერძნები, რომელთაც სამართალში მიეცათ ქართველი ნასყიდათ ლოპამონი კათოლიკობის მიღების გამო. ნიკიფორე ბრალდებულის დამცველათ გამოდის და ბრალდებას მთლათ აქარწყლებს შემდეგი საბუთით: **ლოპამონს სარწმუნოება როდი გამოუცვლია, ქართველების და კათოლიკების სარწმუნოება ერთი და იგივეა;** მათ შორის სხვა არაფერი განსხვავებაა, თუ არ ის რომ ფრანგები (კათოლიკეები) უფრო ერთგულათ და მორწმუნებით იცავენ ქრისტეს სარწმუნოებასა<sup>3)</sup>. ნიკიფორე ბრალდების საფუძველსაც კი უარსჰყოფს: მართალია, ლოპამონმა კათოლიკობა მიიღო, მაგრამ ეს კიდევ სარწმუნოების გამოცვლას არ ნიშნავს, ვინაიდან ქართველების და კათოლიკების სარწმუნოება ერთი და იგივეაო. ამას ამბობს ქართველ კათოლიკოსის და ეპისკოპოსთა წინაშე, და არავინ ეკამათება, პირიქით, სიხარულით ეგებებიან ლოპამონის განთავისუფლებას.

ქართველობა რომ წინეთაც და შემდგომშიაც ამ ნაირი ფართო შეხედულობისა იყო, ამისი საბუთები მრავლად მოგვეპოება. აი რასა სწერს ცნობილი მოგზაური პეტრე დელლავეალდე 1625 წლის მოხსენებაში: ცხადათ არა სჩანს ქართველებიც ბერძნებსავით გაშორდენ თუ არა კა-

1) თამარაშვ. ისტ. კათოლ. გვ. 96.—2) კარდინალები— უაღრესი ეკლესიური პიროვნებანი—რიცხვით 72, რომელნიც ჩვეულებრივ პაპს ეხმარებიან მსოფლიო ეკლესიის მართველობაში.—3) თამარაშვ. ისტ. გვ. 126-127.

თოლიკე სარწმუნოებასაო<sup>1)</sup>. ოღონდაც რომ ცხადათ არ მოჩანს! გადაშალეთ გვ. 85 თამარაშვილის ისტორიისა და თქვენ შემდგეს ფაქტს ამოიკითხავთ: 1616 წელს, ვილაც ლათინის მისიონერი შემოივლის საქართველოში, შედის მართლმადიდებლების ეკლესიაში,—მღვდელი და ერი ხელზე ემთხვევა, კურთხევას სთხოვს, აღსარების თქმასაც აპირებს მასთან! 1613 წელს, ახლათ შემოსულ მისიონერებთან ქართველი თავადები აღსარებას ამბობენ და მათივე ხელით ზიარობენ<sup>2)</sup>...

თეიმურაზ პირველი, თავისი წარმოდგენით, რომის პაპის მორჩილიც არის და ამასთანავე წვერიც ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიისა; აი რასა სწერს სრულიად საქართველოს სახელით 1622 წელს: სარწმუნოება და სწავლა-მოძღვრება რომელიც მოციქულებმა ასწავეს, **განუხრწნელათ** დავიცუვეითო<sup>3)</sup>. იმავე წერილში პაპზე ამბობს: „**თქვენ ხართ ყველაზე უდიდესი და უმეტესად ამაღლებული მწყემსი...** ვითხოვ თქვენგან კურთხევას და ცოდვების შენდობას... რადგან **თქვენ ხართ** მთავარი მთელი ქვეყნისა... **მამა ყოველთა მორწმუნეთა... თქვენ ხართ პირველი საყდარი და გაქვსთ უსაზღვრო ხელმწიფება, გვიბრძანეთ და ყველაფერში დაგემორჩილებით**<sup>4)</sup>.“ ნიკიფორესავით, თეიმურაზიც არავითარ განსხვავებას ხედავს ქართველებისა და კათოლიკების სარწმუნოებაში.

თეიმურაზზე უწინ, ამგვარსავე აზრს გამოსთქვამდა სვიმონ მეფე 1586 წელს; წიგნსა სწერს<sup>5)</sup> „ყოვლად წმიდა და ნეტარს ჩვენს ბატონს, ჩვენს წმიდა მამას პაპსა.. მსაჯულო და ზეცის სუფევის კლიტეთა მქონებელო... ნათესავთა მოძღვარო... მქადაგო ყოვლისა სოფლისა,

1) იგივე. გვ. 88.—<sup>2)</sup> იგივე. გვ. 86.—<sup>3)</sup> იგივე. გვ. 93.  
—<sup>4)</sup> იგივე. გვ. 94.—<sup>5)</sup> იგ. 76-77.

მნათობო ეკლესიათა... თუ ჩვენ და თუ ყოველ მართლ-  
მადიდებელ ქრისტიანეთ აღგვიმატოს იმედი... და არცხვი-  
ნოს იგინი რომელნიც არ აღიარებენ ჭეშმარიტ სარწმუ-  
ნოებასა... ჩვენ მივიღეთ ტახტი ჩვენის მამისა და მას  
აქეთ დღე და ღამე არ მოგვისვენია არაოდეს ომისაგან,  
თვით ავდარშიაც კი. რა ბრძოლა, რა შეწუხება და გა-  
ჭირვება არ გამოვიარეთ ქრისტეს სიყვარულისათვის. და-  
ვიჭერით ომში, საპყრობილეში ჩაგვაგდეს სპარსელებმა...  
გავთავისუფლდით და ხელახლავ დავიწყეთ ომი... გული  
არ გავიტეხეთ. ჩემ თავს გაესწირავ ერთიანათ და ეგრეთვე  
ჩემს ქორთა შვილსაც; დავღვრი ჩემს სისხლს ვიდრე უკა-  
ნასკნელ წვეთამდე ჯვარცმული იესო ქრისტეს და ღვთის  
სიყვარულისათვის; ვიდრე პირში სული მიდგია, ხელს არ  
ავიღებ ოსმალების წინააღმდეგ ომზე... აწ, ყოვლად უწ-  
მიდესო ბატონო, რადგან **ყველა ქრისტიანების თავი  
ხართ და ყველაფერი თქვენ ხელშია**, მოეციეთ ძალა და  
შეწვენა ქრისტიანეთა ერთა...“ როგორც ხედავთ, სიმონ  
მეფესაც გიორგი მთაწმიდელის ფართე შეხედულობა აქვს:  
თავის თავს მართლმადიდებელ ეკლესიის წევრად სთვლის;  
გეგონება არც კი იცის რომ ეკლესიაში განხეთქილება  
არსებობს; მისი შეხედულობით მთელი ქვეყნის ქრისტიან-  
ები ერთს ეკლესიას შეადგენენ, და **პაპი კი ყველას  
მოდღვარი და მამაა**, და ამიტომაც ვალდებულია შე-  
ეწიოს აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ქრისტიანებსაც,  
რომელნიც თავისივე შვილები არიან. მიუკერძავე მკი-  
თხველი ადვილათ გაარჩევს რომ სიმონს მხურვალე რწმენა  
აღაპარაკებს და არა ქვეყნიური პოლიტიკა.

რომ საზოგადოთ საქართველოს მართლმადიდებელი  
ეკლესია ამნაირი აზრით ყოფილა გამსჭვალული, ამას  
ნათლათ ამტკიცებს კათალიკოსის ნიკოლოზ მე-X-ის წე-  
რილი 1742 წლისა: „უნეტარესო მამაო... მოსამართლევ  
ყოვლისა სოფლისა, პეტრე მოციქულის მოსაყდრევ და

ერთისა წმიდისა კათოლიკე ეკლესიის თავმჯდომარევ, რომელი ეკლესიაც არის დედა ქვეყნის ყოველთა ერთა.. ვითხოვ თქვენს სამწყემსო კურთხევას.. როგორადაც უწინ, ძველი დროდგანვე, ჩვენი ქვეყანა თქვენ გემორჩილებოდათ, მსგავსადვე ჩვენც კვალად თქვენის კურთხევისა და მადლის მქადაგებელნი ვართ. თუმცა კი ზოგიერთმა ჩვენის საქართველოს პატრიარქმა თქვენდამი ჯეროვნად მისაგებელი მორჩილება დაივიწყა, ხოლო გვედრებით, მათ ნუ დამადარებთ, რადგან მორჩილი და მზად ვარ ყველა თქვენი ბრძანება აღვასრულო<sup>1)</sup>...“


განმარტება ზედმეტია, რაც ზემორე მოყვანილ საბუთებით დავამტკიცეთ, ნიკოლოზ პატრიარხსაც ისტორიულ ქეშმარიტებათ მიაჩნია იგი. დაშორებას რომსა და საქართველოს შუა არა დროს მიუღია მწვავე ხასიათი, უფრო ხშირათ გარეგნული და დროებითი ყოფილა; მხოლოდ ზოგიერთ პატრიარხის დროს მომხდარა, არა განხეთქილება, არამედ ცოტაოდენი დაშორება... იმ ზოგიერთ პატრიარხებსაც აშკარათ უარი როდი უთქვამსთ პაპის მორჩილებაზე, ეს კია ჯეროვანი მორჩილება დავიწყებით, იმისთანა სრული მორჩილება რომელსაც აცხადებს ნიკოლოზ პატრიარხი: მზად ვარ ყველა თქვენი ბრძანება აღვასრულოო. ზემოთ მოყვანილ საბუთებიდან აშკარათ მოჩანს რომ მეგობრული კავშირი თითქმის არა დროს შეწყვეტილა რომისა და საქართველოს ეკლესიათა შუა; ეს კავშირი უფრო ხშირათ ნამდვილ ერთობამდე აღწევდა.

დღევანდელ ქართულ ეკლესიაზეც შეგვიძლია მსგავსი რამის თქმა; მართალია, სლავიანურმა აღზრდამ ბევრ მართლმადიდებლის გულში უნდობლობა და ერთნაირი

1) თამარაშვი. ისტ. კათოლ. გვ. 52.

მტრობა ჩათესა, მაგრამ რევოლუციის ცეცხლმა ამოსწვას ბოროტი თესლი... ქართული ეკლესია უკვე უბრუნდება ძველს ტრადიციებს; ნიკოლოზის და ანტონ კათალიკოსების საყდარს კვლავ იპყრობენ ღირსეული მემკვიდრეები, გაქვნილი ქართული სიწმინდებით... ქართულს ეკლესიაში კვლავ გაისმება ხმა გიორგი მთაწმიდელისა, ხმა ორის რაინდი ეკლესიის გამაერთიანებელი: „ჰრომთა ვინათგან ერთგვის იცნეს ღმერთი, არა ოდეს მიდრეკილ არიან და არცა ოდეს წვალებად შემოსულ არს მათ შორის“, და ქართველებს „რაჟამს ერთგვის გვიცნობიეს, არლარა მიდრეკილ ვართ მარცხულ გინა მარჯულ“!

კათოლიკებსაც და ქართველებსაც ერთი გზა გვივლია, კათოლიკებსაც და ქართველებსაც ერთი და იგივე რწმენა გვაქვს, მაშ რატომ ვართ დაყოფილნი?!





## ღ ა ს კ ვ ნ ა \* )

მოულოდნელმა რევოლუციამ მრავალი სასწრაფო საკითხი წამოაყენა; ერთი ამათგანი **სარწმუნოებრივი საკითხიცაა.**

საზოგადოთ, ყალბი შეხედულობა აქვთ ეროვნულ ბედნიერებაზე: მესვეურების მთელი ძალ-ლონე იქითკენაა მიმართული რომ სამშობლო ნივთიერთ მოღონიერდეს, — ამ მიზნის განხორციელებით, ქვეყნიურ სამოთხეს მივაგნებთო, ფიქრობენ! ისე უყურებენ ადამიანს თითქოს მარტო ხლთგრძნობიანი მანქანა იყოს! ავიწყდებათ რომ უმაღლესი სიცოცხლეც მოეპოება მას, და ამ სიცოცხლესაც თუ ნიადაგი არ შევუმზადეთ, სათანადო საზრდო არ აღმოვუჩინეთ, წახდება მთელი ადამიანი, ნივთიერება მოახჩობს სულიერობას, როგორც უბრალო ბალახი ძვირფასსა და იშვიათს მცენარეს.

სულიერ სიცოცხლეზეც თავისებური შეხედულობა აქვს დღევანდელ კაცობრიობას: მისთვის, სულიერი სიცოცხლე გონებრივ განათლებას არ სცილდება; ამიტომაც, ყველგან მანქანისებური სისწრაფით ამრავლებენ სასწავლებლებს... მაგრამ, დღევანდელმა დაუნდობელმა ხოცვა-ჟლეტამ უნდა დაგვანახოს რომ ნივთიერი სიმდიდრე და გონებრივი ცალმხრივი განათლება საუკეთესო საშუალებანია სიცოცხლის გასანადგურებლათ...

გონებრივი განათლება — დიდათ შესარგი — მხოლოდ ნაწილია; სრული განვითარება აუცილებლათ მოითხოვს **გულის დამუშავებას, ხასიათის გასპეტაკებას;** ამისთვის კი ხელი უნდა შეეწყოს პროგრესიული სარწმუნოების მოქმედებას. ქრისტიანობას — წმ. პავლეს \*\*) სი-

\*) დაწერილია 1917 წელში. — \*\*) ბ. კორ. 3, 6.

ტყვით—ორი რამე შეადგენს: ასო და სული; ქრისტიანული ასო კაი ხანია აღბეჭდილია საქართველოს გულზე, ასოს მოგახსენებთ, ე. ი. ქრისტეს სჯულსა; გარნა, ასო იგი, სათანადო ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუ მაცოცხლებელი სული არ მოეპოება. ქრისტეს სჯული—ის ძვირფასი დასამყნობი ხეხილი გახლავსთ, რომელიც განურჩევლათ ვერ დაემყნობა ყოველსავე მცენარეს; ერთათერთი მცენარე არსებობს რომლის მაცოცხლებელ წვესნაც ეგუებოდეს ქრისტეს სჯული, ის, —პეტრეს რომაული მცენარე გახლავსთ; ესრეთი იყო ღვთიური მებაღის ნება; პეტრეს და მის მოსაყდრეებს მიაბარა სიცოცხლის კლიტენი! მხოლოდ მის უმაღლეს მზრუნველობის ქვეშ განმტკიცდება ნორჩი ნამყენი—„იესოს სჯული“... ოც საუკუნია ისტორია ადასტურებს ჩვენს ნათქვამს: პეტრესგან ჩამოშორება მუდამ ჩამოშორებულის ზნეობრივი კატასტროფით და საერთო გაკოტრებით ბოლოვდებოდა. ამის ისტორიული მაგალითი თუნდა ბიზანტია გახლავსთ. პირიქით, მიხედვით **ტყვეობაში დაბერებულ ირლანდიელ-პოლონელებს**: ამათში სჩქედდა ქრისტიანული სული და აკი ტყვეობაშიც ჯალათებზე უკეთესათ ცხოვრობდენ...

ჩვენს საყვარელ სამშობლოს კი, თუმცა აქნობამდე უკვე სისხლის ასოებით ჰქონდა აღბეჭდილი ქრისტეს სჯული, მაგრამ, მოქმედების უნარი მაინც არ მოეპოებოდა; ას წლიანმა ტყვეობამ ხომ მთლათ საღათას ძილით მიაძინა... ეხლა იღვიძებს ჩვენი ივერი, ჯერ კიდევ სუსტია მისი მაჯისცემა, მთლათ მაშინ გამოცოცხლდება, როდესაც ახალი სისხლი ჩაერთობა მის მოღუენებულ ტამბურებში! მარტო **რომაულ სისხლს** შეუძლია დაგვაწინაუროს, ისე როგორც დააწინაურა ირლანდიელ-პოლონელები... ჩავფიქრდეთ, **სარწმუნოებრივი საკითხი მარტო სულის ცხონებას კი არ შეეხება**,—მისი სათანადო განხორციელება ერთი აუცილებელი პირობათაგანია

სამშობლოს აყვავებისთვის. სამშობლოს აღდგენის-  
თვის, სარწმუნოებაც უნდა აღდგეს, მაგრამ არა ლან-  
დი სარწმუნოებისა, არამედ ცოცხალი სარწმუნოება,  
სწორეთ ის, რომელიც გამოვიდა იესო ქრისტეს  
ღვთიურ ხელთაგან, ის რომელიც დაფუძნებულია  
პეტრესეულ კლდეზე.

დღეს, მთელი ქრისტიანობა ღრმად ჩაფიქრებულია  
და ცდილობს მკიდროთ დაკავშირებას პეტრეს მოსაყ-  
დრესთან. ყველაზე მეტათ საქართველოს უნდა უადვილ-  
დებოდეს დაახლოება, რადგან, თუ ბერძნებს ოდესღაც  
მტრობა და ცილობა ჰქონდათ რომთან, ჩვენ საამისო  
არაფერი გვქონია, მეგობრობის გარდა. რაკი თავის დღე-  
ში არ გვქონია მიუღებელი პრეტენზიები, არც ეხლა  
დაგვჭირდება თითზე კბენა და ბოდვის მოხდა... ჩვენ,  
რომის პაპთან უნდა აღვადგინოთ ის ურთიერთობა  
რომელიც არსებობდა გიორგი მთაწმიდელის დრომდე.  
ამ უკანასკნელის დროს და აღრეც, რომის პაპები აშკა-  
რათ ითვისებდნენ მსოფლიო ქრისტიანობის უმფროსობას;  
ეს კარგათ მოეხსენებოდა ჩვენს მეცნიერ მამასაც, მაგრამ  
პროტესტი არ განუცხადებია, — ეტყობა თვითონაც წყნა-  
რულობდა... უნდა შევიგნოთ საბოლოოთ რომ პეტრეს  
უმფროსობა — საერთაშორისო იდეალური უმფროსობაა,  
ეს მამის ნაყოფიერი უმფროსობა გახლავსთ მრავალრიც-  
ხოვან ოჯახში; მისი არსებობა არც ერთ ეროვნებისთვის  
არ არის სახიფათო და დამამკირებელი; პირიქით, ეროვნულ  
აღორძინების ერთი პირობათაგანია: ამას გვიჩვენებს  
პაწია ბელგია, გერმანიის ცოცხალი ცენტრი<sup>1)</sup>, წამე-  
ბული ირლანდია და პოლონეთი!.. დიახ! მამულიშვი-  
ლური თვალსაზრისით ვთხოულობთ სარწმუნოებრივ

<sup>1)</sup> ცენტრი — კათოლიკების ყოვლად გავლენიანი პარტია  
გერმანულ რაინსთაგში (პარლამენტში). —



**გაერთიანებას:** ჩვენი ნატურაა, გაჯანსაღება ქართველობისა, გაჯანსაღება ყოველმხრივი, ნივთიერი და სულიერი. ამის მისაღწევად ერთი აუცილებელ იარაღთაგანი—ქრისტიანობაა, არა რომელიმე ქრისტიანობა, არამედ მაცხოვრისგან შემუშავებული, მამასადამე პეტრესეული და რომაული.

მეგობრები გვაფრთხილებენ: ჯერ უდროოა თქვენი წინადადება, საქმეს უფრო ასწეწ-დასწეწაფთო... ჩვენ ვუპასუხებთ: მუდამ დრო არის აღვადგინოთ ჭეშმარიტი მონაზულობა იესო ქრისტეს ეკლესიისა, მუდამ, და მეტადრე დღეს. დღეს უნდა გადახალისდეს ჩვენი ეკლესია; ყველა მამულიშვილმა უნდა წამოაყენოს თავისი გეგმა, და საუკეთესო უნდა იქნეს მიღებული... რის აწეწ-დაწეწაო! მე მხოლოდ **ხმა ვარ**, მე მხოლოდ ვუთვალისწინებ ჩემს სამშობლოს, იმ გეგმას რომლითაც ხელმძღვანელობდა კირიონ კათალიკოსი მე-6 საუკუნეში, მთაწმიდელი გიორგი მე-11-ში, ნიკოლოზ და ანტონი მე-18-ში...

ნაცნობნი მეკითხებიან: რა ნიადაგზე უნდა მოხდეს შეერთებაო?

ჩვენ ვუპასუხებთ: იმ ნიადაგზე, რომელსაც აცხადებდა გიორგი მთაწმიდელი: **ოღონდ სარწმუნოება ერთი იყოს და ტიპიკონის სხვა და სხვაობას დაე ფართო ახპარეზი გაეხსნასო!**

ჭეშმარიტ საქართველოს, მთაწმიდელების მიმდევარ საქართველოს, რომაელების (კათოლიკეების) რწმენა აქვს, არც მეტი, არც ნაკლები. დანარჩენში მთლათ თავისუფალია: **საქართველო იქნება ავტოკეფალური ეკლესია, თავისი პატრიარხით<sup>1)</sup> და ეროვნული ტიპიკონით.** ამის

<sup>1)</sup> კათალიკოსს არ კი შეუშვებია რიცხვი მორწმუნეთა, პირიქით, ყველა ქართველ კათოლიკენიც მის მართველობის ქვეშ მოექცევიან; ამასვე დაემქვემდებარება სტამბოლის ცნობილი და მომავლით სავსე სავანე...

თავდებია ოფიციალური განცხადებანი პიო მე-IX-სი<sup>1)</sup> და სხვა მრავალი პაპებისა. პატრიარხს ის მიმართულება ექნება რომის პაპთან<sup>2)</sup>, რა მიმართულებაც ჰქონდათ მოციქულებს პეტრესთან. მაშ, არსებითად მნიშვნელოვან რამეს არც ქართველობა გააკეთებს უპაპოთ, და არც პაპი უქართველებოთ; მთელი მსოფლიო ეკლესიის მართველობაში, ქართველობასაც ექნება თავისი ხმა, — მაგრამ მთელი მსოფლიოც ძმურ მონაწილეობას მიიღებს საქართველოს საქმეში.

ესრეთ, ქართველობა უფლებიანი წევრი ხდება 400 მილიონიან კათოლიკურ ოჯახისა!.. განა რომ ღირს თვალები რომისკენ გვექონდეს, იქიდან მოგვეღიოს ხსნა: „ჩვენი ზღუდვა, ჩვენი უზრუნველყოფა, უტალღო ნავთსადგურია... იქ იმისთანა მესაქე<sup>3)</sup> უხიზლობს რომელსაც ტალღა ანახდათ ვერ წამოეწევა; იქ, სიყვარული — ქვეყნის დამტვევი — იბრძვის შეწუხებულ ეკლესიებისთვის, შევიწროებულ სასულიერო წოდებისთვის, დევნილ ეროვნებათა და მთელი მსოფლიოს სასარგებლოთ<sup>4)</sup>.“

მეორე მხრივ, ფართე ასპარეზი ექნება გახსნილი ქართულ ტიპიკონს და კერძო ადათებს; თვათონ ქართველობამვე უნდა უპატრონოს თავის ტიპიკონს: ჩამოაცალოს რაც დღევანდელიობას აღარ შეეფერება, შეჰმატოს და გაამშვენოს დღევანდელურ სულთასწრაფის მიხედვით.

1) ენციკლ. 1848 წ. იანვრ. ნ, კლემენტე მე-8-ის ბულა 1595 წ. მარტ. 7.—<sup>2)</sup> ამით ახალი არაფერი დაწესდება; ამნაირი მიმართულება მუდამ ყოფილა (იხ. ნიკ. მე-10 სიტყვები გ. 87) ყოველ შემთხვევაში ეს უღელის დადგმას როდი მოასწავებს; პირიქით, კათოლიკობასთან დაკავშირებით, ჩვენს ეკლესიას უფრო მეტი თავისუფლება შეჩება ვიდრე ეს აქვს დღევანდლამდე, როდესაც ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლის პატრიარხის ბძანებას ვუცდით, რათა გამოვეთხოვოთ დახავსებულ ძველ კალენდარს!.. —<sup>3)</sup> მესაქე — ნავის მართველი. —<sup>4)</sup> ოქროპ. მე-2 წერ. პ. ინოცენტთან.

მაშ, რომიც და საქართველოც შეთანხმებული ვართ თუობებზე, რაღას ვუცდით სანატრელ „ერთობის“ აღსაღვენათ? იმ **ერთობისა**, რომლისთვისაც ესოდენი სურვილით ლოცულობდა მაცხოვარი (იოან. 17, 20-23): „და არა ამათთვის (მოციქულებისთვის) ხოლო გკითხავ (გვედრები), არამედ **ყოველთათვის** რომელთა რწმენეს სიტყვითა მათითა ჩემდა მომართ; **რათა ყოველნი ერთ იყვნენ**, ვითარცა შენ მამაო ჩემდამო და მე შენდამი, რათა იგინიცა ჩვენ შორის ერთ იყვნენ. დიდებაჲ რომელი მომეც მე, მივეც მათ, **რათა იყვნენ ერთ, ვითარცა ჩვენ ერთ ვართ**. მე მათ შორის და შენ ჩემთანა; რათა იყვნენ სრულ ერთობითა.“

ამის შემდგომ, განა მორწმუნე გულგრილათ უნდა მოეკიდოს შეერთების საქმეს? ღვთიურია საქმე იგი და ვაჲ იმას ვინც გულგრილათ შეხვდება ღვთიურ საქმეს...

მესმის ზოგიერთების ხმა: ამისთანა დიდი საკითხის მოსაგვარებლათ, აუცილებელია მსოფლიო კრების მოწვევაო.

წმ. ფლავიანეს პასუხს (იხ. ზემოთ გ. 30) გაგახსენებთ: რათ გინდათ მსოფლიო კრება თავისი განუზომელი სიძნელეებით, როდესაც გადაჭრილ სიტყვას გეუბნებათ რომის პაპი? განა შემოკრებილი მამებიც იმასვე არ გვეტყოდნ რასაც გვისაყვედურებს მსოფლიო მნათობი წმ. იგ. ოქროპირი?

„ისე არაფერი ვაარისხებს ღმერთსა, როგორც ეკლესიაში განხეთქილების ჩამოგდება. სრულისგან სრული საქმეებიც რომ გავამრავლოთ თუ კი ერთობას დავარღვევთ, ისევე დასჯილნი ვიქნებით, თითქოს დაგვეფლითოს უფლის სხეული. ჩვენი მტრებიც კი ვერ მოგვაყენებენ იმდენ ზიანს რამდენსაც განხეთქილება. ეკლესიაში განხეთქილების ჩამოგდება, ეს ისე დიდი ცოდვაა რომ მწვალებლობას უდრის... სისხლის დაღვრითაც კი არ აიხოცებაო, ამბობს ერთი წმიდა. როგორ! უფალს ნაფლევ-

თებათ აქცევ და არც კი ნაღვლობ? ასო-ასოთ ჰკუწავ  
შენი მოქღერის სხეულსა და არცა გრძნობ რა საზიზღრო-  
ბას ჩადიარ?.. (ოქრ. ომილ. 11. ეფეს. № 4-6).

ჩაუფიქრდეს, ვისაც ჯერ კიდევ არ ჩაჰქრობია ნაპერ-  
წკალი ღვთისა და სამშობლოს სიყვარულისა, და მაშინ  
სთქვას თუ შეიძლება გადატოვა გაერთიანების საკითხისა...

ჩვენ კი ნებას მიეცემთ ჩვენს თავს დასკვნასავით რამ  
გავუკეთოთ წინამდებარე თხზულებას, რომელი დასკენი-  
თაც გულწრფელმა მკითხველმა დაუყონებლივ უნდა იწი-  
ნამძღვროს ცხოვრებაში<sup>1)</sup>.

ვართ რა ისტორიულათ დამტკიცებულნი

ა) რომ მე-11 საუკუნეში, ჩვენი ბრწყინვალე მამა  
წმ. გიორგი მთაწმიდელი, წინააღმდეგი იყო ეკლესიათა  
დაყოფისა (იხ. ზემოთ გვ. 73, 83);

ბ) რომ იმის მერმე, არც ერთი უფლებიანი დად-  
გენილება არ გამოსულა ივერიის ეკლესიის მხრივ, რო-  
მელშიც გამოცხადებული ან დადასტურებული ყოფილი-  
ყოს გაყრა რომისა ზ საქართველოს ეკლესიას შუა, — ჩვენ  
გადაქრით ვადგივართ წ. გ. მთაწმიდელის თვალსაზრისს  
და ვაცხადებთ:


**ჩვენთვის არ არსებობს განხეთქილება:** ჩვენ ვართ  
შვილნი ივერიის ავტოკეფალურ ეკლესიისა, რომლის პა-  
ტრიარხი ამ ჟამათ არის უნეტარესი ამბროსი; ამასთანავე  
შვილნი ვართ მსოფლიო კათოლიკე ეკლესიისა, რომლის  
სრულუფლებიანი მარტველი — იესო ქრისტესგანვე დატგე-  
ნილი — არის რომის ეპისკოპოსი, მოხაყდრე პეტრე მოცი-  
ქულისა, ამ ჟამად უწმიდესი მამა პიო მე-XI.

მთელი ჩვენი პატივი და სრული მორჩილობა, რო-  
გორც რომის პაპს, ეგრეთვე საქართველოს პატრიარხსაც.

<sup>1)</sup> ეს დასკვნა გამოღებულია «წმ. გ. მთაწმიდელის კავში-  
რის» წესდებიდან. «კავშირის» მიზანი გახლავსთ ხელის-შეწყობა  
ქართულისა და კათოლიკე ეკლესიის შეერთებისათვის. «კავში-  
რის» კარები ღიაა ყოველ მორწმუნე ქართველისთვის.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

თავი პირველი.—ერთობა, პირველი ნიშანი იესო ქრისტეს ეკლესიისა . . . . .	83 3
თავი მეორე.—დანარჩენი ნიშნები იესო ქრისტეს ეკლესიისა . . . . .	14
თავი მესამე.—რას ამბობს ისტორია პეტრესა და მის მოსაყდრეებზე? . . . . .	26
თავი მეოთხე.—რას გვეუბნება ისტორია მე-9 და მე-11 საუკუნის განხეთქილებაზე და იმ დროინდელ შავ გმირებზე? . . . . .	44
თავი მესხეთე.—რას ამბობს ღვთისმეტყველება აღმოსავლეთ-დასავლეთ ეკლესიათა განხეთქილებაზე . . . . .	62
თავი მეექვსე.—რომი და საქართველო . . . . .	82
დასკვნა . . . . .	89





მზათაა დასაბეჭდათ

„კავშირის ბიბლიოთეკის“ მე-2 წიგნი

შემდეგი სათაურით:

# ღმერთი, სული, სასწაული.

ავტორი დაქეპს კამომცემელს.

მისამართი: Constantinople Imprimerie Géorgienne.

ბ. მხედარს.

ფასი 20 პიასტრი